ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა **კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა**

თამარ ზედგინიძე

ტრადიციული საცხოვრებელი ნაგებობები სოფელ ხიზაბავრაში

ნაშრომი შესრულებულია ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრის ხარისხის
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი ნათელა ჯაბუა
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Master program: **Cultural Heritage and Modernity**

Tamar Zedginidze

TRADITIONAL DWELLING IN THE VILLAGE KHIZABAVRA

Thesis is prepared for obtaining Master degree in Study of Arts

Research Supervisor: Natela Jabua

Associate Professor.

Tbilisi

2019

ანოტაცია

სამცხე-ჯავახეთი დარბაზული ტიპის საცხოვრებლების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რეგიონია, სადაც რიგ სოფელში ჯერ კიდევ შემორჩენილია ტრადიციული ხალხური ხუროთმოძღვრების ნიმუშები. ბუნებრივი გარემოებების ზემოქმედებითა და თავად მეპატრონეთა ნება-სურვილით ხშირ შემთხვევაში ძირეულად გადაკეთებულია ან სრულიად განადგურებულია დარბაზოვანი კომპლექსები. საკითხის აქტუალობა მით უფრო მწვავეა ვინაიდან, ჩვენამდე შემორჩენილი ნიმუშები ფაქტობრივად განადგურების პირასაა და არსებული მდგომარეობის ყოველდღიურ ფიქსაციას მოითხოვს.

წინამდებარე ნაშრომში კვლევის ობიექტს წარმოადგენს ჯავახეთის ერთ-ერთი სოფელი ხიზაბავრა და მის განაშენიანებაში შემორჩენილი რვა დარბაზოვანი კომპლექსი და ცალკეული სათავსო-ნაგებობა, რომლებიც ჩვენს დრომდე მოღწეულ ტრადიციული საცხოვრებლების საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენენ.

ნაშრომის შესავალში დასახულია კვლევის ამოცანები. პირველი თავი ეთმობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის გეოგრაფიულ-ისტორიულ მიმოხილვასა და სოფელ ხიზაბავრის მოკლე აღწერილობას.

მეორე თავში დეტალურად განხილულია საკვლევი რვა მიწურ-ბანიანი ნაგებობა: გია ხუციშვილის, ფანჩო ველიჯანაშვილის, ნოდარ ხაზალაშვილის, ზურა კეღოშვილის, ლუბა კეღოშვილის, ელდარ მურადაშვილის, პავლე კეღოშვილის და გოდერძი მაზმიშვილის საცხოვრებლები. მოცემულია ნაგებობათა სამშენებლო-არქიტექტურულ-გეგმარებითი აღწერილობა.

მესამე თავი ეთმობა არქიტექტურულ-მხატვრულ ანალიზს. მასალა წარმოდგენილია დარბაზის რეგიონულ ზოგადსახასიათო ნიშნებთან მიმართებაში და გამოვლენილია კონკრეტული ნიმუშების ხუროთმოძღვრული მახასიათებლები.

კვლევის შედეგები შეჯამებულია დასკვნით ნაწილში. გამოკვეთილია კვლევის პროცესში წამოჭრილი პრობლემები და წარმოჩენილია დარბაზოვანი კომპლექსების შენარჩუნების საკითხის მნიშვნელობა.

ANNOTATION

Samtskhe-Javakheti is a significant region from the point of view of *Darbazi* - traditional type residences. Till present time there are still preserved the samples of traditional folk architecture. In the case of the influence of natural circumstances and the will of the owners of themselves, in most cases the fundamentally repaired or completely destroyed traditional dwelling complexes. The actuality of the issue is even more acute because the samples still survived are actually at the top of the destruction and requires a daily fixation of the situation.

The object of research of the present work is one of the village of Javakheti region Khizabavra-and eight *Darbazi* and separate cellar-buildings which survived among the village residences. These dwellings are the most interesting samples of traditional residences which survived to our epoch.

In the introduction of the work the task of the research is given. The first chapter is devoted to geographical-historical review of Samtskhe-Javakheti region and brief description of the village Khizabavra.

In the second chapter there is a detailed consideration of the eight traditional dwelling complexes which belong to Gia Khutsishvili, Pancho Velijanashvili, Nodar Khazalashvili, Zura Keghoshvili, Luba Keghoshvili, Eldar Muradashvili, Pavle Keghoshvili and Goderdzi Mazmishvili. Here is also given architectural-planned description of the above mentioned buildings.

The third chapter is devoted to architectural-artistic analysis. The material is represented according to the general characteristical signs of regional hall-type dwelling and architectural characteristics of specific samples are revealed.

Results of the research are summarized in the final part of the work and there are outlined the problems, which raised in the process of research. As a result, the importance of maintaining traditional dwelling complexes is underlined in the above work.

სარჩევი

შესავალი 6

I თავი. სამცხე-ჯავახეთი და სოფელი ხიზაბავრა 10

1.1 რეგიონის გეოგრაფიული და ისტორიული მიმოხილვა 10

1.2 ხიზაბავრა 15

II თავი. სოფელ ხიზაბავრის ტრადიციული ხალხური საცხოვრებლების აღწერა 19

III თავი. სოფელ ხიზაბავრის ტრადიციული საცხოვრებლების არქიტექტურულ-მხატვრული მახასიათებლების ანალიზი 36

3.1 დარბაზული ტიპის საცხოვრებლების შესახებ საქართველოში 36

3.2 საკვლევი ძეგლების შედარებითი დახასიათება 47

დასკვნა 70

გამოყენებული ლიტერატურა 74

დანართი 2.1 სოფელ ხიზაბავრაში აღწერილი დარბაზების სქემატური განლაგება 79

ილუსტრაციები 80

შესავალი

საქართველოს თითოეულ კუთხეში გეოგრაფიული გარემოს, ლანდშაფტის, რელიეფის, კლიმატის, მეურნეობის წამყვანი დარგების გათვალისწინებით შემუშავდა და ჩამოყალიბდა საცხოვრისის თავისებური ტიპი. ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და თრიალეთის რეგიონისთვის დამახასიათებელი იყო დარბაზული ერდო-გვირგვინიანი სახლი. ხალხური ხუროთმოძღვრების ამ უნიკალურ ნიმუშს მეცნიერების ყურადღება არაერთხელ მიუპყრია და სიღრმისეული შესწავლის საგანი გამხდარა. თუმცა შემორჩენილი მასალის მნიშვნელობა, დაცულობის დონე და განადგურების საფრთხე განაპირობებს მათი დაფიქსირებისა და შესწავლის აქტუალობას. ნაშრომის კვლევის ობიექტია ჯავახეთის ერთ-ერთი სოფელი - ხიზაბავრა. მისი ურბანული განაშნიანება და რამდენიმე მიწურ-ბანიანი კომპლექსი.

საცხოვრებელი, როგორც მასში მცხოვრები ადამიანის სამოქმედო არეალი, ეპოქის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე მუდმივად განიცდის ცვლილებებს. დღეს ამ საკითხის აქტუალობა მით უფრო თვალსაჩინო ხდება იმ გარემოებების ფონზე, რომ რეგიონისთვის დამახასიათებელი საცხოვრებელი სტრუქტურა - დარბაზული ტიპის ნაგებობა - ჩვენს დრომდე ერთეულების სახითღა შემოგვრჩა. ფაქტობრივად დაღუპვის პირასაა ეროვნული ღირებულების ხალხური ხუროთმოძღვრების ნიმუშები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ცოდნისა და სამშენებლო გამოცდილების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს.

ქართული დარბაზული საცხოვრეელით დაინტერესება XIX ს-ის პირველ ნახევარიდან იწყება. ამ დროს განეკუთვნება ა. ნეგრის და მ. მედჩის ცნობები; XIX ს-ის მეორე ნახევარში ნ. დუბროვი, ი. პანტიუხოვი მნიშვნელოვან ინფორმაციას აგროვებენ. ი. პანტიუხოვის აზრით, ქართლის დარბაზი სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით გამართულ საცხოვრებელ ნაგებობას წარმოადგენდა და სრულიად პასუხობდა მასში მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნილებებს. XX საუკუნეში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა, არქიტექტორებმა, ეთნოლოგებმა საგანგებო გამოკვლევები მიუძღვნეს

ქართულ დარბაზული ტიპის საცხოვრებლებს. ერთ-ერთი პირველი იყო გიორგი ჩუბინაშვილმა, რომელმაც მეცნიერულ დონეზე შეისწავლა დარბაზული ტიპის საცხოვრებელი და გამოკვეთა მისი მნიშვნელობა. წარმოაჩინა მისი ღირებულება არა მხოლოდ ქართული რეალობისთვის, არამედ ზოგად კავკასიურ რეგიონულ კონტექსტში. ასევე, ძალზე დიდი წვლილი მიუძღვის ლონგინოზ სუმბაძეს, რომელმაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმოგზაურა და კვლევის შედეგებს თან დაურთო ანაზომები და გრაფიკული მასალა. დარბაზული საცხოვრებლის შესწავლაში მნიშვნელოვანია გ. ჩიტაიას, თ. ჩიქოვანის, ი. სურგულაძის და სხვათა ნაშრომები, რომლებშიც დარბაზული ტიპის საცხოვრებელი სხვადასხვა ასპექტითაა შესწავლილი. მათ დართული აქვს ცალკეული ნაგებობათა აღწერები და ვიზუალური მასალა. დღეს შემორჩენილი გლეხური დარბაზის ნიმუშების სიმცირის გამო კიდევ უფრო იზრდება ამ პუბლიკაციების მნიშვნელობა უკვე დანგრეული ნიმუშების თუ არსებული დარბაზული საცხოვრებლების შესწავლის თვალსაზრისით.

ფაქტობრივი მასალის მოძიებისა და გაცნობის მიზნით 2014 წლიდან დღემდე რამდენჯერმე ვიმოგზაურე რეგიონის სხვადასხვა სოფელში: ვალეში, უდეში, ზველში, ჭობარეთში, საროში, ხიზაბავრაში, კოთელიასა და ბარალეთში. ყოველ შემდგომ საველე სამუშაოებზე გასვლისას არსებული ნაგებობების მდგომარეობა უფრო და უფრო დამძიმებული მხვდებოდა. სოფელ ხიზაბავრაში 2014, 2016 და 2019 წლებში განხორციელებულ საველე სამუშაოების დროს მნიშვნელოვანი მასალა დაგროვდა, რამაც ერთი კონკრეტული სოფლის მაგალითზე ტრადიციულ დარბაზოვან საცხოვრებელ კომპლექსების რამდენიმე ასპექტით შესწავლის შესაძლებლობა მომცა.

ჯავახეთის სოფლებს შორის ხიზაბავრას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიწურ-ბანიანი კომპლექსებისა თუ ცალკეული სათავო-უჯრედების შემორჩენის სიმრავლით. სოფელში დაფიქსირებულ ნაგებობათა შორის საკვლევად შერჩეულ იქნა განაშენიანებაში ჩართული რვა საცხოვრებელი სათავსო-ნაგებობა. ესენია: გია ხუციშვილის, ელდარ მურადაშვილის, ფანჩო ველიჯანაშვილის, ლუბა კეღოშვილის,

ზურა კეღოშვილის, პავლე კეღოშვილის, ნოდარ ხაზალაშვილის და გოდერძი მაზმიშვილის საცხოვრებლები.

ჩვენს დროში დარბაზული ტიპის საცხოვრებლის შესწავლასა და დღევანდელი მდგომარეობის დაფიქსიების საკითხში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს ბნ. სამსონ ლეჟავას. მიწურ-ბანიანი კომპლექსების ფართო სპექტრით განხილვის - მათში დალექილი, დაშრევებული საწყისების არქიტექტურულ, მხატვრულ-სამშენებლო თუ მითო-რელიგიური ასპექტებით შესწავლის კუთხით. შალვა ლეჟავასთან ერთად მის მიერ შეგროვილ მასალაზე დაყრდნობით 2011 წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დარბაზული ტიპის საცხოვრებლების რიგ ნიმუშებს ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ძეგლთა დაცვის ნუსხაში შეტანილია სოფ. ხიზაბავრიდან მიწურ-ბანიანი ნაგებოები. ძეგლთა დაცვის სააგენტოდან გამოთხოვილ სააღრიცხვო ბართების მიხედვით 2011 წელს სოფ. ხიზაბავრაში ძეგლის სტატუსი მიენიჭა გია ხუციშვილის, ნოდარ ხაზალაშვილის, ლუბა კეღოშვილისა და ზურაბ კეღოშვილის მიწურ-ბანიან ნაგებობებს.

სოფელ ხიზაბავრაში მიწურ-ბანიანი კომპლექსები დაფიქსირებული და აღწერილი აქვს ლონგინოზ სუმბაძეს - ლეკიშვილების დარბაზი, თენოშვილების - თენოანთ-დარბაზი (დართულია ანაზიმი და განივი ჭრილი). თეიმურაზ ჩიქოვანს მესხურ-ჯავახური დარბაზული სახლის განხილვისას რეგიონის რამდენიმე სოფლიდან მოჰყავს მაგალითი. სოფ. ხიზაბავრაში გამოყოფს გვარების მიხედვით დიდ ოჯახებს: თენოშვილების, კეღოშვილების, დათაშვილების, ბალიაშვილების, მურადაშვილების... და აღნიშნავს, რომ მოსახლეობას *„„უხსოვარ დროს“ აშენებულ დარბაზებში უცხოვრიათ“* [თ.ჩიქოვანი, 1963: 226]. მკვლევართა მიერ საცხოვრებელთა აღწერისა და ზოგადი დახასიათებისას არაა დაკონკრეტებული მათ მიერ დაფიქსირებული დარბაზების ზუსტი ლოკაცია სოფლის განაშენიანებაში, რომლის საფუძველზეც აღნიშნული დარბაზების ადგილზე მიკვლევა გაადვილდებოდა. ამასთანავე, საცხოვრებელი სტრუქტურა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მეპატრონის მხრიდან უწყვეტად განიცდის გადაკეთება-ჩარევას, რის გამოც რთულდება ათწლეულების წინ

აღწერილობის ფონზე კონკრეტულ ლოკალურ არეალში მიწურ-ბანიანი ნაგებობების მოძიება. ამას შეიძლება ნაგებობის გაყიდვა-გასხვისება და მეპატრონის შეცვაც დაემატოს. ამდენად, ხშირ შემთხვევაში ნაგებობათა არქიტექტურული პირველსახე გადაკეთებულია და კვლევის ამ ეტაპზე ლიტერატურაში მოცემული სოფელ ხიზაბავრის დარბაზოვანი კომპლექსების მოძიება ვერ მოხერხდა.

როგორც ავღნიშნეთ ჯავახეთის სოფლებს შორის ხიზაბავრა ერთ-ერთი ძველი ისტორიული სოფელია, სადაც ტრადიციული ხუროთმოძღვრული ნიმუშების მიკვლევა ჯერ კიდევ შესაძლებელია. ნაშრომის მიზანია ჩემს მიერ თავმოყრილ მასალაზე დაყრდნობით არქიტექტურის ისტორაში ხალხური ხუროთმოძღვრების - დარბაზის წარმოჩენა იმ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურული განვითარების ფონზე, რაც მთლიანად რეგიონში იყო შექმნილი და ასახვა ჰპოვა საკვლევი სოფლის ცხოვრებაზე.

საველე სამუშაოების დროს მოხერხდა მოსახლეობაში გარკვეუული ინფორმაციის შეგროვება, რომელიც ადგილობრივების მეხსიერებაში ჯერ კიდევ შემორჩენილია და ეთნოგრაფიულ და არქტიტექტურულ საისტორიო წყაროს წარმოადგენს. კვლევის ამ ეტაპზე საჭიროდ ჩავთვალე ნაშრომში თავი მოვუყარო არა მხოლოდ სოფელ ხიზაბავრაში, არამედ ჯავახეთის სხვა სოფლებშიც შეგროვილ ზეპირსიტყვიერ მასალას. მთავარი ამოცანა საკვლევი ნაგებობების არქიტექტურული მახასიათებლების წარმოჩენაა. სამშნებლო თავისებურებებისა და ძველი დასახლების ურბანული სტრუქტურის გამოვლენა. სოფელ ხიზაბავრაში მოძიებული მასალა საცხოვრებლების ადგილობრივი დარბაზული ტიპის ნაგებობების სახასიათო ნიშნების შესახებ გარკვეული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.

I თავი. სამცხე-ჯავახეთი და სოფელი ხიზაბავრა

1.1 რეგიონის გეოგრაფიული და ისტორიული მიმოხილვა

ჯავახეთი საქართველოს სამხრეთით მდებარეობს და მოიცავს ნინოწმინდის, ახალქალაქისა და ნაწილობრივ ასპინძის რაიონებს. მას აღმოსავლეთით ესაზღვრება თრიალეთი-ქართლის ტერიტორია, ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით - სამცხე, სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთით - თურქეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთით - სომხეთი. სამცხესა და ჯავახეთს შორის საზღვარი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გაშენებულ სოფელ ნიჯგორზე გადის. სოფელი ხიზაბავრა, რომელიც ჩემი კვლევის არეალს წარმოადგენს, დღევანდელი სასაზღვრო დაყოფით ჯავახეთს მიეკუთვნება. დასახლებული პუნქტი ახალქალაქის პლატოს დასავლეთ ნაწილში მდებარეობს.

ჯავახეთის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ლანდშაფტი და ჰავა განსხვავებულ გარემოს ქმნიდა, რაც მოგზაურთა ყურადღებას იქცევდა. „ჰაერითა და წყლით მდიდარი, გრილი კუნძული“- ასე მოიხსენია ჯავახეთის ბუნების თავისებურება გერმანელმა მეცნიერმა კარლ რიტერმა (1779-1859 წწ). გაშლილი ზეგანის და ამოზრდილი მთების მონაცვლეობა რიტმულ სურათს ქმნის. ამ მხარეში ზამთარი ცივი იცის და თოვლიანი. ყინვიანი ზამთრის გამო თოვლი 4-5 თვის განმავლობაში დევს. ზაფხული კი შედარებით გრილია.

ლანდშაფტი და ჰავა ყოველთვის ახდენდა გავლენას მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაზე. ჯავახეთის მოსახლეობა მისდევდა, როგორც მესაქონლეობას, ისე მემინდვრეობას. მოჰყავდა მარცვლეული კულტურები (ხორბალი, ქერი, დოლი და სხვა.) ამიტომ, საქართველოს ეს კუთხე ქვეყნის ბეღელადაც მოიხსენიება. ამაზე მეტყველებს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი მასალები. მაგალითად:

„მე ჯავახეთს რა მიშავდა მთვარე იდგა მზესავითა

კალმახი და ქერის პური წინ მეყარა ბზესავითა.“ [რ. თოფჩიშვილი 2010:140]

ექნიკური კულტურებიდან მოჰყავდათ სელი, რომლისგანაც ხდიდნენ ზეთს და ფართოდ იყენებდნენ მეურნეობაში. დადასტურებულია ზეთსახდელი გელაზები, რომლებიც გვიანობამდე შემორჩა საქართველოს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში.

ვახუშტი ბატონიშვილის (1697-1757 წწ.) აღწერით ჯავახეთი უტყეო და უვენახო მხარე ყოფილა. ტყის სიმცირით მართლაც ხასიათდება აქაური ლანდშაფტი, თუმცა ისტორიულად ასე არ უნდა ყოფილიყო. ამაზე მეტყველებს X ს-ის სამსრის გამოქვაბულის წარწერა. ეკლესიის მშენებლობის დაწყებისას ეს მიდამოები ტყით ყოფილა დაფარული. ტყის საფარველი ასპინძის რაიონის თითქმის ყველა სოფელს თავისი ჰქონდა მათ შორის სოფელ ხიზაბავრას.

ჯავახეთის გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები, ლანდშაფტის დენადი სილუეტები, გაშლილი ვაკე-ზეგანის, ბორცვებით თუ მთებით მოზღუდული მიდამოების მონაცვლეობა იმთავითვე მოქმედებდა ადგილობრივების ესთეტიკურ შეგრძნებებზე და აყალიბებდა ფორმათგანცდის თავისებურ ხედვას. ტრადიციული მიდგომა სამშენებლო მასალის გამოყენებისა თუ ნაგებობათა არქიტექტურულ-ტექტონიკური წყობის თვალსაზრისით გამორჩეულ ხიბლს სძენს ჩვენამდე მოღწეულ ხალხური ბინათმშენებლობის ნიმუშებს. ამგვარი გააზრება, როგორც საკულტო ისე საერო ხასიათის ძეგლებში მკაფიოდ ჩანს.

გეოგრაფიულმა გარემომ და კლიმატურმა პირობებმა ხელი შეუწყო ამ რეგიონში ადამიანის დასახლებას და მწარმოებლური მეურნეობის განვითარებას. ამიტომ, საყურადღებოა საქართველოს ეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე აქ დადასტურებული ადამიანის სამოსახლოების უძველესი შრეებით, რომელშიც თავიდანვე გამოჩნდა დასახლების პრინციპი, სამშენებლო მასალის გამოყენების სპეციფიკა, გარემო ფაქტორების გათვალისწინება და სხვა. საცხოვრებლის აგების ტრადიცია სუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეებს და მთელ რიგ დაკვირვებებზე,

ჩამოყალიბებულ და მწყობრ სამშენებლო გამოცდილებაზეა დამყარებული. ამის მაგალითია დარბაზული მიწურ-ბანიანი საცხოვრებლის ტიპი, რომელიც შესწავლის ობიექტს წარმოადგენს სოფელ ხიზაბავრაში შემორჩენილი რამდენიმე ნიმუშის განხილვის საფუძველზე.

გეოგრაფიულ ფაქტორებთან ერთად არქიტექტურული ფორმების ჩამოყალიბებაში რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული განვითარების გზა მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ჯავახეთი დიდი ისტორიული წარსულის მქონე მხარეა. მის სტრატეგიულ მდებარეობასა და ისტორიულ მნიშვნელობას ხაზს უსვამს ჩვენამდე მოღწეული ქართული თუ უცხოური წერილობითი წყაროები. ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ცნობა ჯავახეთის შესახებ დაცულია ურარტუს მეფის - არგიშტ I-ის წარწერაში. ძვ.წ. 785 წელს ჯავახეთი - „ზაბახას“ სახელწოდებით მოიხსენიება, სადაც ეს ტერიტორია დაახლოებით შუა საუკუნეების ჯავახეთისა და კოლა-არტაანის მიდამოებს უნდა მოიცავდეს (დ. ბერძენიშვილი 2000). ასევე, მნიშვნელოვანია ქართლის ცხოვრებაში დაცული ცნობები. ლეონტი მროველის მიხედვით ქართველთა ეთნარქებს შორის ჯავახოსი მცხეთოსის ძე ყოფილა, რომელსაც ებოძა ვრცელი ტერიტორიები - *„ფარავნითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა და ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი წუნდა და ქალაქი არტაანისა“* [მ. ბერიძე 2002: 5]

ჯავახეთი თავისი სტრატეგიული მდებარეობით ახლო კონტაქტებს ამყარებდა კულტურულად, პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად მოწინავე ცენტრებთან. ამასთან ერთად ეს არის ერთ-ერთი პირველი რეგიონი, საიდანაც ქრისტიანობის შემოტანა და გავრცელება მოხდა. ჯერ წმ. ნინომ გადმოსერა ჯავახეთის მთები, შემდეგ, მირიან მეფის თხოვნით, რომის იმპერატორის კონსტანტინე დიდის მიერ გამოგზავნილმა მოციქულებმა გადმოიარეს. ვახტანგ გორგასლის პერიოდიდან მოყოლებული ჯავახეთი მძლავრ საეპისკოპოსო ცენტრს წარმოადგენდა ჯერ წუნდა და შემდეგ კი კუმურდო.

დროთა განმავლობაში ტაო-კლარჯეთში ყალიბდებოდა მძლავრი პოლიტიკური ცენტრი, რომელიც მიისწრაფოდა ქვეყნის გაერთიანებისკენ. საქართველოს ერთიანობის

პერიოდში ისტორიული მესხეთი პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენდა. გაერთიანებული საქართველოს მმართველები ერისთავებს ნიშნავდნენ ჯავახეთში, რომლებიც ცენტრალურ ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ. მათი რეზიდენციაც დროთა განმავლობაში, ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორებიდან გამომდინარე იცვლებოდა. შეიძლება ითქვას, თავისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე საკუთარი ბედის განმსაზღვრელიც აღმოჩნდა.

“ნიკოფსიიდან დარუბანდამდე” გადაჭიმული საქართველო მონღოლთა გამოჩენის შემდგომ თანდათანობით სუსტდება. გარეშე მტრების კიდევ ერთი მძლავრი ტალღის შემოსევას თან ერთვოდა შიდა პოლიტიკური დაპირისპირება. პირველი სწორედ სამცხე განუდგა ცენტრალურ ხელისუფლებას. სამცხეს სათავეში ამირსპასალარი სარგის ჯაყელი ჩაუდგა, რომელიც მონღოლებს მიემხრო. ჟამთააღმწერელის ცნობით, მან დაიპყრო ვრცელი ტერიტორიები *„ტასისკარითგან კარნუ-ქალაქამდის, სამცხე, აჭარა, შავშეთი... და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს“* [ივ. ჯავახიშვილი, ტ III 2012: 165]. ამგვარად, ჯაყელთა და ათაბაგთა გამგებლობა ჯავახეთის მხარეზეც ვრცელდებოდა. ამ პეროდში სამცხის გამგებელნი ყველანაირ ძალას მიმართავდნენ თავიანთი სამფლობელო ტერიტორიების გასაძლიერებლად. მაგრამ, დროთა განმავლობაში, ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლამ (1490 წ.), ოსმალეთისა და ირანის გაუთავებელმა თავდასხმებმა დაასუსტა სამცხე-საათაბაგო.

XVI ს-ში ოსმალეთმა საბოლოოდ დაიპყრო ისტორიული მესხეთი და შემდგომ ჩილდირის საფაშოდ გამოაცხადა. ამ დროს ჯავახეთი ათაბაგთა გამგებლობაში იყო და შესაბამისად ოსმალთა ბატონობა ამ მხარეზეც გავრცელდა. სამცხე-ჯავახეთი „გურჯისტანის ვილაიეთად“ გამოაცხადეს და რეგიონის მოსახლეობის აღწერა ჩაატარეს. შეადგინეს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომლშიც შედიოდა: *„ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩალდირის, ფოცხოვის, პეტრეს, ფანაკის, დიდი არტაანის“*[მ. ველიჯანაშვილი 1974: 12] ლივები. სოფელი ხიზაბავრა ხერთვისის ლივაში შედიოდა. მძიმე აღმოჩნდა დამპყრობლების პოლიტიკა მოსახლეობისთვის, რამაც

თავისებურად წარმართა ადგილობრივების ცხოვრების წესი, სარწმუნოებრივი ტრადიციები და ზოგადად პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გზა. მხოლოდ 1828 წელს მოხერხდა ოსმალების მძიმე უღელის გადაგდება ადრიანოპოლის ზავის პირობებით. რუსეთმა თურქეთის მიერ მიტაცებულ სამცხე-საათაბაგოს ზოგ სხვა ნაწილთან ერთად ჯავახეთიც შემოიერთა. დიდი შვება იყო მოსახლეობისთვის საქართველოს ფარგლებში მოქცევა. ამ დროიდან ადგილობრივებისგან დაცლილმა და გაპარტახებულმა რეგიონმა კვლავ დაიწყო მომძლავრება. რუსეთის იმპერიის ძალისხმევით თავისებურად წარიმართა ამ მხარის მოსახლეობის ბედი. ადგილობრივი მაჰმადიანი ქართველები თანდათანობით ტოვებდნენ ზემო ქართლის (მესხეთის) ტერიტორიებს და თურქეთში გადადიოდნენ, ამის საპირისპიროდ რუსეთის ხელისუფლების ხელშეწყობით ოსმალეთის ტერიტორიიდან წამოსული სომხური მოსახლეობა და რუსი სექტანტი-დუხობორები (ძირითადად წალკის მხარეში) ჩამოსახლდნენ. ამან დიდწილად შეცვალა სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა. ადგილობრივ მართმადიდებელ და მაჰმადიან ქართველებს ბევრად სჭარბობდნენ სომხები, განსაკუთრებით ჯავახეთის რეგიონში. დღევანდელი სურათიც ამგვარია. მხოლოდ რამდენიმე სოფელში, მათ შორის ხიზაბავრაში ცხოვრობს ქართული მოსახლეობა. ადგილობრივებმა შეინარჩუნეს ენაც და სარწმუნოებაც. ცნობილი საზოგადო მოღვაწე ილია ალხაზიშვილი წერდა: *„სოფელი ხიზაბავრა მთელს ჯავახეთში ერთადერთი სოფელია, სადაც სხვა ტომთა შეურევნელად 163 კომლი ცხოვრობს. ხიზაბავრელებს წმინდად დაუცავთ ნამდვილი ქართული ენა მესხური კილოთი და იმდენი ლეგენდა, შაირი, ლექსი და ხალხის თქმულებანი შეუნახავთ, რომ მთელი ტომები დაიწერება“* [ნ. ყრუაშვილი 2009: 32].

ამდენად, ჯერ ოსმალეთის პოლიტიკური ზეგავლენით, შემდეგ კი რუსეთის ხელისუფლების ძალისხმევით მკვეთრად შეიცვალა ვითარება ჯავახეთის რეგიონში. დასახლებული პუნქტების ნაწილი სრულიად დაიცალა და ნასოფლარებად იქცა. ხოლო სოფლების ნაწილში კი ადგილობრივებისგან მიტოვებული საცხოვრებლების ათვისება გადმოსახლებულებმა დაიწყეს.

წერილობით წყაროებში დაცულ ცნობებს ამყარებს ჯავახეთის პლატოსა თუ მთებით მოზღუდულ გაშლილ მიდამოებში მრავლად შემორჩენილი საკულტო და საერო ხასიათის ძეგლები. მონუმენტური ეკლესია-მოსანტრების გვერდით თვალს ატყვევებს გარემოს შეზრდილი, მოკრძალებული სამლოცველოები, ფასადებზე ქვების ფერწერული წყობითა და დეკორატიული აქცენტების გამომსახველობით. ეს კი ადგილობრივი მოსახლეობის ხასიათსა და ესთეტიკურ დამოკიდებულებაზეც მიგვანიშნებს. საკულტო დანიშნულების ძეგლების გვერდით გვხვდება მეგალითური ნასახლარები, ქარაფის პირას აღმართული ციხე-სიმაგრეები, ქარვასლები, ხიდები... რაც ამ რეგიონის განვითარებასა და გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობებზე მეტყველებს საყურადღებოა, რომ აქ გადიოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო მაგისტრალი-აბრეშუმის გზა). ამდენად, ქვეყნის სამხრეთით მდებარე ისტორიული მესხეთი ახლო ურთიერთას ამყარებდა იმ დროის პოლიტიკურად, კულტურულად და ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებთან.

რეგიონის მოკლე გეოგრაფიული და ისტორიული მიმოხილვისას გამოიკვეთა ის მნიშვნელოვანი ასპექტები და ზოგადი სურათი, სადაც ტრადიციული დარბაზული საცხოვრებელი ჩამოყალიბდა.

1.2 ხიზაბავრა

„ხიზაბავრავ მშვენიერო, მესხეთის დიდ ზეგნის თვალო“ (ხალხური სატრფიალო ლექსიდან) [მ. ველიჯანაშვილი 1974: 24] - ასე მოიხსენიებდნენ ადგილობრივები სამცხე-ჯავახეთის ერთ-ერთ უძველეს ისტორიული სოფელ - ხიზაბავრას, რომელიც მდებარეობს ასპინძიდან აღმოსავლეთით მტკვრის მარჯვენა მხარეს. სოფელი გაშენებულია ბუნებრივად დაცულ ციცაბო კლდეებით გარშემორტყმულ ქარაფ-ტაფობზე. სოფლის წარმოშობაზე რამდენიმე ხალხური თქმულებაა შემონახული. ერთ-ერთის მიხედვით სოფელი ორი დასახლების - ხიზასა და ბავრის შეერთებითაა წარმოშობილი. XVI საუკუნის ცნობებში მოხსენიებულია როგორც ხიზაბავრა, ისე ხიზა და ბავრა ცალ-ცალკე (მ. ველიჯანაშვილი 1974). სოფლის დღევანდელი განაშენიანება

ბავრის ადგილზეა, ხოლო ხიზა ნასოფლარს წარმოადგენს. გარდა ზემოთ ხსენებული ძველი სოფლებისა ხიზაბავრის მიდამოებში სხვა ნასოფლარებიც დასტურდება: ოსპანაური, ვარანტები, გომი, ობოლეთი, ოდისები, სადაც დღემდეა შემორჩენილი ეკლესიათა ნანგრევები. ერთ-ერთია ობოლეთის ეკელსია X-XI საუკუნეებით დათარიღებული, სოფლიდან 7-8 კმ-ის მოშორებით.

წარსულ დროთა სურნელი სოფლის უბან-შუკებში ჯერ კიდევ მკაფიოდ იგრძნობა. სოფლის განვლილ ისტორიულ წლებზე გვიყვება შემორჩენილი მატერიალური და არა მატერიალური მეხსიერება. აქ მოძიებული არქეოლოგიური მასალებით სოფლის ისტორია ძვ. წ. IV-III ათსწლეულებიდან იღებს სათავეს. დადასტურებულია გვიანი ბრინჯაოს ხანაში მოღვაწე ადამიანის სამეურნეო იარაღები - სპილენძის ცული და შუბის წვერი (მ. ველიჯანაშვილი 1974).

ხიზაბავრის დღევანდელ იერსახეს ქმნის დასახლების შემაღლებულ ადგილზე სოფლის მთავარი მოედანი, სადაც თავს იყრის XIII საუკუნის „ღართის“ ეკლესია. მისი აგება ლაშა-გიორგის სახელთანაა დაკავშირებული. ეკლესიის ქვემოთ (სამხრეთ მხარეს) წყაროა ძველი ქვის ავზების ჯაჭვით - ქურუმებით - გამოყვანილი. XVIII საუკუნიდან განსაკუთრებით გააქტიურდა რეგიონში კათოლიკობის გავრცელება, რასაც ეკლესიათა მშენებლობა მოჰყვა. ხიზაბავრაში პირველი კათოლიკური სალოცავი ქოხის მსგავსი „ჯვართ ამაღლების“ სახელობის იყო. ქართველი საზოგადო მოღვაწის ზ. ჭიჭინაძის აზრით, მისი მშენებლობა XVI საუკუნის მიწურულს უნდა მომხდარიყო. დღევანდელი სალოცავი „ღართის“ ეკლესიიდან აღმოსავლეთით, შემაღლებულ ადგილზე 1898 წელსაა აგებული. ამავე წელს მიხეილ ვარძიელის თაოსნობით ააშენეს სკოლის ორი შენობა.

სოფელს თავისი ციხე ჰქონია, რომელიც ღარიბათ-ფერაძეების სახლის სერზე მდგარა. ჯერ კიდევ შემორჩენილი ხიზაბავრის ციხე და „ვარდისციხის ეკლესია“ ივანე როსტომაშვილს ((1852-1924 წწ.) გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, საზოგადო მოღვაზე, ჟურნალისტი და მწიგნობარი) უნახავს. 1933 წელს კი ნიკო ბერძენიშვილს ((1894-1965

წწ.) ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი) მოგზაურობისას. იგი წერდა უკვე დანგრეული ეკლესიის შესახებ, რომელიც მისი აზრით XIV-XV საუკუნეებს განეკუთვნებოდა. ეკლესიის სამხრეთით კარს ზემოთ მოთავსებულ ქვაზე თორმეტ სტრიქონიანი წარწერიდან მხოლოდ სამიღა ყოფილა შემორჩენილი. ხიზაბავრის ციხე 1897 წელს დაუნგრევიათ და კათოლიკური ეკლესიის მშენებლობისთვის გამოუყენებიათ ქვები (მ. ველიჯანაშვილი 1974).

„ღართის“ ეკლესიიდან მოშორებით, ჩრდილო-აღმოსავლეთით ფერდზე სოფლის სასაფლაოა შემორჩენილი. ძველი საფლავის ნაქანდაკები ქვებით, მკაფიო სილუეტებითა და რამდენადმე გულუბრყვილოდ შესრულებული მეტყველი ხატოვანი გამოსახულებებით. აქ შემონახული მემორიალური ძეგლები ცალკე შესწავლისა და კვლევის საგანს წარმოადგენს, შემოანხულობის სიმრავლით, დაცულობითა და განსხვავებული ნიმუშების არსებობის გამო.

სოფელ ხიზაბავრას ასევე ჰქონდა ბუნებრივი „მაცივარი“. ყინულის ავზი - „სამყინვარო“, სადაც აგვისტომდე არ დნებოდა ყინული, მოსახლეობა კი სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულებით იყენებდა მას. ბუნებრივი „მაცივარი“ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, ხიზაბავრიდან მოკლე საცალფეხო გზით დაკავშირებული.

სოფლის სხვა სიძველეთა შორის აღსანიშნავია ე. წ. „დარნები“[1] - ომიანობის დროს მოსახლეობის გასახიზნად აგებული თავდაცვითი-სამალავი ნაგებობები. მიწისქვეშა გვირაბების წყება, რომელთაც ხშირად რამდენიმე განშტოება ჰქონდა სხვადასხვა მიმართულებით გასასვლელად სამცხე-ჯავახეთის სოფლების განაშენიანებისთვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. თითქმის ყველა სოფელს გააჩნდა დარნების ქსელი, რომელიც მტრის შემოსევის დროს სოფლიდან მოსახლეობის უსაფრთხოდ გაყვანას უზრუნველყოფდა. ხიზაბავრაში დაფიქსირებულ დარნებს შორის ერთ-ერთი ასეთი

[1] „დარანი“ - გინა კლდეში, ან მიწის ქვეშ შესასვლელი სამალავი. დარნად ითქმის სახლი მიწას ქვეშ ნაგები, გინა მიწა და კლდე შეთხრილი უჩინრად“. სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991

წყაროდან იწყებოდა. ერთი შტოთი მდინარე მტკვრამდე ჩადიოდა, მეორე - ვენახებში, ხოლო მესამე - „ნაფეტვარის“ გამოქვაბულებს უერთდებოდა (მ. ველიჯანაშვილი 1974). დღეს ერთ-ერთი ასეთი დარნის კარი-ჩასასვლელი შემორჩენილია გელა ლეკიშვილის თანამედროვე საცხოვრებელში.

სოფელ ხიზაბავრის განაშენიანებაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ბანით მომთავრებული დარბაზული ტიპის საცხოვრისები. ეს ხალხური ხუროთმოძღვრების ნიმუშები ჩვენს რეალობაში უკვე იშვიათობას წარმოადგენს მთელს რეგიონში. ზოგიერთ სოფელში ერთეულების სახითაა შემორჩენილი. სოფელ ხიზაბავრაში თავს იყრის რამდენიმე მიწურ-ბანიანი ნაგებობა, რომლებიც განაშენიანებაში ძველი კონტურების გარკვეულ ლოკალურ წერტილებს მონიშნავს. მართალია, დღეს სოფლის დასახლებაში საბჭოთა პერიოდში აშენებულ საცხოვრებლებმა მთლიანად აითვისეს სოფლის ძველი გეგმარება თუმცა, ზოგან შუკა-ბილიკები კვლავ შემოიკრებს ბანით მომთავრებულ ნაგებობებს და XIX საუკუნის ბოლო -XX საუკუნის დასაწყისამდე არსებული განაშენიანების მიკრო არეალს წარმოაჩენს.

ჯავახეთის ძველი სოფლების მსგავსად ხიზაბავრელებსაც სახნავ-სათესი მიწები დასახლების გარშემო ჰქონდათ დანაწილებული. მეურნეობა სიმბიოზურ ხასიათს ატარებდა. წამყვან დარგს წარმოადგენდა მევენახეობა. ასევე, მისდევდნენ მესაქონლეობას, მოჰყავდათ კარტოფილი. სოფელს ზეთის სახდელი ქარხანაც ჰქონია. დღესაც შემორჩენილია ზეთსახდელი გელაზები.

ამრიგად, სოფელი ხიზაბავრა მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს, სადაც ძველი განაშენიანების ცალკეული რგოლები ჯერ კიდევ შემორჩენილია. სოფელში დაფიქსირებული დარბაზობანი კომპლექსები: გია ხუციშვილის, ფანჩო ველიჯანაშვილის, ნოდარ ხაზალაშვილის, ზურა კეღოშვილის, ლუბა კეღოშვილის, ელდარ მურადაშვილის, პავლე კეღოშვილისა და გოდერძი მაზმიშვილის, საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ ტრადიციული საცხოვრისის ზოგად ქართული და რეგიონალური მახასიათებლების.

II თავი. სოფელ ხიზაბავრის ტრადიციული ხალხური საცხოვრებლების აღწერა

სოფელი ხიზაბავრა ოდნავ დამრეც ფერდზეა გაშენებული. ჩემს მიერ კვლევის პროცესში დაფიქსირებული მიწურ-ბანიანი კომპლექსების საორიენტაციო წერტილად სოფლის მთავარი მოედანი ავიღე, რომელიც შემომკრებია ძველი შუკა-ბილიკების. (დან. 2.1)

სოფლის შესასვლელში, მთავარი მოედნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს **გია ხუციშვილის** თანამედროვე საცხოვრებელი, რომელშიც ჩართულია მიწურ-ბანიანი კომპლექსიდან თაკარებიანი ოდა და გვირგვინით მომთავრებული დარბაზი. საცხოვრებლის წინ საკმაოდ მასშტაბური სივრცის მქონე თივის შესანახი ნაგებობა - საბძელი თითქმის სრულიად ჩანგრეულია. (სურ. 2.1)

უშუალოდ დარბაზი გეგმაში კვადრატს შემოწერს. გვირგვინი არა თუ მთელს ფართობზე ამოდის, როგორც ამ კუთხეში გავრცელებულ დარბაზებისთვის იყო დამახასიათებელი, არამედ შესასვლელის მარცხენა მხრიდან ერთ მეტრამდე დაშორებულ ქვის ბაზისზე შედგმულ ბოძსა და სამ მხარეს კედლისპირა საყრდენებზე. პროფილირებული ბალიშების მქონე და მოხარატებულ სვეტებზე გადებულია თავხეები, რომელზეც ერდოიანი-გვირგვინია დაყრდნობილი. გადახურვის პირველი საფეხური რვაწახნაგაა, საიდანაც მომდევნო სამი საფეხური ოთხკუთხა კუთხურ წყობაზე გადადის. ინტერიერში შესასვლელის მოპირდაპირე კედლის ცენტრში, ბუხარია მოწყობილი, ამჟამად ამოქოლილია. ბუხრის ორსავე მხარეს სვეტებზე დაბალი რელიეფური ნახატით გამოყვანილია ორ-ორი ვარდული, რომლებიც საყრდენის ზედაპირზე ჰორიზონტალურად ღრმა ჭრით გამოკვეთილი არეს ზემოთ და ქვემოთაა განაწილებული. ორივე სვეტთან თითო დოლაბია კედელში მოწყობილი. (სურ. 2.2; 2.3; 2.4)

საცხოვრისის შემორჩენილი მეორე უჯრედი ოდა ოთახს წარმოადგენს. წაგრძელებული სწორკუთხედის მქონე ინტერიერში მოშლილია ხის ტახტები - საქვეები თუმცა, კარგადაა შემონახული გადახურვის გრძივ-გვირგვინული სისტემა. კედლისპირა საყრდენებზე დაყრდნობილია ოთხ საფეხურიანი თაკარა წყება. შესასვლელის აყოლებაზე დატანებული გვერდული განათების წყაროთი. ოდა ოთახის ტრადიციული გეგმარების მიხედვით შესასვლელის მოპირდაპირე კედელში ბუხარია განთავსებული. მის ორსავე მხარეს კედელშივეა მცირე ზომის დოლაბები (თაროები) მოწყობილი. ბუხრის თაღის ხაზი მცირედ პროფილირებულია. ამჟამად შემორჩენილია ხეში ნატიფად ჭრილი მორთულობის ელემენტები. (სურ. 2.5; 2.6)

იატაკი ორივე სათავსოში მიწატკეპნილს წარმოადგენს. კედლები სხვადასხვა ზომის უხეშად დამშავებული ქვებით მკვიდრად არის ნაგები. კარგად განირჩევა შელესილობა თეთრი მიწა-თიხით. ნალესობის დიდი ნაწილი დღეს უკვე ჩამოცვენილია.

ფანჩო ველიჯანაშვილის დარბაზოვანი ნაგებობა მთავარი მოედნიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. დასახლების ამ ძველ შუკა-ბილიკზე გაყოლებულია მიწურ-ბანიანი საცხოვრებლები. (სურ. 2.7)

ოდნავ დამრეც ფერდზე დედაქანში შედგმული მესხური დარბაზოვანი ტიპის ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული. ბანის ქვეშ თავმოყრილია დერეფანი, ოდა და საციო. სამწუხაროდ, ჩაქცეულია გადახურვის დიდი წილი, ფასადის მხარეს ჩამოშლილია კედლის წყობა, ფაქტობრივად დაღუპვის პირასაა.

საცხოვრისში ცალყურა კარით პირდაპირ დერეფანში შევდივართ. მცირე ფართობის სივრცე ჰორიზონტალური გადახურვითაა მომთავრებული. პირდაპირ კარით ორ მომიჯნავე ნაგებობაში გავდივართ - ოდასა და საკუჭნაოში. მიწურ-ბანიან ნაგებობებში სათავსოთა დაგეგმარებისას არაერთგვაროვანი სურათი ჩანს. მხოლოდ ერთმანეთის გვერდით უმეტესწილად ახორი და ოდაა განთავსება და ამასთანავე, ფიცარტიხრულით არის ერთმანეთისგან გამიჯნული. ამიტომ, ოდას ხშირად „ახვრის ოდად“ მოიხსენიებდნენ. დაგეგმარების ამგვარი გადაწყვეტა ცივ ზამთრიან დღეებში პირუტყვის სიმხურვალის დამატებით გათბობის წყაროდ გამოყენების მიზნით იყო

განპირობებული. თუმცა ამ შემთხვევაში ოდას მომიჯნავე სათავსო იმდენად მცირე ზომისაა, რომ ნაკლებ სავარაუდოა, ტევადობის მხრივ ეს ყოფილიყო ბოსელი. ოდა შესასვლელიდან ხელმარჯვნივაა მოწყობილი. ბუხარი აღმოსავლეთ კედლშია ჩადგმული. საცხოვრისის ამ სეგმენტს ასიმეტრიული გეგმარება გამოარჩევს. სათავსოს სამხრეთ მხარეს სვეტებით გამოყოფილი მცირე სივრცე აგრძელებს. სავარადოდ აქ ხის ტახრების მეორე იარუსი უნდა ყოფილიყო მოწყობილი. ოდა ოთახის გადახურვა გრძივ-გვირგვინული სისტემითაა მომთავრებული. თაკარა ძელების წყება სვეტებით გამოყოფილ სეგმენტის მხარეს უშუალოდ თავისუფლად მდგომ საყრდენებზეა დასმული, ხოლო სამხრეთი სივრცე ჰორიზონტალურ-ძელური გადახურვისაა - ოდნავ კედლისკენ დამრეცადაა შეფიცრული. ქირიშებიანი გადახურვა ორივე მხარეს ექვს-ექვსი შეკიდულად დადებული ძელითაა მოწყობილი, სადაც განათების წყარო შესასვლელის ზღურბლის აყოლიებაზეა განთავსებული. (სურ. 2.8; 2.9; 2.10; 2.11)

საცხოვრისის ჩრდილოეთ ნაწილში დაგეგმარებულ მოგრძო სათავსოს სამივე კედლის მხრიდან ერთ კვანტიანი სისტემით შეკრული გადახურვა ამთავრებს. ხოლო ამ ნაგებობისა და ოდა ოთახის გამმიჯნავ ორწყებად დალაგებულ სვეტების აყოლებაზე სათავსოსთვის გვერდული განათებაა შექმნილი. იატაკი ყველა უჯრედში მიწატკეპნილს წარმოადგენს.

ნოდარ ხაზალაშვილის მიწურ-ბანიანი ნაგებობიდან შემორჩენილია მხოლოდ საბძელი, რომელიც ამავე შუკა-ბილიკის გაყოლებაზე მდებარეობს. (სურ. 2.12) მცირედ გამოყოფილ შესასვლელში ჩასული ადამიანი ფართობით საკმაოდ მაშტაბურ სივრცეში ხვდება, სადაც გადახურვის სისტემა კედლისპირა საყრდენებსა და ინტერიერში ორ მწკრივად განლაგებულ სვეტებზეა გამართული. შესასვლელიდან სივრცის გამყოფი სვეტების მეორე რიგზე კედლიდან კედლამდე გადაყოლილია ერთი მთლიანი ბოძი, ამ შეიძლება ითქვას გამყოფი ნიშნულის ორსავე მხარეს განლაგებული შუალა სვეტები შედარებით გრძელია და ორივე რიგზე შემკვრელი თავხეებია დალაგებული, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ კედლიდან კელდამდე გადებულ ბოძზე ლაგდება. ხოლო გვერდებიდან, ორივე რიგის შემკრებ თავხეებზე ბოძებია დალაგებული რომელთა

შორის არეებიც შეფიცრული და შედარებით მცირე ზომის დაჩორკნილი ძელაკებითაა ამოვსებული. ამგვარი წყობით მიღებულია რამდენადმე აწეული, კამარისებური გადახურვა. გადახურვის სისტემა საკმაოდ დაზიანებულია. ზოგიერთ უბანზე მთლიანად ჩამონგრეულია და ჩამოტანილია ბანის - მიწის საფარველი, ზოგან კი ამოფიცრულ ნაწილებში ჩატეხილია ხის მასალა. ეს გამოწვეულია ბანის მოუვლელობით, მასალის ლპობითა და ხის ჭიისგან დაზიანებით, რაც თითქმის დღეს შემორჩენილ ყველა მიწურ-ბანიან საცხოვრისში ფიქსირდება. (სურ. 2.13; 2.14)

ნოდარ ხაზალაშვილის საბძელსა და ლუბა და ზურაბ კეღოშვილების კარ-მიდამოს უბნის გზა ყოფს. ერთმანეთის მოგვარეების საცხოვრისები გზის ქვედა მხარეს დამრეც ფერდზეა განლაგებული. საცხოვრისებს შორის ჩამავალი ბილიკი ქვაფენილით ყოფილა მოგებული, დღეს მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი. (სურ. 2.15)

ზურაბ კეღოშვილის მიწურ-ბანიანი საცხოვრებელი ჯერ კიდევ ატარებს კომპლექსურ ხასიათს. ნაგებობა მეპატრონეთა თანამედროვე საცხოვრებელს ებჯინება და კედლის ნაწილით კარაპანის სივრცეში იჭრება. ამდენად, დარღვეულია სათავსოს ამ სეგმენტის თავდაპირველი კონფიგურაცია. კარაპანიდან თანდათანობით საფეხურების მეშვეობით დედაქანის სიღრმისკენ ვეშვებით. საფეხურები მოწყობილია სათავსოთა გამყოფ ზღურბლზე, ანუ ყოველი მომდევნო უჯრედი წინასთან შედარებით დედაქანში უფრო ჩაზრდილია. კარაპანიდან ცალყურა კარით დერეფანში შევდივართ, სადაც ხელმარჯვნივ კედელშივე გამართულია ფურნე (სურ. 2.21). ხოლო მის მოპირდაპირედ ცალყურა კარის მეშვეობით გვირგვინით მომთავრებულ დარბაზში შევდივართ. დერეფნის ბოლოში, პირდაპირ იყო ოდაში შესასვლელი, ხოლო ამ შესასვლელიდან ხელმარცხნივ მას ახორი ესაზღვრებოდა.

კარაპანსა და დერეფანს თანაგვარი ბრტყელი, ჰორიზონტალურ-ძელური გადახურვა აქვს. იატაკი კი მიწატკეპნილს წარმოადგენს. (სურ. 2.16; 2.17)

ერდო-გვირგვინიანი დარბაზი გეგმაში კვადრატს უახლოვდება. შესასვლელის გასწვრივ კედელში მოწყობილია ბუხარი. ბუხრის ორსავე მხარეს გვირგვინის საყრდენი სვეტები შედარებით მორთულია. ჰორიზონტალური ხაზებით პროფილირებული

ამობურული ზედაპირი მკაფიოდ განირჩევა. ამასთანავე, საყრდენების ზედა წელზე სვეტებს გვერდითა მხრიდან შეჭრილი ნაჭდევები ეტყობა. სავარაუდოდ თაროების მოწყობის მიზნით უნდა იყოს გაკეთებული. შესასვლელიდან მარჯვენა მხარეს კედლის სიბრტყიდან დაახლოებით ერთი მეტრის მოშორებით დალაგებულია გადახურვის დამჭერი ბოძები. ნაგებობას ამ მხრიდან დამატებითი სათავსო ებჯინება - საკუჭნაო. დანარჩენ სამ მხარეს გვირგვინქვეშა საყრდენი სვეტები კედლის გასწვრივაა დალაგებული. მათზე გადებულია თავხეები, რომლითაც შეკრულია კვადრატი. მცირედ დამუშავებული დაჩორკნილი, მსხვილი მასიური ხის მორებით შვიდ საფეხურიანი ოთხკუთხა კუთხური წყობის გვირგვინია ამოყვანილი, ცენტრში დატანებული ღიობით. ნაგებობის ამ უჯრედის იატაკიც მიწატკეპნილს წარმოადგენს. კედლებს ალაგ-ალაგ ეტყობა შელესილობა და კირხსნარით შეთეთრება. (სურ. 2.18)

დერეფნიდან პირდაპირი კარით „ახვრის ოდაში“ შევდივართ. 2010-2011 წლებში განხორციელებული საექსპედიციო მასალის მიხედვით, რომლის საფუძველზეც ძეგლის სტატუსი მიენიჭა ზურაბ კეღოშვილის მიწურ-ბანიან საცხოვრისს, ჩანს კარგად შემონახული გადახურვის თაკარებიანი სისტემა. შეკიდულად დალაგებული მსხვილი მრგვალი ბოძებით გამართულია გადახურვის თაკარა წყობა. განათების წყარო კი შესასვლელის აყოლებაზეა მოწყობილი. ასევე, ჩანს ორ იარუსიანი ხის ტახტები - საქვეები. შესასვლელის მოპირდაპირე კედელში ჩაშენებულია ბუხარი, აქეთ-იქით კედელშივე დატანებული დოლაბებით. 2016 წლის ზაფხულში საველე სამუშაოების დროს სრულიად გადაკეთებული დამხვდა საცხოვრებლის ეს უჯრედი. მოშლილია გრძივ-გვირგვინული გადახურვა და მის ნაცვლად ბრტყელი, ჰორიზონტალური გადახურვაა მოწყობილი. ასევე, აღებულია საქვეები. (სურ. 2.19; 2.20)

ზურა კეღოშვილის დარბაზში ოდა ოთახს ებჯინებოდა ახორი. პირუტყვის სადგომი საკმაოდ გრძელი და ტევადი ჩანს. გეგმაში უახლოვდება მოგრძო სწორკუთხედს. გადახურვის მოსაწყობად ინტერიერში გამოყენებულია, როგორც კედლისპირა ისე თავისუფლად მდგომი ბოძები. გადახურვა ერთ კვანტიან სისტემას წარმოადგენს. განათება შვეულად იჭრება ჭერში დატანებული ღიობის საშუალებით.

ლუბა კეღოშვილის კარ-მიდამო აერთიანებს რამდენიმე სათავსო ნაგებობას. ბანით მომთავრებული საცხოვრისის ერთიანი საფასადე მხარე დარღვეულია მეპატრონეთა თანამედროვე საცხოვრებლის ჩადგმით. დღევანდელი სურათი კი ასე გამოიყურება: თანამედროვე საცხოვრებლის ორსავე მხარეს გრძელდებ ბანით მომთავრებული სათავსო-ნაგებობები.

კომპლექსში შემავალ ნაგებობებს დამოუკიდებელი შესასვლელები აქვს. ფასადის მხრიდან პირველივე ჩასასვლელით გვირგვინით მომთავრებულ დარბაზში შევდივართ. მომდევნო კარი სამწუხაროდ ვერცერთხელ ვერ გავაღეთ. მეპატრონის თქმით აქ დამხმარე ნაგებობაა, რომლის თავდაპირველი ფუნქციური დანიშნულება ზუსტად არ ახსოვს. (სურ. 2.22; 2.23)

ერდო-გვირგვინიან დარბაზში პირდაპირ ცალყურა კარით შევდივართ, რომლის გეგმარებაც რამდენადმე ირეგულარულია. კედლები ერთმანეთის მართობული თითქმის არცერთ კუთხეში არ არის. განსაკუთრებით შესასვლელიდან ხელმარცხნივ სივრცის შემომსაზღვრელი კედელი სეგმენტს რკალისებრად შემოწერს. ამიტომ, გვირგვინქვეშა კვადრატის შესაკრავად შესასვლელის მხარეს ინტერიერში სამი თავისუფლად მდგომი საყრდენი არის განთავსებული, რომელებიც ქვის ბაზისებზეა შედგმული. სადა, უხეშად დამუშავებულ ბოძებზე გადებულია თავხე. დანარჩენ სამ მხარეს კედლისპირა საყრდენებია (სულ ექვსი ბოძი ფიქსირდება თავრაპირველი წყობიდან) დალაგებული ქვის ბალიშებზე შედგმული და პროფილირებული, ტრაპეციის მქონე ბანდუშებით მომთავრებული. (სურ. 2.24; 2.25; 2.26; 2.27; 2.28)

გადახურვის ცენტრულ-გვირგვინული სისტემის პირველი საფეხური ექვსწახნაგას წარმოადგენს, რომლიდანაც ოთხწახნაგა კუთხურ წყობაზე გადადის. ცენტრში დატანებულია ერდო. სულ რვა საფეხურია. გუმბათის ნიყურები ხელით უნდა იყოს კარგად დამუშავებულ-დაწახნაგებული. გვირგვინის წყობისას ერდოსკენ საფეხურებად დალაგებული ნიყურები შედარებით წვრილდება და კარგად დაწახნაგებული კოჭები მრგვალი ძელაკების წყობითაა გაგრძელებული. გადახურვის ამგვარი გადაწყვეტა

კედლის წყობასთან ერთად მნახველში სივრცის მაშტაბის აღქმისას ერთგვარ ილუზორულ ეფექტს ქმნის.

ერდო-გვირგვინიანი დარბაზის დაგეგმარებაში, კედლის სიბრტყეების ირეგულარულობასა და მრუდხაზოვნებაში რამდენადმე არქაული სურათი ჩანს.. არქაულობის მომენტს კიდევ უფრო აძლიერებს კედლის წყობისას მასიური ქვის ლოდების გამოყენება. თითქმის დაუმუშავებელი ქვები ერთმანეთზე მკვიდრადაა მორგებული. დიდი ზომის ქვები კედლის ქვედა წყობას ქმნის, გვირგვინისკენ კი შედარებით მცირდება ზომაში. კედელში სამი დოლაბია დატანებული. გადახურვის გვირგვინული სისტემის დღევანდელი მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ინტერიერში გამაგრების მიზნით დამატებით საყრდენებია მოწყობილი.

მიწურ-ბანიანი ნაგებობის ფასადის მხარეს მესამე შესასვლელი უშუალოდ იჭრება ერთი მხრიდან თანამედროვე საცხოვრებლის სტრუქტურაში. (სურ. 2. 29) საცხოვრისს ღია კარაპანი არ უძღვის წინ. პირდაპირ დახურულ დერეფანში შევდივართ, სადაც მოწყობილია ფურნე. სათავსოს ამ უჯრედიდან, შესასვლელიდან პირდაპირ ცალყურა კარით მარანში შევდივართ. თავდაპირველი შესასვლელი დერეფნიდან (სურ. 2.30) მეორე კარით კიდევ ერთ ვიწრო დერეფანში გავდივართ (სურ. 2.31), ხოლო აქედან ხელმარჯვნივ კარით ოდა ოთახში ვხვდებით. (სურ. 2.32; 2.33)

ნაგებობაში შესასვლელი დერეფანი ფურნის ოთახის ფუნქციასაც ითავსებდა. საცხოვრისის ამ უჯრედს ბრტყელი გადახურვა აქვს. ჭერი მოწყობილია ერთმანეთისგან დაახლოებით ერთი მეტრის დაშორებით მასიური ხის მრგვალი ბოძებით, რომლებიც კედლიდან კედლამდეა გადებული. მათ შორის არეები შედარებით მცირე ზომის ძელებითაა ამოვსებული. ფურნე კედელშია შედგმული და კარგად ნათალი ქვებითაა გამართული. ფურნეს ორი კარი აქვს დიდი და პატარა. დიდი - საიდანაც ჯერ ცეცხლს დაანთებდნენ გასახურებლად შემდეგ კი პურს შესვავდნენ. მეორე პატარა კარი „ჩირალუღი“ - სადაც ცეცხლი მუდამ ენთო ტემპერატურის შენარჩუნების მიზნით.

მარანი საკმაოდ მოზრდილი სწორკუთხედის გეგმარების სათავსოს წარმოადგენს. გადახურვის სისტემა ოდა ოთახისთვის დამახასიათებელ გრძივ-გვირგვინულისა და

კვანტებიანი წყობის შერწყმულ სახეს იძლევა. შესასვლელიდან ორსავე მხარეს კედლიდან დაახლოებით ნახევარი-ერთი მეტრის მოშორებით თავისუფლად მდგომი საყრდენებია. მათზე გადებულია თითო-თითო მსხვილი ბოძი. ამ თავხეებზე დაწყობილია კვანტები. კვანტებზე კვლავ მსხვილი, ხელით დამუშავებული - დაჩორკნილი ბოძები. შემდეგი ბოძების რიგი წინასგან დაახლოებით ნახევარი მეტრითაა მოშორებული და შედარებით მაღლაა დალაგებული. შორისი არეები ამ შემთხვევაში ფიცრებითაა ამოჭედილი. სათავსოს ამ უჯრედს განათება გვერდული აქვს. ისე, როგორც ოდა ოთახს, შესასვლელის ასწვრივ დატანებული. (სურ. 2.34; 2.35)

დერეფნის კედლის წყობისას კარგად ნათალი ქვებია გამოყენებული. დერეფნის გადახურვაც ბრტყელია. ჭერში ერთი ღიობია მოწყობილი. იატაკი მიწატკეპნილს წარმოადგენს ზემოთ აღწერილი უჯრედების მსგავსად.

კომპლექსში შემავალი ერთ კვანტიანი გადახურვით მომთავრებული ახორი დღეს პირუტყვის სადგომად აღარ გამოიყენება. ჭერის მოწყობისთვის გრძივ კედლებში ჩაყოლებულია გადახურვის დამჭერი ბოძები, ხოლო საყრდენების მეორე რიგი თავისუფლად დგას ინტერიერში. განათებისთვის ჭერში დატანებულია ორი ღიობი განივი კედლების აყოლებაზე. გრძივი კედლების გასწვრივ შემორჩენილია ბაგები. იატაკი მასიური ქვის ფილებითაა მოგებული.(სურ. 2.36; 2.37)

ოდა ოთახი მომცრო ზომისაა. დღეს საცხოვრისის ეს უჯრედი სამზარეულოდ გამოიყენება. შემორჩენილია გადახურვის თაკარებიანი წყება. სამ-სამი თაკარა კარგად დახერხილი ფიცრებითაა შეკრული. განათება ჩვეულ შესასვლელის აყოლებაზეა მოწყობილი. კედლებში თაღჩები ყოფილა განთავსებული. შესასვლელის მოპირდაპირე კედელშ კი ბურახი. იატაკი მიწატკეპნილს წარმოადგენს.

ლუბა კეღოშვილის თანამედროვე საცხოვრებლის მარჯვენა მხარეს კიდევ ერთი მიწურ-ბანიანი ნაგებობების ერთობლიობა იყრის თავს. აქაც გარემოსკენ გახსნილი კარაპანის მოწყობა უგულებელყოფილია და პირდაპირ დერეფანში შევდივართ, საიდანაც ცალყურა კარით კიდევ ერთ მომცრო ზომის დერეფანში ვხვდებით (სურ. 2.38; 2.39). აქ შესულებს ხელმარცხნივ თავისუფლად მდგომი ბოძები გვხვდება, რომლებიც

მარცხენა მხრიდან არსებულ სივრცეს ანაწევრებს. ორივე ზემო ხსენებულ დერეფანში ბრტყელი გადახურვაა მოწყობილი. აქედან პირდაპირი კარით ახორში შევდივართ, რომელსაც ერთკვანტიანი გადახურვითაა მომთავრებული. (სურ. 2.40)

დერეფნიდან ხელმარჯვნივ მცირე ტევადობის ოდა ოთახია. შესასვლელის მოირდაპირე კედელში ბუხარია ჩაშენებული. მის ორსავე მხარეს კედელში განთავსებულია დოლაბები. გადახურვა გრძივ-გვირგვინულ სისტემას წარმოადგენს (სურ. 2.41). განათება გვერდულად შესასვლელის აყოლებაზეა მოწყობილი. შეკიდულად დადებული ძელების რაოდენობა ორსავე მხარეს სამ-სამია. საცხოვრისის ამ უჯრედში აღარ არის შემორჩენილი ხის ტახტები- საქვეები. სავარაუდოდ ოთახის ფართობიდან გამომდინარე გრძივი კედლების გასწვრივ ხის ტახტების თითო რიგი უნდა ყოფილიყო გამართული. ამჟამად საცხოვრისის ამ უჯრედის გადახურვის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ამიტომ, მეპატრონეებს გამაგრების მიზნით გადახურვის სისტემის დასაჭერად ხის ბოძები შეუყენებიათ.

შესასვლელში, დიდი დერეფნიდან ხელმარჯვნივ კარით სარკმლიან ოდაში („იაზლუღი“) შევდივართ. შესასვლელის მოპირდაპირედ კედელში განთავსებულია ბუხარი. ბუხრის მარჯვენა მხარეს მცირე დოლაბია, კიდევ ერთი შედარებით დიდი თარო შესასვლელი კარიდან მარჯვენა მხარეს კედელშია განთავსებული. ნაგებობის ამ უჯრედს ფასადის მხარეს კედელში ერთი სარკმელი აქვს გაჭრილი. სამწუხაროდ ძლიერაა დაზიანებული გადახურვა. თითქმის სრულიად ჩამოქცეულია. შემორჩენილი ნაწილის მიხედვით ბრტყელი - ჰორიზონტალური გადახურვით უნდა ყოფილიყო მომთავრებული. რაც სარკმლიანი ოდა ოთახების სივრცით-გეგმარებითი წყობისთვის იყო დამახასიათებელი. მიწურ-ბანიან კომპლექსებს მსგავსი უჯრედები XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მიადგეს. თ. ოჩიაურს სახლის ეს ტიპი დარბაზული საცხოვრისის სტრუქტურიდან გარდამავალ არქიტექტურულ ნიმუშად მიაჩნია. (სურ. 2.42; 2.43)

ლუბა კეღოშვილის კარ-მიდამოში გარდა ზემოთ აღნიშნული ნაგებობებისა შემორჩენილია ბანზე გამართული კალო. ბაზალტის უსწორმასწორო ქვებით

შემორაგული მარცვლეულის გასალეწად მოწყობილი კალო დღეს უკვე ტრადიციული სამეურნეო კულტურის უიშვიათეს ნიმუშს წარმოადგენს.

ელდარ მურადაშვილის მიწურ-ბანიანი საცხოვრისი სოფლის ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთ უბანში მდებარეობს. განაშენიანებაში თავისუფლადაა ჩართული. ნაგებობა აღარ გამოიყენება თავდაპირველი დანიშნულებით. დღეს უმთავრესად პირუტყვის სადგომადაა გადაკეთებული. შემორჩენილია გვირგვინით მომთავრებული დარბაზი და ახორი. (სურ. 2.44)

საცხოვრისს წინ არ უძღვის კარაპანი. ცალყურა კარით პირდაპირ გვირგვინით მომთავრებულ დარბაზში შევდივართ. აქ, დარბაზი უშუალოდ ესაზღვრება ახორს და ფიცარტიხრულით არის გამოყოფილი (მესხურ დარბაზებში უმთავრესად ოდა ოთახი და ახორი ესაზღვრება ერთმანეთს და ფიცარტიხრულითაა გამოყოფილი). შემორჩენილია ფიცრული კედლის ნაწილი. შესასვლელიდან ხელმარცხნივ კედელში ბუხარი ჰქონდათ გამართული. კარგად იკითხება ბუხრის თაღის ასიმეტრიული მოყვანილობა. გვირგვინი ამ შემთხვევაში მთელს ფართობზე ამოდის, რომელიც გამართულია კედლისპირა, თავისუფლად მდგომ და კედელში ჩაყოლებულ (შესასვლელიდან ხელმარცხნივ კედელში ერთი ბოძია ჩატანებული) საყრდენებზე. კედელთან მიდგმულ მასიურ სვეტებზე კუთხეების ადგილას კედლიდან დაშორებული რამდენიმე საყრდენია გამოყენებული. ტრაპეციის ფორმის ბალიში აქვს მხოლოდ ფიცარტიხრულის შუა ბოძს. ყველა დანარჩენი კი ხის მცირედ ჩამოთლილი ტანის, ქვის ბაზისზე შედგმული საყრდენია. ასეთივე მსხვილი მორებითაა შედგენილი მერცხლისბუდა გადახურვის ნიყურები. გვირგვინი რვა საფეხურიანი, ოთხკუთხა კუთხური წყობით ამოყვანილი. გვირგვინის დაზიანების გამო ინტერიერში დამჭერი დამატებითი საყრდენებია გამართული. (სურ. 2.45; 2.46)

ახორი ერთკვანტიანი გადახურვით მომთავრებულ სივრცეს წარმოადგენს. გადახურვა აქაც მსგავსი პრინციპით არის გამართული, კედლისპირა საყრდენებსა და თავისუფლად მდგომ ქვის ბაზისებზე შედგმულ ბოძებზე. აღარ არის შემორჩენილი ბაგები. იატაკიც ამჟამად მიწატკეპნილს წარმოადგენს. გადახურვა დაზიანებულია.

ჩამოტეხილია ამოფიცრული უბნები. კედლების წყობა ბევრად უფრო მტკიცე და შეკრულია. (სურ. 2.47)

პავლე კეღოშვილის კარ-მიდამო სოფლის ცენტრიდან სამხრეთით მდებარეობს. სოფელში შემონახულ მიწურ-ბანიან საცხოვრებლებს შორის ერთ-ერთი საყურადღებო ნიმუშია. კომპლექსს ზემოთ აღწერილი ნაგებობისგან განსხვავებით ძეგლის სტატუსი არ აქვს მინიჭებული.

საცხოვრებელი აერთიანებს ორი განსხვავებული პერიოდის ნაგებობებს. თუმცა ერთიანი ხასიათი და მესხური ბანიანი საცხოვრებლისთვის დამახასიათებელი გარეგანი იერსახე არ არის დარღვეული. (სურ. 2.48; 2.49)

ერთიანი გადახურვის ქვეშ თავს იყრის დარბაზი ერდო-გვირგვინიანი გადახურვით, თაკარებიანი ოდა, ახორი და ე.წ. „იაზლუღი“. სათავსო-ნაგებობები ერთმანეთთან დერეფნის საშუალებითაა დაკავშრებული. თავდაპირველად შევდივართ მოგრძო დერეფანში. ხელმარცხნივ კედელში გაჭრილი კარით მიწურ-ბანიანი ნაგებობისთვის თავდაპირველად დაგეგმარებულ დერეფანში შევდივართ. საიდანაც ძველ საცხოვრებელ სეგმენტებში ვხვდებით. საცხოვრისის ეს უჯრედი ფურნის ოთახსაც აერთიანებს. სათავსოს ხელმარცხნივ სვეტებითა და ნაწილობრივ ფიცარტიხრულით გამოყოფილია ფურნის სეგმენტი. გამოუყენებლობისა და მოუვლელობის გამო საკმაოდ დაზიანებულია ფურნე თუმცა, კარგადაა შემონახული მთლიანი სტრუქტურა. კარგად დამუშავებული ქვებითაა ამოყვანილი კამარა. უშუალოდ ფურნის გვერდით სათავსო სივრცე სვეტებითაა დანაწევრებული. ორივე უჯრედს ბრტყელი, ჰორიზონტალურ-ძელური გადახურვა აქვს. (სურ. 2.51; 2.52)

დერეფნიდან (ძველი ნაგებობის) პირდაპირი კარით გვირგვინით მომთავრებულ მასშტაბურ, ხალვათ სივრცეში შევდივართ. (სურ. 2.53) შესასვლელიდან მარცხენა მხარეს კედელში ბუხარი ყოფილა ჩადგმული, რომელიც დღეს ამოშენებულია. შესასვლელიდან მოპირდაპირე კედელს მრუდხაზოვნება ახასიათებს. მარჯვენა ნაწილში, განსაკუთრებით კუთხის შემკვრელი არე გაწეულია და კედლის შემკვრელი კუთხე თითქოს ჩამოკვეთილია. ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს ამ

კუთხეში გასასვლელი უნდა ყოფილიყო განთავსებული და ამოუშენებიათ. ჯავახური სიმკაცრითა და სისადავით გამოირჩევა გვირგვინქვეშია საყრდენი სვეტები, რომლებიც ქვის ბაზისებზეა შედგმული და დაწახნაგებული ტანის მქონეა. საყრდენთა ნაწილს ნაჭდევები აქვს. საფიქრალია, ისინი თაროების მოსაწყობად იყო გაკეთებული. (სურ. 2.54)

მიუხედავად იმისა, რომ სამცხე-ჯავახეთის დარბაზებისთვის არ არის დამახასიათებელი ინტერიერში დედაბოძის მოტივი, პავლე კეღოშვილის დარბაზში ოსტატს „გულთა ბოძი“ თავისებურად გამოუყვია და ჩაურთავს დარბაზის სივრცით-გეგმარებით სტრუქტურაში (სურ. 2.53). დარბაზში შესულს პირდაპირ, თავისუფლად მდგომი სვეტი ხვდება, რომელიც გვირგვინული გადახურვის მეორე საფეხურის ნიყურების დამჭერადაა შედგმული. დედაბოძიც ყოველგვარი მორთულობისგანაა დაცლილი. დანარჩენი საყრდენებისგან გამოარჩევს მინიმალური დამუშავება, ფაქტობრივად ქვის ბაზისზე აღმართული გაქერქილ ხის მთლიან ტანს წარმოადგენს. პროპორციებით კედლისპირა საყრდენებთან შედარებით მსხვილი და გრძელია. ქართლის დარბაზებისგან განსხვავებით აქ ნაკლები მნიშვნელობა აქვს სივრცით-გეგმარებითი სტრუქტურის ორგანიზებისას დედაბოძის მოტივის ჩართვას.

დარბაზში კედლისპირა საყრდენებზე გადებულია შედარებით კარგად დამუშავებულ-დაწახნაგებული თავხეები, რომლითაც გვირგვინქვეშა საყრდენი კვადრატია შეკრული. გვირგვინის ნიყურები მსხვილი, გაქერქილი მორებითაა შედგენილი. გადახურვის სისტემის პირველი საფეხური ექვს წახნაგას წარმოადგენს, საიდანაც ოთხკუთხა კუთხურ წყობაზე ხდება გადასვლა. ხის მთლიანი ტანით შეკრული, თავისი პროპორციებით მონუმენტური გვირგვინი შემომკრებია საკმაოდ მასშტაბური სივრცის, მასზე გაბატონებულია და ბრუნვითა და ცენტრში დატანებული ერდოსკენ დინამიკური სვლით გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. რვა საფეხურიანი გვირგვინული სისტემის ბოლო რიგი ჩამოშლილია, რაზეც ინტერიერის ცენტრში გადახურვის კოჭების დაზიანებული ნაწილების არსებობა მეტყველებს. (სურ. 2.55)

დერეფნიდან მარჯვნივ ცალყურა კარით მცირედ მონიშნულ სივრცეში შევდივართ, საიდანაც გასასვლელია „ახვრის ოდაში“. დღეს ამ ორ სივრცეს შორის გამყოფი თავისუფლად მდგომი ბოძებია. წაგრძელებული სწორკუთხედის გეგმარების სათავსოს ისე, როგორც დარბაზს არქაულობის იერსახე ამჩნევია. ეს უმთავრესად შესაგრძნობია გადახურვის კონსტრუქციისთვის მინიმალურად დამუშავებული ხის მთლიანი ბოძების გამოყენებაში. კედლიდან კედლამდე გადებულ გადაუბმელ ბოძებს ადგილობრივები „ხარი ხეების“ სახელით მოიხსენიებდნენ. მიუხედავად სამ საფეხურიანი წყობისა, შეკიდულად დადებული მასიური ძელები დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. (სურ. 2.56; 2.57)

გადახურვის ცენტრულ-გვირგვინული სისტემისთვის გრძივ კედელში (შესასვლელიდან ხელმარჯვნივ) ჩაყოლებულია სვეტები. ხოლო მოპირდაპირე მხარეს ქვის ბაზისებზე შედგმლი კედლისპირა საყრდენებია დალაგებული. გადახურვის დამჭერი სვეტები უფრო დამუშავებული და დაწახნაგებულია თუმცა, ორნამენტული სამკაული არცერთ მათგანზე არ შეიმჩნევა. შესასვლელიდან პირდაპირ კედელში საყრდენებს შორის ბუხარია მოწყობილი. ხოლო მათ აქეთ-იქით დოლაბებია განთავსებული. აღარ არის შემონახული ხის ტახტები - მოსანდრები, იატაკი მიწატკეპნილს წარმოადგენს.

დერეფნიდან მცირედ მონიშნულ სივრცეში მოხვედრილებს ხელმარჯვნივ კარს ახორში შევყავართ. ეს უკანასკნელი ოდა ოთახისგან არა ფიცარტიხრულით, არამედ ქვის კედლითაა გამოყოფილი. სივრცით-გეგმარებითი სტრუქტურა გრძივ ღერძზეა აგებული. ერთ კვანტიანი გადახურვის სისტემა ასიმეტრიულად არის გამართული. შესასველელი კარის გასწვრივ კედელში ჩატანებულია სვეტები. გრძივი კედლის ამ მხარეს თავისუფლად მდგომი საყრდენები არ გამოიყენება. კვანტების რიგი პირდაპირ კედლის წყობაზეა დალაგებული და სიგრძით შედარებით მოკლე ბოძებითაა შედგენილი ვიდრე მისი მოპირდაპირე წყება. შესასვლელიდან მოპირდაპირე გრძივი კედლის გასწვრივ კედლისპირა საყრდენებთან ერთად (სულ სამია) ქვის ბალიშებზე შედგმული თავისუფლად მდგომი სვეტებია ამართული (სულ ორი), რომელზეც

მთლიანი ხის ტანის დაქერქილი თავხეებია დალაგებული. მათზე კი კედლისკენ დაქანებულად კვანტებია გაწყობილი. შემდეგ კვლავ თავხეებია გამართული. თავისუფლად მდგომ ორ საყრდენს დანარჩენებისგან განსხვავებით სადად პროფილირებული ბალიშები აქვს. (სურ. 2.58)

ბაგები მხოლოდ შესასვლელიდან მოპირდაპირე გრძივი კედლის გასწვრივ ქვის წყობითაა ამოყვანილი (სურ. 2.59). ნაგებობის დანარჩენი სათავსოებისგან განსხვავებით პირუტყვის სადგომში კედლები არ არის შელესილი. ამდენად კარგად ჩანს წყობის თავისუფალი ხასიათი. სხვადასხვა ზომის ქვებით ნაგები კედლები, სადაც რაიმე წყობისეული კანონზომიერება, ჰორიზონტალური რიგების გამოყოფა და სხვა არ შეიმჩნევა. ამჟამად საკმაოდ დაზიანებულია გადახურვა, ჩამოქცეულია ბანის ნაწილი. იატაკი მიწატკეპნილს წარმოადგენს.

როგორც ზემოთ ავღნიშნე პავლე კეღოშვილის კარ-მიდამო აერთიანებს ძველ და მოგვიანებით (სავარაუდოდ XX საუკუნის მეორე ნახევრის შემდგომ) აშენებულ ნაგებობებს. მოგვიანებით მიდგმული დერეფნიდან მარჯვენა მხარეს შევდივართ ოდა ოთახში - იაზლუღში. ოთახის გეგმარებისას დაცულია კედლების სისწორე და ერთმანეთისადმი მართობულია ყველა კუთხე. კედელში გაჭრილია სარკმელი. ფასადის მხრიდან მკვეთრად განირჩევა ძველი ბანიანი საცხოვრებლის დაუმუშავებელი ქვებით კედლის უსწორმასწორო წყობა, ხოლო შემდგომი პერიოდის ნაგებობის კარგად დამუშავებული ქვებით ამოყვანილი ფასადი, სადაც დაცულია ჰორიზონტალური რიგები. ქვები ამ შემთხვევაშიც ხელითაა დამუშავებული და ჰორიზონტალური რიგები სხვადასხვა სიმაღლისაა. ამასთანავე, ქვები განსხვავებული ზომისაა და კარისა და სარკმლის წირთხლების გამოსაყვანი მასალა შედარებით წინ არის სიბრტყიდან ამოწეული. ამგვარი წყობა რამდენადმე გაგრძელებას წარმოადგენს იმ შინაგანი წყობისეული ხასიათისა, რაც დარბაზულმა მიწურ-ბანიანმა საცხოვრებლებმა შექმნეს. ამას აძლიერებს ისიც, რომ შემდგომ მიდგმული ნაგებობაც ბანითაა მომთავრებული და არ არღვევს ჰორიზონტალურ გეგმარებაში გაშლილ სტრუქტურას. საცხოვრისის წინ

კიდევ რამდენიმე დაზიანებული კედლის არსებობა დამატებით სათავსოთა მიდგმაზე მიუთითებს.

პავლე კეღოშვილის კარ-მიდამოში შემონახულია ძველი ხარო. კარგად მოჩანს ეზოში ერთიან ქვაში ამოკვეთილი ხაროს პირი.

კომპლექსში შემავალი სათავსო-ნაგებობების დაცულობის, არქიტექტონიკისა, სამშენებლო-ხუროთმოძღვრული წყობისა და კონსტრუქციული მიდგომების გამოყენების მიხედვით დარბაზოვანი საცხოვრისი იმსახურებს ძეგლის სტატუსის მინიჭებას.

გოდერძი მაზმიშვილის კარ-მიდამო სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ფერდში შეჭრილი მიწურ-ბანიანი სახლის საფასადე კედელი ორი თვალი კარაპანით არის დანაწევრებული. (სურ. 2.60)

პირველი კარაპანით (მარცხენა მხარეს) მცირე დერეფანში შევდივართ, საიდანაც პირდაპირი კარით დარბაზში მოვხვდებით. მაზმიშვილების დარბაზს გამოარჩევს სივრცის განსხვავებული გეგმარება და ერთ გადახურვაში შერწყმული ორი სხვადასხვა სისტემისთვის დამახასიათებელი კონსტრუქციული თავისებურება.

დარბაზის ერთიანი სივრცე დანაწევრებულია შესასვლელისა და მარჯვენა მხრიდან ნაგებობაში თავისუფლად მდგომი საყრდენებით. ამ საყრდენებზე გადებულია თავხეები, გადახურვის სისტემისთვის შეკრულია კვადრატს მიახლოვენული კონფიგურაცია. გადახურვის სისტემის პირველი და მეორე საფეხური ცენტრულ-გვირგვინული წყობის მსგავსად ოთხწახნაგა კუთხური წყობით ამოდის, ხოლო შემდგომ ახვრის ოდისთვის დამახასიათებელი გრძივ-გვირგვინული სისტემაა გამართული. შეკიდულად დადებული ძელები იმგვარადაა დალაგებული, რომ განათება შესასვლელის აყოლიებაზე გვერდულადაა მოწყობილი (სურ. 2.61; 2.62) ინტერიერში თივის ზვინის გამო, ვინაიდან დღეს საბძელად გამოიყენება ეს უჯრედი, ვერ მოხერხდა შესასვლელის მოპირდაპირე კედლის დათვალიერება. საფიქრალია, აქაც კედელში

ბუხარი იყო ჩადგმული. მხოლოდ მარჯვენა მხარეს კედელში დატანებული დოლაბი მოჩანდა კარგად. ამდენად, რთული გახდა სივრცის სრული აღქმა.

დერეფნიდან კიდევ ერთ სათავსოს ვუკავშირდებით. ნაგებობის ეს უჯრედი ოდა ოთახს წარმოადგენს. მცირედ მონიშნულ სივრციდან ნაგებობის ეს უჯრედი თავისუფლად მდგომი ქვის ბაზისებზე შედგმული სვეტებითაა გამოყოფილი. შესასვლელიდან მოპირდაპირე კედელში ბუხარი ყოფილა განთავსებული. გადახურვა უახლოვდება გრძივ-გვირგვინული სისტემის პრინციპს. გრძივ კედლებში ჩაყოლებულია კოჭები, ხოლო ბუხრის კედელთან ქვის ბაზისებზე შედგმული კედლისპირა საყრდენებია დალაგებული. თავხეები ამ მხარეს უშუალოდ სვეტებზეა გადებული, ხოლო ოთახის გრძივ მხარეს კედელთანაა დალაგებული. შეკიდულად დადებული გაქერქილი ტანის ხეები ერთმანეთისგან დაშორებულადაა გაწყობილი. ძელების მეორე რიგი (ცენტრისკენ განლაგებული) წინასთან შედარებით მაღლაა დალაგებული. გრძივად დადებულ ძელებს შორის არეები ამოფიცრულია. განათების წყარო შესასვლელის ზღურბლის აყოლებაზე, გვერდულადაა მოწყობილი. (სურ. 2.63; 2.64)

მცირედ მონიშნული სივრციდან ხელმარჯვნივ კარით მარანში შევდივართ. (სურ. 2.65) სათავსო გეგმარებით წაგრძელებულ სწორკუთხედს უახლოვდება. შესასვლელიდან მარცხნივ ვიწრო კედელზე პატარა ბუხარი მიუშენებიათ. გადახურვა ბრტყელი, ჰორიზონტალურია. ერთ მხარეს (შესასვლელიდან მოპირდაპირე გრძივი კედლის გასწვრივ) კვანტების ერთი რიგია დალაგებული. ამ მხარეს თავისუფლად მდგომი ორი და ერთი კედლისპირა (შესასვლელის მხარეს) ბოძია განლაგებული თავხეების დასაჭერად. ამასთანავე, ოთხივე კედელში საყრდენი სვეტებია ჩაყოლებული. განათების წყარო ამ შემთხვევაში გვერდულია. შესასვლელის გასწვრივი კედლის აყოლებაზე ცენრალურ ნაწილშია მოწყობილი. იატაკი ყველა ზემოთ აღწერილი უჯრედის მსგავსად აქაც მიწატკეპნილს წარმოადგენს.

მაზმიშვილების მიწურ-ბანიანი ნაგებობების მეორე თვალი კარაპანიდან ახორში შევდივართ (სურ. 2.66; 2.67). ხელმარჯვნივ კარით კი ფურნის ოთახში. სათავსოს ამ

სეგმენტს ირეგულარული გეგმარება აქვს. ფურნის ამოსაყვანი ქვებიც შედარებით უხეშადაა დამუშავებული. უსწორმასწოროა თაღის მოყვანილობა (სურ. 2.68). ფურნის მარჯვნივ კედელში დოლაბია დატანებული. გადახურვა ფაქტობრივად მთლიანად კედლებზეა დაყრდნობილი. მხოლოდ ერთადერთი კედლისპირა საყრდენია გამოყენებული ფურნის მხარეს კედელთან. ბრტყელი, ჰორიზონტალური გადახურვის მოსაწყობად ხის გაქერქილი მორებია დალაგებული. მათ შრის არეები კი ამოვსებულია მცირე ზომის ძელაკებით. კედლის წყობა საკმაოდ მტკიცეა. სხვადასხვა ზომის დაუმუშავებელი ქვებით შეკრული. სათავსო ამჟამად პირუტყვის სადგომად გამოიყენება.

მაზმიშვილების საცხოვრისის დანარჩენი სათავსო-ნაგებობების დაფიქსირება, რომლებიც მეორე კარაპანიდან პირდაპირი კარით არის დაკავშრებული, ვერ მოხერხდა.

სოფელი ხიზაბავრა ჯერ კიდევ გვიყვება ისტორიას იმ არქიტექტურული რეალობის შესახებ, რომელიც დამახასიათებელი იყო სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის. ფერდს შეყოლილი მიწურ-ბანიანი საცხორებელი კომპლექსები, რომელთა ჩამოყალიბებას საუკუნეების სიღრმეში ეძებნება სათავეები თითქმის XIX საუკუნის მიწურულამდე აქტიურად განაგრძობდა არსებობას. საკვლევ მასალაზე დაყრდნობით დღევანდელი მდგომარეობა რამდენადმე განსხვავებულია. დღემდე მოღწეული ნაგებობები თითქმის ყველა შემთხვევაში გადაკეთებულია, როგორც მთლიანად საცხოვრებელი ანსამბლი, ისე ცალკეული უჯრედები და ძირითადად პირუტყვის სადგომად ან მოსავლის საწყობად გამოიყენება.

III თავი. სოფელ ხიზაბავრის ტრადიციული საცხოვრებლების არქიტექტურულ-მხატვრული მახასიათებლების ანალიზი

3.1 დარბაზული ტიპის საცხოვრებლების შესახებ საქართველოში

საქართველოში დარბაზული საცხოვრებლის ფართოდ გავრცელების მიხედვით სამი რეგიონი გამოიყოფა: ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და თრიალეთის. გარდა ამისა ხალხური ბინათმშენებლობის ეს უნიკალური ნიმუში დადასთურებულია დუშეთში, კახეთში... დარბაზული ტიპის საცხოვრებლები ურბანულ სივრცეშიც იყო შეჭრილი. მაგალითად გორში, ბანით მომთავრებული დარბაზებით იყო შეფენილი თბილისის ფერდობები... ვახუშტი ბატონიშვილის თქმით *„ტფილისურითა წესით დარბაზოვანი“* [ვ. ბერიძე 1983: 255] საცხოვრებლები ამშვენებდა დედაქალაქს. ბანზე მოფუსფუსე ქალები თუ ანცი ბავშვების ჟრიამული ხალისიან გარემოს ქმნიდა, რაც, როგორც წერილობით წყაროებში ასევე, გაგარინის, კარლ ცაარის, ფრანკენის და სხვათა ჩანახატებშია ასახული.

ტერმინი „დარბაზი“ ქართულ წერილობით წყაროებში IX ს-დან იხსენიება (Сумбадзе Л. 1960). მისი შემოტანა არაბობის გავრცელებაზე ადრე არ უნდა მომხდარიყო. დარბაზი მეფეთა და დიდებულთა სასახლეებში მისაღებ, სათათბირო ოთახს წარმოადგენდა. სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს, „დარბაზი - სამეფო დიდი სახლია, დარბაზობა - საალერსოდ სხვის სახლად მისვლა“ [2]. ამ მნიშვნელობითაა ნახმარი შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“- „ცხენსა შეჯდა, გაემართა, დარბაზს მივა სადარბაზოდ“ ანდა „დარბაზს კაცსა გაჰგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი“.

თავად სიტყვის წარმომავლობა ლ. სუმბაძის აზრით სპარსულიდან - „დერვაზ“ მომდინარეობს და კარს, შესასვლელს აღნიშნავს (Сумбадзе Л. 1960), ხოლო თ. ჩიქოვანის თქმით ეს *„ასურულ-ბაბილონური tarbasu-დან მომდინარეა და პირველადი გაგებით*

[2] სულხან-საბა ორბელიანი „ლექსიიკონი ქართული“ ილია აბულაძის რედაქტორობით

ეზოსა და საქონლის განაკსაც ნიშნავდა“ [თ. ჩიქოვანი 1963: 45]. დარბაზი, როგორც ხალხური საცხოვრებლის მნიშვნელობით ნახმარი ტერმინი პირველად XVIII ს-ის დასაწყისშია მოხსენიებული ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში. ქართული ხალხური საცხოვრებლის ამ შესატყვისში იგულისხმება კვადრატულ საფუძველზე ამოყვანილი ძელოვან-საფეხუროვანი გუმბათით მომთავრებული ნაგებობა, რომლის ცენტრში დატოვებულია ღიობი-ერდო განათებისათვის და ამასთანავე, კერიაში დანთებული ცეცხლის კვამლის გასასვლელად.

დარბაზული საცხოვრებლების გავრცელების არეალი საკმაოდ ფართოა. მას ვხვდებით ამიერკავკასიის რეგიონში, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ასევე დადასტურებულია ირანში, პამირში, ინდოეთში... საქართველოს ისტორიული მეზობლის - სპარსეთის ტერიტორიაზე, XIX-XX საუკუნეების მასალაზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ მათთვის ერდოიან-გვირგვინიანი სახლი დამახასიათებელი არ ყოფილა (თ. ჩიქოვანი 1963). ამაზე მეტყველებს ისიც, რომ XVII ს-ში შაჰ-აბასის მიერ საქართველოდან აყრილი და გადასახლებული მოსახლეობა, ირანის შიდა პროვინციებში საცხოვრებელ ნაგებობებს იშენებდა, რომლებსაც ადგილობრივებმა „გურჯი ფუში“ უწოდეს, ამგვარად მათთვის უცხო იყო გვირგვინიანი გადახურვის სისტემის მქონე საცხოვრებლებს.

მკვლევართა უმრავლესობა ცდილობს დაადგინოს დარბაზული საცხოვრებლის წარმოშობის არეალი. ვფიქრობ, მართებულია ლ. სუმბაძის აზრი, რომელიც სრულიად დასაშვებად მიიჩნევს, რომ გვირგვინიანი გადახურვის პრიმიტიული სახე დამოუკიდებლად უნდა წარმოქმნილიყო სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ინდოეთსა და საქართველოში. ამას მეტ-ნაკლებად მსგავსი კლიმატური პირობები, ცხოვრების წესი, სამშენებლო მასალა და სხვა... განაპირობებდა. ამასთან, საყურადღებოა, რომ მკვლევარები (ი. სტრჟიგოვსკი, ფრ. ბაუმჰაუერი, ლ. სუმბაძე და სხვები) აღიარებენ ამ თვალსაზრისით საქართველოს ნიმუშების მნიშვნელობას. ისინი აღნიშნავენ, რომ დარბაზულმა საცხოვრისმა განვითარების ყველაზე მაღალ დონეს საქართველოში

მიაღწია. სწორედ აქ გვხვდება კიბურ-გვრგვინიანი წყობის ყველაზე მრავალფეროვნი ვარიანტები.

საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულ მსგავსი საცხოვრებლის არქაული სახით არსებობაზე მეტყველებს წერილობით წყაროებში და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა. ეს კი გლეხური დარბაზული საცხოვრებლის მნიშვნელობაზე მიუთითებს და საფუძვლიანი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა, რომ დარბაზული ტიპის საცხოვრებლის ჩამოყალიბება და განვითარება ადგილზე უნდა მომხდარიყო.

იმპერატორ ავგუსტუს თანამედროვე, რომაელი არქიტექტორის და თეორეტიკოსის ვიტრუვიუსის (ჩვ. წ. აღ I ს) „ათი წიგნი ხუროთმოძღვრების შესახებ“ - ერთ-ერთ ნაწილში აღწერილია კოლხების საცხოვრებელი ნაგებობა. არქ. ლ. სუმბაძემ დარბაზულ საცხოვრებელში გადახურვის- კიბურ-გვირგვინიანი წყობის საწყისები კოლხური სახლის აღწერაში დაინახა. *„ვიტრუვის კოლხური სახლი გადახურულია პარალელური წყობის ოთხკუთხოვანი გვირგვინით. ამიტომ, ამ გვირგვინსა და საერთოდ პარალელურ წყობის გვირგვინებს კოლხური გვირგვინი უნდა ეწოდოს.“*[ლ. სუმბაძე 1945: 494]

გადახურვის სისტემისა და არქიტექტურულ-კომპოზიციური წყობის მიხედვით მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს, ბორჯომის რაიომში გამოვლენილი მეგალითური ნაგებობები. სოფელ ჭობისხევის მიმდებარე ტერიტორიაზე, ადგილზე გავეცანი ნადიკრების სახელით ცნობილ კომპლექსს. აქ წარმოდგენილი სამოსახლოების საფუძვლიანი შესწავლა ამ ეტაპზე არ მომხდარა. მათი ფუნქციური დანიშნულება და დათარიღება მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. თუმცა, აშკარაა წინაქრისტიანული და ქრისტიანული (ჩვ. წ. აღ VIII-X სს.) (ლ. რჩეულიშვილი 1994) პერიოდის ნაგებობების არსებობა.

დარბაზულ საცხოვრებელთან მიმართებაში საყურადღებოა ქრისტიანობამდელი ხანის ნიმუშები. შესაძლოა, ეს სათავსოები, როგორც საცხოვრებელ ისე, სამეურნეო დანიშნულების ყოფილიყო. ფერდობში შეჭრილი, ტერასულად განლაგებული ნაგებობები წრიულადაა დაგეგმარებული. მონოლითური ქვებით, მშრალი წყობით

ამოყვანილი კედლები კონუსური გუმბათითაა მომთავრებული, რომლის ცენტრში დატანებულია ღიობი. ზოგიერთ შემთხვევაში, ერთიანი კედლის სიბრტყიიდან ცენტრისკენ შეტეხილად დალაგებული ქვები დარბაზის გვირგვინის დაწახნაგებულ ფორმას მოგვაგონებს. სივრცულ-კომპოზიციური გააზრება ამ შემთხვევაშიც ვერტიკალურ ღერძზეა წარმოდგენილი - სათავსოს ცენტრში კერია-სარკმელით.

ასევე, საინტერესოა გ. ყიფიანის მოსაზრება. 1977 წელს უფლისციხის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად, კლდოვანი ნაქალაქარის ძირში (მისგან ჩრდილო-დასავლეთით 1,5 კმ-ზე) გაითხარა ნამოსახლარი, სადაც ნათლად გამოჩნდა ნაგებობის სამშენებლო-კონსტრუქციული მხარე. არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე კი ეს ნასახლარი ძვ. წ. III საუკუნით თარიღდება (გ. ყიფიანი 2002). შესაძლებელი გახდა ამ ნაგებობის აღდგენა, სადაც გამოჩნდა გვირგვინის დანახშირებული ფრაგმენტები, კედელს აყოლილი სვეტთა ბუდეები, თიხატკეპნილი, ცენტრალური კერა... საცხოვრებლის ამ უჯრედში გ. ყიფიანი მესხურ დარბაზების გეგმარებით კომპოზიციას ხედავს და პარალელს ავლებს მასთან.

ამგვარად, წერილობით წყაროებსა და ჩვენს ხელთ არსებულ მატერიალურ მასალაზე დაყრდნობით გამოვლინდა დარბაზული საცხოვრებლების არქაული პროტოტიპები. მსგავსი დაგეგმარების პრინციპი, ლანდშაფტისა და არქიტექტურული ფორმების, მასალის ორგანული შეთავსება. სივრცის კონცეპტუალური გააზრება უმთავრესად ვერტიკალურ ღერძზეა წარმოდგენილი და რაც მთავარია, ნაგებობები გუმბათიან-გვირგვინისებური გადახურვით, ცენტრში დატანებული ღიობითაა მომთავრებული.

დარბაზული ტიპის საცხოვრებელი ნახევრად მიწაშია ჩადგმული და ბანითაა მომთავრებული. აქ დომინანტს გვირგვინიანი გადახურვით თავად დარბაზი წარმოადგენს. სივრცის მოწესრიგებისას მთავარი მომენტი ცენტრულობის პრინციპია - ვერტიკალურ ღერძთან მიმართებაში შეკრული ცალკეული ელემენტები და ნაგებობის გადახურვის გვირგვინიანი სისტემით მომთავრება. ამასთანავე, არქ. ლ. სუმბაძემ დარბაზული საცხოვრებლის არსი, ძირითადად გადახურვის თავისებურებას

დაუკავშირა. *„საცხოვრებელი სახლის ამ ტიპში დარბაზის ცნება უშუალოდ უკავშირდება გვირგვინის ცნებას.“* [Сумбадзе Л. 1960: 15-16]. მან ძელების წყობის მიხედვით გამოყო პარალელური და კუთხოვანი წყობის გვირგვინები. საფუძველს ორივე შემთხვევაში კვადრატი წარმოადგენს. პირველი მათგანი გულისხმობს ჰორიზონტალურად დალაგებულ ძელებს, როცა ყოველი მომდევნო ძელი წინას პარალელურად იდება. კუთხური წყობის შემთხვევაში, ყოველი მომდევნო ძელის შუა წელზე მოდის ქვედა რიგის კუთხე. ამასთანავე, განირჩევა ძირითადად ოთხი ვარიანტი: პარალელური წყობის ოთხკუთხა გვირგვინი, ოთხკუთხა კუთხოვანი, რვაკუთხა პარალელური, რვაკუთხა კუთხოვანი. ასევე გვხვდება შერეული, პარალელურ-კუთხოვანი წყობის გვირგვინები, რომლებიც ძირითადად სამცხე-ჯავახეთის და თრიალეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ დარბაზოვანებშია დადასტურებული. ლიტერატურაში დაფიქსირებულია ასევე ხუთკუთხა, ექვსკუთხა, შვიდკუთხა თორმეტკუთხა, თექვსმეტკუთხა და ოცკუთხაც გვირგვინებიც კი.

ერდო-გვირგვინიანი საცხოვრებლის შესატყვისად დარბაზთან ერთად „ერთობის სახლიც“ (თ. ჩიქოვანი 1967) გამოიყენებოდა. ერთობის ცნება ფართო სპექტრით გულისხმობს ოჯახის სოციალურ ერთობას, თაობათა შორის კავშირს, ერთიანობას სამყაროსთან, გარემოსთან. როგორც ს. ლეჟავა აღნიშნავს „ერთობა“ იმდენად ტევადი ცნებაა, რომ მომცველია დარბაზის სემანტიკური საზრისის. ხოლო, ერდოიან-გვირგვინიანი გადახურვის პარალელურად ჯავახეთში დღესაც მიმართავენ „მერცხლისბუდა“ გადახურვას. როგორც ერთ-ერთმა ადგილობრივმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა გვირგვინი მერცხლის ბუდესავით მტკიცედ იყო შეკრული და ხშირად მერცხლები ბუდესაც იკეთებდნენო (დურმიშხან მეტრეველი, სოფ. კოთელია).

ქართლში გავრცელებული გლეხის საცხოვრებლისთვის დამახასიათებელია - ერთსათავსოიანი დარბაზები, რომელსაც წინ სვეტებზე დაყრდნობილი, გარემოსკენ გახსნილი დერეფანი - კარაპანი უძღოდა. თავად დარბაზი წაგრძელებული გეგმარების სწორკუთხედს წარმოადგენდა. შიდა სივრცის აღნაგობას განაპირობებდა დედაბოძის მოტივი, რომელიც სივრცის მაორგანიზებელი ელემენტი იყო კერია-სარკმელთან ერთად.

ლ. სუმბაძემ ქართლის დარბაზებში ინტერიერისა და არქიტექტურული ფორმების გადაწყვეტის თავისებურებას პარალელი მოუძებნა ეგეოსის კულტურაში გავრცელებულ მეგარონის სტრუქტურასთან. დედაბოძის ჩამოყალიბებული მხატვრულ-კონსტრუქციული ფორმა, რომელიც ზემოთკენ გაგანიერებულია შორეულ წარსულში ეგეოსის სამყაროს „ორდერთან“ ავლენს მსგავსებას, განსხვავებით ანტიკური „ორდერისა“ (ლ.სუმბაძე 1985). ქართლის დარბაზებში საყრდენების განლაგების მიხედვით განირჩევა ერთ, ორ, სამ და ოთხ სვეტიანი გადაწყვეტა, რომლითაც მოსაზღვრულია ცენტრალური კვადრატული ფართობი და მასზე დაყრდნობილია ერდოიანი გვირგვინი. გვერდითა არეები კი ბრტყელი გადახურვისაა.

ქართლის დარბაზების განვითარების შემდგომ საფეხურს წარმოადგენს მესხური საცხოვრებლები, რომელიც კომპლექსური ხასიათისაა. სამცხე-ჯავახეთის დარბაზებში ბანით მომთავრებული გადახურვის ქვეშ გაერთიანებულია სხვადასხვა დანიშნულების სათავსო-ნაგებობები: დარბაზი - ერდოიან-გვირგვინიანი გადახურვით, თაკარებიანი ოდა, ახორი (ბოსელი), მარანი, ბეღელი, სათონე და სხვა. არქ. ლ. სუმბაძემ მესხური საცხოვრებელი კომპლექსების შესატყვისად ტერმინი „დარბაზოვანი“ დაამკვიდრა (ლ. სუმბაძე 1985). ხშირ შემთხვევაში მიჯრით მიწყობილ ბანიან სახლებში დერეფნების ქსელი გადიოდა და ე.წ დარნებს - სამალავ-თავდაცვით ნაგებობებს უკავშირდებოდა. თავად დარბაზი გეგმაში კვადრატს უახლოვდება. კედლების გასწვრივ ქვის იმპოსტებზე აღმართულია საყრდენები. მასზე გადებულია თავხეები (ძელები) და გვირგვინი მთელს ფართობზე ამოდის.

გადახურვის მხოლოდ საკედლე სვეტებზე დაყრდნობა რთულ და განვითარებულ სამშენებლო ტექნიკაზე მეტყველებს (Л. Сумбадзе 1960), რადგან გვირგვინის კედლისპირა საყრდენებზე გამართვას კონსტრუქციული მნიშვნელობა ჰქონდა. ჯავახეთი სეისმურად აქტიური რეგიონია. ამდენად, აქ ნაგებობის არქიტექტურულ წყობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ერთ-ერთი ადგილობრივის თქმით, მიწისძვრის დროს კედლისპირა საყრდენებზე შედგმული გვირგვინი „აკვანივით დაირწეოდა“ და არ ინგრეოდა (ნინელი ანანიაშვილი, სოფ. ბარალეთი).

მესხურ ერდოიან-გვირგვინიან დარბაზებში ქართლის მსგავსად ოთახის ცენტრში კერა ყოფილა გამართული, რომელმაც კედელში გადაინაცვლა ბუხრის სახით. მისი გავრცელება სამცხე-ჯავახეთის მხარეში ლაზი ოსტატების სახელს უკავშირდება (თ. ჩიქოვანი 1967). ამგვარად, მესხურ დარბაზებში განსხვავებულია სივრცის ორგანიზება , რადგან ცენტრში ვერტიკალურ ღერძს კერია-სარკმელი აღარ წარმოადგენს. ბუხარი, რომელსაც „ოჯახსაც“ (Л. Сумбадзе 1960) უწოდებდნენ, უმეტესად შესასვლელი კარის მოპირდაპირე კედლის ცენტრშია ჩადგმული და მოსაზღვრულია ორი გუმბათქვეშა საყრდენით. სვეტების ჩუქურთმით დაფარვა იშვიათია, ძირითადად თავებია პროფილირებული. გვხვდება „ყოჩბაშები“ (თ. ჩიქოვანი) - ვოლუტის მსგავსად მომრგვალებულ თავიანი კაპიტელები, რომლებიც ვერძის, ცხვრის რქების იმიტაციას წარმოადგენდა, ასევე ტრაპეციის ფორმის ბალიშები... დიდი ყურადღება ექცეოდა ბუხრის „კამარის“ (თ. ჩიქოვანი, 1967) ზედა ნაწილის მხატვრულ გადაწყვეტას. საგულდაგულოდ გათლილ და დამუშავებულ „ოჯახის ქვაზე“ ვხვდებით გეომეტრიულ, მცენარეულ მოტივებს, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებებს.

მესხურ დარბაზებში განსხვავებულად იყო გააზრებული კონსტრუქციული ელემენტების მხატვრული გაფორმება. ორნამენტებით ირთვებოდა ბუხრის ქვა, ხოლო გვირგვინქვეშა საყრდენთა ჩუქურთმით დაფარვა იშვიათია. ამის საპირისპიროდ ქართლის დარბაზებში ბუღაურისა და დედაბოძის ურთიერთშესატყვისობა, როგორც კონსტრუქციულ ასევე, მოხარატებული ელემენტები ერთიან მხატვრულ მთლიანობას ქმნიდა. განსაზღვრული იყო დედაბოძის პროპორციებიც. მისი სიმაღლე ადამიანის სიმაღლესთან თანაზომიერი უნდა ყოფილიყო. გვირგვინის მხარეს მისი სიგანე ყოველთვის აღემატებოდა ქვედა ნაწილს, რომელიც ქვის ბაზისზე იყო შედგმული. ამას კონსტრუქციული დატვირთვა ჰქონდა, რადგან გადახურვის სიმძიმის თანდათანობით გადანაწილება ხდებოდა.

მესხური დარბაზებისგან განსხვავებით ქართლის დარბაზებში ოთახის ცენტრში აღმართული იყო დედაბოძი, რომელიც ოჯახის ერთიანობის სიმბოლოდ აღიქმებოდა და რიტუალური დანიშნულება გააჩნდა. მასზე წარმოდგენილი მოხარატებული

ელემენტები, ღრმა სიმბოლურ-სემანტიკური აზრით იყო გამსჭვალული. ვერტიკალურად აღმართული სვეტი „სიცოცხლის ხის“ მეტაფორას წარმოადგენდა, რომელიც სამი განზომილების - ქვესკნელის, შუასკნელისა და ზესკნელის გამაერთიანებლად ითვლებოდა. გვირგვინქვეშა საფუძველით, საყრდენებზე გადებული საწარბე ძელებით კვადრატი იკვრებოდა. კვადრატი კი მოიაზრება ოთხი მხარის, მიწიერის სიმბოლოდ. ხოლო ნიყურების წრიულად დალაგება, რომლითაც გუმბათი იყო შედგენილი, ცენტრში დატანებული ერდოს საშუალებით ზეციურ, მარადიულ სამყაროში გადასასვლელ გზად. „ერთობის სახლში“ დიდი ყურადღება ექცეოდა დედაბოძის მხატვრულ გადაწყვეტას. ოსტატის გონივრული და გააზრებული მიდგომა ჩანს დედაბოძის დამუშავებაში. მოხარატება ძირითადად იმ ნაწილებზე მოდის, რომელიც დღის ყოველ მონაკვეთში კარგად არის განათებული. ერდოდან შემოსული მზის სხივები თუ ღამით მთვარის შუქი ყოველთვის გუმბათქვეშა სივრცეს ანათებდა. ამიტომ ოსტატი აღარ მიიჩნევს საჭიროდ ჩაბნელებული სიბრტყეების ორნამენტით დაფარვას. ჩუქურთმა ძირითადად გეომეტრიული და მცენარეული მოტივების სახითაა წარმოდგენილი: წრე, ოთხკუთხედი, ბორჯღალი, ჯვარი, ხელი, სიცოცხლის ხის მოტივი და სხვა. დედაბოძზე დატანებულ გამოსახულებებს აპოტროფული, წარმართული რწმენა-წარმოდგენებიდან მომდინარე სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. გარდა ამისა, იგი ითვლებოდა „ოჯახის ბურჯად“ და საყოფაცხოვრებო ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული. გ. ჩიტაიას პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობებში ჩაწერილი აქვს მოსახლების მეხსიერებაში შემონახული ერთგვარი რიტუალები, რომლებშიც დიდი მნიშვნელობა აკისრია დედაბოძს. *„დედაბოძი ოჯახის ახალი წევრის ინკორპორაციის ცერემონიალში მთავარ როლს ასრულებდა: ახლადმოყვანილ პატარძალს სამჯერ უნდა შემოევლო დედაბოძის გარშემო...*“ [გ. ჩიტაია 1941: 53-54].

სამცხე-ჯავახეთისა და თრიალეთის მიწურ-ბანიან საცხოვრებლებში გარდა დარბაზისა შევხვდებით „თაკარებიან ოდას“ - ამ ტერმინით გადახურვის თავისებურებას უსვამდნენ ხაზს, რადგან მოსახლეობა დაკიდულად დადებულ ძელს „თაკარას“ უწოდებდა. თრიალეთში, როგორც ლაზური ოდას ასევე, ქირიშებიანი ოდას სახელით მოიხსენიებდნენ. „ქირიში“ თაკარის მნიშვნელობით იხმარებოდა და თურქულიდან

უნდა გავრცელებულიყო. ჯავახეთში ახვრის ოდასაც ეძახდნენ, რადგან უშუალოდ ბოსელს ესაზღვრებოდა და მისგან უმეტესად ფიცარტიხრუით იყო გამოყოფილი.

ისევე, როგორც ბუხრის გავრცელება, საცხოვრებლის ამ უჯრედის ჩამოყალიბებაც ლაზი ოსტატების სახელს უკავშირდება. როგორც ჩანს მათ *„თავიანთი სახლების ყაიდაზეა მოუწყვიათ თაკარებიანი ოდა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისი გადახურვა ბანით მოუმთავრებიათ“* [თ. ჩიქოვანი 1967: 79]. საცხოვრებლის ამ სეგმენტის გადაწყვეტა მის ფუნქციურ მხარესთანაა დაკავშირებული. გეგმაში ოდნავ წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს. გრძივი კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულია ერთ ან ორ იარუსად ხის ტახტები - საქვეები (დღესაც ასე მოიხსენიებს მოსახლეობა). თუ დარბაზში თავდაპირველად ოთახის ცენტრში კერა იყო გამართული და შემდგომ კედელთან გადაიტანეს ბუხრის სახით, თაკარებიან ოდაში ბუხარი თავიდანვე შესასვლელის მოპირდაპირე კედელში იყო განთავსებული.

ქირიშებიან ოდას „საჯალაბოსაც“ (ჯალაბი-ოჯახი) უწოდებდნენ, ის მოიხსენიება, ზამთრის სახლად. თაკარებიან ოდაში ერთი კედელი ახორს ესაზღვრებოდა და ამასთანავე ტიხარი არა ქვისგან იყო ამოყვანილი, არამედ ხის, ფიცრულ კედელს წარმოადგენდა. საცხოვრებლის ამ ორი უჯრედის ერთმანეთის გვერდით მოწყობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ვინაიდან, ცივი და სუსხიანი ზამთრის განმავლობაში, პირუტყვის თავისებურ სიმხურვალეს მოსახლეობა ბუხართან ერთად გათბობის საშუალებად იყენებდა.

ლ. სუმბაძემ თაკარებიანი ოდას გადახურვის თავისებურებაზეც გაამახვილა ყურადღება. *„დარბაზის გვირგვინისგან განსხვავებით, გადახურვის კოჭები აქ შუაგულისკენ კიბურად ინაცვლებს მხოლოდ ორი მხრიდან. ამის გამო მსგავს გადახურვას „გრძივ-გვირგვინულს („კიბურ-კამაროვანი“) ვუწოდებ“* [ლ. სუმბაძე 1985: 14]. სინათლის წყარო კი შესასვლელი კარის კედლისა და ჭერის გადაკვეთაზეა დატანებული. აქედან შემოსული მზის სხივი ბუხარს ეფინებოდა და ანათებდა რელიეფებით გამშვენებულ „ოჯახის ქვას“. ამგვარი გადაწყვეტა ინტერიერს მეტ

ინტიმურობას და სიმყურდოვეს ანიჭებდა, რაც სრულიად გამართლებული იყო. საცხოვრებლის ეს უჯრედი დღევანდელი გაგებით საძინებელს წარმოადგენდა.

თაკარებიანი ოდა ოთახის ჩამოყალიბება ლ. სუმბაძის აზრით XVIII საუკუნეზე ადრე არ უნდა მომხდარიყო და კერია-ერდო-გვირგვინიანი დარბაზის განვითარების შემდგომ საფეხურზე უნდა წარმოშობილიყო (ლ. სუნბაძე 1976). საცხოვრისის ამ უჯრედის ევოლუციის საკითხს გამოყოფს თ. ოჩიაური. ხაზს უსავს გვერდული განათების შექმნის შესაძლებლობას გადახურვის და შესასვლელი კარის ასწვრივ. რაც ოდა სახლის კეთილმოწყობასთან და მთლიანად საცხოვრისის ამ სეგმენტის სივრცით აღნაგობასთან ერთად ამ უჯრედის ჩამოყალიბება ქრონოლოგიურად დარბაზზე გვიან სავარაუდოს ხდის (თ. ოჩიაური 1963).

ჯავახეთისა და თრიალეთის საცხოვრებელ კომპლექსებში აუცილებლად შევხვდებით ახორს.[3] ქვეყნის ამ კუთხეში მეურნეობის წამყავნი დარგი იყო მესაქონლეობა მემინდვრეობასთან ერთად. ამდენად, ახორი ჯავახეთსა და წალკის მხარეში ხშირ შემთხვევაში დანარჩენ სათავსოებს ფართობით ბევრად აღემატებოდა. ისევე, როგორც დარბაზის გვირგვინით მომთავრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან *„ადამიანი შრომისგან შესუსტებული ენერგიის აღდგენას უკეთ სწორედ ამგვარ სივრცეში ახერხებდა“* [გ. ყიფიანი 2002: 8], ახორშიც გადახურვის თავისებურება მის ფუნქციურ მხარესთან იყო დაკავშირებული. ცივი და ყინვიანი ზამთრის დროს მოსახლეობა საქონელს გარეთ არ რეკავდა. პირუტყვი რომ არ დახუთულიყო უნდა შეექმნათ ჰაერმტები სივრცე. ჰაერის ცირკულაციას კი საფეხურებად შეკიდული კვანტიანი[4] კონსტრუქცია და ჭერში დატანებული ერდო კარგად უზრუნველყოფდა. კვანტების რიგის მიხედვით გამოიყოფა ერთ, ორ და სამ კვანტიანი გადახურვა. ახორის გეგმაში წაგრძელებული სივრცე გადახურვის საყრდენებით იყო დანაწევრებული. იატაკი „ზღვეთი“ მომთავრებული ცენტრში სანერწყულით - უსუფთაობისთვის (ზღვე „ქვაფენილით ან გაფიცრული ძელებით დაფენილი იატაკი (ნ. ჩუბინაშვილი)). გრძივ კედლებთან კი გამართული იყო ბაგები.

[3] ახორი - პირუტყვის სადგომი, ბოსელი

[4] კვანტი - „კარგად ნათალ და დაკუთხულ მოკლე ძელებს ეწოდება“ (თ. ჩიქოვანი)

სამცხე-ჯავახეთისა და თრიალეთის მიწურ-ბანიან კომპლექსებში დარბაზის, თაკარებიანი ოდას და ახორის გარდა სხვა დამატებთი სათავსო-ნაგებობებიც შედიოდა. ასეთია მაგალითად „საციო“ - აქ ინახავდნენ რძისა და ხორცის პროდუქტებს. ცალკე გამოიყოფოდა თონისა და ფურნის ოთახი. ფურნე ბუხრის მსგავსად კედელში იყო ამოყვანილი კარგად გათლილი კლდის ჯიშის ქვებით. ასეთივე საგულდაგულოდ დამუშავებული ქვებით იყო ფურნის ძირი მოფენილი. მას ჰქონდა ორი კარი. ერთი უფრო დიდი, რომელიც ნახევარწრიულ თაღს შემოწერდა და პურის საცხობს წარმოადგენდა. ხოლო მეორე პატარა - „ჩირალუღი“ -აქ პურის ცხობისას პატარა ცეცხლი მუდამ ენთო, რათა ტემპერატურა შენარჩუნებულიყო (ოთარ ყავრელიშვილი, სოფ. კოთელია). საცხოვრებლის სიახლოვეს ეზოში თუ ცალკეული სათავსების იატაკში ხაროები ჰქონიათ მოწყობილი. დიდი ზომის ქვევრის მსგავსი მოყვანილობის ქვით-კირით ნაგები ორმოები მარცვლეულის შესანახად გამოიყენებოდა.

ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და თრიალეთის დარბაზები ინტერიერის სივრცულ-კომპოზიციური გააზრების მიხედვით განსხვავდება. ეს უკანასკნელი უფრო მესხეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ საცხოვრებლის გადაწყვეტასთანაა ახლოს, ამასთანავე ქართლის დარბაზებისთვის სახასიათო ნიშნებიც იჩენს თავს. წალკის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ხომ ქართლისა და მესხეთის საამხრეთ-აღმოსავლეთ შესაყარს წარმოადგენს.

დარბაზული ტიპის საცხოვრებლის მშენებლობა ერთგვარ რიტუალს წარმოადგენდა, რომელიც რამდენიმე ეტაპს მოიცავდა. თ. ჩიქოვანს აღწერილი აქვს ზემო ქართლში დარბაზული საცხოვრებლის აშენების პროცესი. თავდაპირველად ხდებოდა სამშენებლო მასალის მოძიება-მომარაგება, რაც ყველაზე შრომატევადი საქმიანობა იყო. მშენებლობა კი ხვნა-თესვის დამთავრებისთანავე იწყებოდა. წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით ჯერ საძირკველს გაჭრიდნენ. ამ დროს ასრულებდნენ საგანგებო რიტუალს, *„გვარის უფროსი მამაკაცი დალოცავდა სამოსახლოს, დაკლავდა ზვარაკს, სისხლს ხანდაკში [5] მიმოაქცევდა“* [თ. ჩიქოვანი 1987: 82] ასევე სცოდნიათ

[5] ხანდაკი სხვათა ენაა, ქართულად თხრილი ჰქვიან, თხრილი სიმაგრისთვის, (სულხან-საბა ორბელიანი)

ხურდა ფულის ჩაყრა, რაც დოვლათისა და ხვავის მომტანად ითვლებოდა. ამის შემდეგ ამოჰყავდათ საძირკველი. კედლების მშენებლობის დროს წინასწარ ტოვებდნენ სათავსოებისთვის-ბუხრის, თაღჩების...- ადგილებს. კედლების ამოყვანის დასრულების შემდეგ სამშენებლო პროცესში ხითხურო ერთვებოდა. მას ევალებოდა კარებების, წირთხლების შეკვრა, ასევე გვირგვინის გამართვა. კედლების პერიმეტრზე, ქვის ბაზისებზე აღმართავდნენ სვეტებს, რომლებიც კედლების სიმაღლეზე რამდენადმე დაბალი იყო. მათზე გაიდებოდა საწარბე ძელები, რომელზეც გვირგვინი ამოჰყავდათ. ბანის გამართვა მშენებლობის დასრულებაზე მიუთითებდა. საცხოვრებლის მშენებლობის ეს ბოლო ეტაპი მნიშვნელოვანი და ამასთანავე შრომატევადი იყო. თიხანარევი მიწა დაიყრებოდა გადახურვის მოსამთავრებლად, რომელსაც დიდი თუ პატარა ფეხით ტკეპნიდა, შემდეგ ხის სპეციალური საზეპელით და ბოლოს ქვის, მძიმე საგორავებელით. სახლის მშენებლობის დასრულების შემდეგ მთელი ნათესაობა შეიყრებოდა და დიდი ჟრიამული და დროტარება იმართებოდა.

3.2 საკვლევი ძეგლების შედარებითი დახასიათება

არქიტექტურა ადამიანის შემოქმედების ის სფეროა, რომელიც ახალ რეალობას აყალიბებს და სოციუმის სამოქმედო არეალს ქმნის. არქიტექტურული ფორმები და ნაგებობები გარკვეული იდეის, აზრის გამომხატველია. მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება დროით დაშორებულ ეპოქებთან საუბარი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა საცხოვრისი, რომელიც მრავალმხრივი ინფორმაციის მატარებელია. საყურადღებოა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის სოფლებში ჯერ კიდევ შემორჩა ხალხური ხუროთმოძღვრების ნიმუშები, მათ შორის დარბაზული ტიპის საცხოვრებლები. ისინი უარღესად ღირებულ მასალას გვაწვდის, როგორც სამშენებლო ტრადიციებზე და უძველეს რწმენა-წარმოდგენებზე, ასევე ეპოქაზე, ქვეყნისა თუ რეგიონის სოციალურ - პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე.

საერო ხუროთმოძღვრება, კონკრეტულად კი სოფლის რიგითი საცხოვრებლების არქიტექტურა საკულტოსგან განსხვავებით სამშენებლო რესურსების მოძიების მხრივ

დიდ ძალისხმევას არ საჭიროებს. ოსტატი იყენებს იმ მასალას, რაც ფართოდაა გავრცელებული ამა თუ იმ რეგიონში. ხიზაბავრის მიწურ-ბანიან ნაგებობებში სამშენებლო მასალად ქვა, ხე და ადგილობრივი თიხა-მიწაა (ტალახი) გამოყენებული. ნახევრად მიწაში ჩადგმული დარბაზის კედლები ქვისგანაა ამოყვანილი. ზემოთ აღწერილ საცხოვრისებში უმთავრესად დასტურდება ვულკანური წარმოშობის ანდეზიტო-ბაზალტის გამოყენება. სამცხე-ჯავახეთის მხარეში საშენ მასალად ქვის სხვადასხვა ჯიში გამოიყენებოდა. ვულკანური წარმოშობის ქვები უმეტესად ჯავახეთის სოფლებში ნაგებ მიწურ-ბანიანი საცხოვრისების წყობისთვისაა დამახასიათებელი. რიყის ქვას უმეტესად ადიგენის რაიონში ვხვდებით. აქვე, უდეში შემორჩენილ ობოლაშვილების დარბაზში, რომელიც დღეს მაისურაძე ბექამ შეიძინა, კედლის წყობისას ქვასთან ერთად გამოყენებულია თიხის გამოუწვავი აგურები. საძირკველიდან დაახლოებით ერთ მეტრამდე ამოსულ ქვის კედელს სათავსოთა გამყოფი ფიცრის კედელი აგრძელებს, რომლის ორსავე მხარეს დალაგებულია სპეციალურ ყალიბებში გამოყვანილი აგურის ბლოკები. ასევე, გამოიყენებდნენ კლდის ქვას (სოფ. ჭაჭკარში ადგილობრივ მოპოვებული მასალა). ქვის სხვადასხვა ჯიშის საშენი მასალით ოდითგანვე მდიდარი იყო სამცხე-ჯავახეთის რეგიონი.

მიწურ-ბანიან ნაგებობებში კედლის წყობის ხასიათი თავისუფალია. უმეტესად სრულიად დაუმუშავებული ან მცირედ თლილი სხვადასხვა ზომის ქვებით ამოყანილი სათავსოთა კედლები ჩვენს დრომდე მოღწეულ ქვის დარბაზებთან (ჭობისხევის მეგალითური დარბაზები, თრიალას ტბების მიმდებარედ გამოვლენილი ქვის მიწისქვეშა ნაგებობები) საზიარო სტრუქტურულ-წყობისეულ მიდგომას ავლენენ. თანაგვარია უმეტესად დაუმუშავებელი ან მცირედ თლილი ქვების გამოყენება. კედლის წყობის ქვედა რიგებისთვის შედარებით დიდი ზომის ლოდების გამოყენება, შემდგომ კი შედარებით მცირე ზომის საშენი მასალით გაგრძელება. გარდა ამისა, საერთოა გეგმარების მრუდხაზოვნება, ზოგადი განწყობა რაც მეგალითური ნაგებობებისა და მიწურ-ბანიანი საცხოვრებლების ხილვისას იბადება.

ზემოთ აღწერილ ნაგებობებში კედლების შემაკავშირებელ მასად დასტურდება თიხანარევი ტალახი. ხიზაბავრასა და საროს სოფლის სიახლოვეს თეთრი მიწის საბადო ქონია, საიდანაც მშენებლობისთვის ეზიდებოდნენ და როგორც კედლის წყობისას ე.წ დუღაბად გამოიყენებდნენ ასევე, ბანის მოსაწყობად. თიხა-მიწა კარგად იგლისებოდა, წყალი არ ჟონავდა და არ ტალახდებოდა. (სოფ. ხიზაბავრა, ლუბა კეღოშვილი). სოფ. ხიზაბავრაში დაფიქსირებულ სათავსო-ნაგებობებში კედლები შელესილია თიხანარევი მიწით, რომელშიც კირსაც გაურევდნენ ხოლმე. დარბაზული ტიპის საცხოვრებლებში უმეტესად თავად დარბაზი, ოდა, საციოს კედლები ილესებოდა. იშვიათია, თითქმის საერთოდ არ დასტურდება, ნალესობა ახორში.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ხიზაბავრის მიწურ-ბანიანი ნაგებობებში ძირითად სამშენებლო მასალად ქვასთან ერთად ხე გამოიყენებოდა. ხეშია განხორციელებული ნაგებობათა გადახურვის სისტემა. ჯავახეთი ტყის საფარველის სიმცირით ხასიათდება. ადგილობრივთა გადმოცემით უწინ ასე არ უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს X ს-ის სამსრის გამოქვაბულის წარწერა. საშენ მასალად უმთავრესად ფიჭვი, სოჭი და ნაძვი გამოიყენებოდა. მოჭრილი ხის დამუშავება ადგილზევე ხდებოდა. შემდგომ კი ურმების მეშვეობით მოჰქონდათ. მთლიანი ტანის ხეების შესატყვისად „ხარი ხეებსაც“ ხმარობდნენ, რომლებიც გადაბმული არ არის (რეზო ანდღულაძე, სოფ. არალი). ძველად ხის მოჭრის პერიოდის გათვალისწინება აუცილებელი იყო. ხეს უმეტესად მაისში მოჭრიდნენ რადგან წვენით იყო გაჟღენთილი და გასაქერქად ადვილი იყო (რეზო ანდღულაძე, სოფ. არალი). ამ ცნობას თეიმურაზ ჩიქოვანიც ადასტურებს. *„გაქერქილი ხე კი დიდხანს ძლებდა რადგან მასში ჭია ვერ ბუდობდაო.“* [თ. ჩიქოვანი 1963: 210] ამასთანავე, უპირატესობას კვარიან-ფისიან ხის ჯიშებს ანიჭებდნენ, უმთავრესად ფიჭვს. ოთარ ყავრელიშვილის (სოფ. კოთელია) თქმით, ფიჭვი დიდხანს ძლებს და ადვილად არ ლპება. ამასთანავე, დარბაზში ხშირად ცეცხლსაც ანთებდნენ გადახურვის სისტემის გასამურად, რადგან ჭიას არ დაებუდა.

ხის დამუშავების მიხედვით განსხვავებული მიდგომა იჩენს თავს. გადახურვის სისტემის მოსაწყობად ვხვდებით მინიმალური ჩარევით, მხოლოდ გაქერქილი მასიური

ხის ტანით ნაწყობ გვირგვინებს (ზურაბ და პავლე კეღოშვილების, ელდან მურადაშვილის), სადაც ერთიან სივრცეზე გაბატონებული „გუმბათები“ მონუმენტურობის, სიმძლავრისა და რამდენადმე ბრუტალურობის განცდას ბადებს მნახველში. ერთდროულად განასახიერებს მიწასთან მკვიდრად მიჯაჭვულობასა და საფეხურებად დალაგებული მორებით დინამიკურ ზეაღმავლობას. გია ხუციშვილისა და ლუბა კეღოშვილის დარბაზში გვირგვინის შემკვრელი ძელები ხელით კარგად დამუშავებულ-დაწახნაგებულა. გარდა ამისა სოფ. უდეში ობოლაშვილების დარბაზში ნიყურები სახერხი ჩარხით უნდა იყოს დამუშავებული. ამ შემთხვევაში დარბაზის ინტერიერი რამდენადმე მსუბუქ და ნატიფი „ნახატს“ ქმნის. ხაზგასმულია ზესწრაფვა, სიმსუბუქე.

მიწურ-ბანიანი კომპლექსების მიმოხილვისას, განსაკუთრებით ადგილზე მათი გაცნობის, თითოეულ სეგმენტში მოგზაურობისას გებადება აზრი მასში მცხოვრებთა შემოქმედებითი აზროვნება ყოველივე პირველსაწყისისეულის მხატვრული სახის წარმოჩენას ემყარება, რაც ზემოთ აღწერილ მიწურ-ბანიან ნაგებობებში უმთავრესად სამშენებლო მასალის ფლობა-გამოყენების „ესთეტიკიდან“ მოდის. ამ მხრივ სწორედ რომ ღირებულ მასალას წარმოადგენს სოფ. ხიზაბავრაშ შემორჩენილი დარბაზოვანი ნაგებობები. ყოველი დარბაზი განსხვავებულ სივრცეთა გეგმარებით, მასშტაბით, სამშენებლო მასალის დამუშავება-გამოყენებით მრავალფეროვან სურათს წარმოაჩენს.

სოფელ ხიზაბავრის განაშენიანება ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ დაშვებულ ფერდს შეუყვება. სოფლის გეგმარებითი საკითხის განხილვისას მთავარ მომენტი ადგილობრივი რელიეფის ხასიათის გათვალისწინება წარმოადგენდს. დღეს შემორჩენილი მიწურ-ბანიანი საცხოვრისებიდან გამომდინარე, სადაც კომპლექსები განაშენიანებაში თავისუფლადაა ჩართული ან თანამედროვე ნაგებობები ძველი საცხოვრისის გაგრძელებას წარმოადგენს, კარგად ჩანს დარბაზების განლაგების პრინციპი (ელდან მურადაშვილის, კეღოშვილების, მაზმიშვილის). ფერდზე შეფენილი მიწურ-ბანიანი სახლების შესასვლელები უმეტესად სამხრეთით ან სამხრეთ-დასავლეთითაა მოწყობილი და თავად კომპლექსები რთული დაგეგმარებით

ხასიათდება. მსგავს გეგმარებით პრინციპს, სადაც საცხოვრისთა შესასვლელები უმეტესწილად სამხრეთითაა ორიენტირებული და განაშენიანების ზოგადი სახე სამხრეთის მიმართულებით დაფერდებულ ბორცვზეა წარმოდგენილი, სოფ. ჭობარეთშიც ვხვდებით. ადგილობრივი მოსახლეობა იმ ადგილს, სადაც ძველი დასახლება იყო „მზის გულს“ უწოდებს.

განაშენიანების ხასიათზე საუბრისას ისევე, როგორც თავად დარბაზის სივრცით-გეგმარებით წყობაზე, რელიეფის გამოყენებაზე, არქიტექტურული ფორმებისა და მასალის ფლობაზე ვამახვილებთ ყურადღებას და ხაზს ვუსვავთ ადგილობრივ ფორმირების საკითხს, ამ მხრივ ნამდვილად ფართო დასაყრდენი მასალა გროვდება წერილობითი წყაროებისა თუ ჩვენამდე მოღწეული მატერიალური მასალის საფუძველზე. უადრესი არქაული პროოტიპები ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურაშია გამოვლენილი ქვაცხელების ნამოსახლარზე (ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის დასაწყისი), სადაც დარბაზისთვის მთავარი ცენტრული გეგმარებითი კომპოზიცია - კერია-შუაცეცხლი, დედაბოძი და ბრტყელი გადახურვით მომთავრებულ ჭერში ღიობი -ადრებრინჯაოს ხანის საცხოვრისის დაგეგმარებაში მაორგანიზებელ პრინციპს წარმოადგენდა.

ჯავახეთის რეგიონის სამშენებლო პოტენციალზე მეტყველებს ახალქალაქის ამირანის გორა და მცირე აბულის ფერდობზე არსებული ციკლოპური ნამოსახლარი, სადაც არქაული სახით ვლინდება დარბაზისთვის სახასიათო სივრცულ-კომპოზიციური გადაწყვეტა, დაგეგმარების პრინციპი, თავად დასახლების ხასიათი და სხვა.

ახალქალაქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 700 მეტრის დაშორებით მდებარეობს ამირანის გორა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ორი სამშენებლო ფენა. ყველაზე ადრეული ძვ. წ. III ათასწლეულით თარიღდება, მომდევნო - ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით და I ათასწლეულის დასაწყისით (ტ. ჩუბინაშვილი 1963). ნამოსახლარი ტერასულადაა განაშენიანებული ფერდობზე. უმეტესად ერთოთახიანი საცხოვრებელი უჯრედები (გამონაკლისია ერთი ნიმუში, სადაც მთავარ ნაგებობას წინიდან ედგმის მომცრო ზომის სათავსო), ქვის კედლებითაა ამოყვანილი.

აღმოჩენილია ხის ანაბეჭდის მქონე ბათქაში, რაც შერეული სამშენებლო მასალის გამოყენებაზე მიუთითებს. მართალია გადახურვამ ვერ მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ ტ. ჩუბინაშვილის აზრით ეს ნაგებობები ბანით უნდა მომთავრებულიყო, რომლის ცენტრშიც ღიობი იქნებოდა დატანებული. ქვაცხელებისგან განსხვავებით ინტერიერიში გადახურვის დამჭერად არ დასტურდება კერასთან აღმართული საყრდენი. როგორც თეიმურაზ ჩიქოვანი აღნიშნავს, *„გენეტიკური კავშირი ამირანის გორისა და მესხურ-ჯავახურ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსებს შორის რელიეფურად მაინც მათი დაგეგმარების თავისებურებაში შეინიშნება“* [თ. ჩიქოვანი 1967: 217]. ერთ შემთხვევაში ტერასულად განაშენიანება და მეორე მხრივ, საცხოვრისის სივრცული აღნაგობა, პარალელს ავლენს დარბაზული საცხოვრებლების გეგმარებით სტრუქტურასთან. უნდა აღინიშნოს, რომ ამირანის გორაზე გამოვლენილ საცხოვრისებს წინ ფართო ეზო არ გააჩნდათ. სამეურნეო ნაკვეთები საცხოვრისიდან მოშორებით ჰქონდათ. ასევე, ჯავახეთის სოფლებში მიწურ-ბანიანი საცხოვრებლები ერთმანეთთან მიჯრით იყვნენ მიწყობილნი, დასამუშავებელი მინდვრები კი დასახლებიდან მოშორებით ჰქონდათ.

გადახურვის მოწყობისა და დაგეგმარების მხრივ საინტერესოა მცირე აბულის სამხრეთ კალთაზე მდებარე „ქოროღლოს“ სახელით ცნობილი მეგალითური ციხე-ნასახლარი, რომელიც ძვ. წ. II-I ათასწლეულით თარიღდება. საყურადღებოა კომპლექსში ჩართული ოთახები, დარნები, ქვით მოგებული გზები და მრავალი სხვა. დ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: *„ოთახების გადახურვა გადმოწეული ბრტყელი ფილებით, ზოგჯერ, ხის დარბაზების გვირგვინს მოგვაგონებს, ფერდს შეყოლილი ოთახების ბრტყელი სახურავები კი - ჩვენს დროში სულ უკანასკნელ დრომდე არსებულ, განაშენიანების ბანურ პრინციპს“*[დ. ბერძენიშვილი 2000: 49].

„ქოროღლოს“ ციხე-ნასახლარზე ქვის მასიური ფილებით ნაგებობათა გვირგვინისებური მომთავრება იმ მიკრო გეოგრაფიულ არეალშია გამოვლენილი, რომლისთვისაც შემდგომ ეტაპზე დარბაზული ტიპის საცხოვრებლებში გადახურვის გვირგვინით მომთავრება ხის მასალაში ხორციელდება, რაც რიგ ფაქტორებზე იყო

დამოკიდებული. ფართობის გაზრდის სურვილმა დიდწილად განსაზღვრა გადახურვის ხის, ბევრად მსუბუქ მასალაში გადაწყვეტა, რომელიც უფრო მდგრადი კონსტრუქციული ელემენტი იქნებოდა სეისმური აქტიობების დროს.

დარბაზული ტიპის საცხოვრისის ადგილობრივ ფორმირების საკითხზე საუბრისას საკმაოდ დიდი მასალა გროვდება, რომლის სრულად განხილვა და საკითხის დეტალური გაშლა კვლევის ამ ეტაპზე შორს წაგვიყვანს. ზემოთ მოყვანილი თითოეული ძეგლი საყურადღებო პარალელს წარმოადგენს დარბაზული ტიპის საცხოვრებლების განვითარების წარმოსაჩენად. არქაული სახით, ჯერ კიდევ ძვ. წ III-II ათასწლეულებში ჩანს დაგეგმარების - ნაგებობათა რელიეფთან მისადაგების, საცხოვრებელი უჯრედების ერთმანეთთან გადაბმის პრინციპი და სივრცულ-კომპოზიციური გადაწყვეთა. ჩვენამდე მოღწეული დარბაზული საცხორებლის სახე დროთა განმავობაშია ჩამოყალიბებული, რაც ეპოქით განპირობებული საზოგადოებრვი მოთხოვნილებების შედეგია.

თითოეულ დასახლებულ პუნქტში გზის სავალი ნაწილის მიმართულებათა ხასიათი უპირველესად ხაზს უსვამს ადამიანთა შორის კომუნიკაციის თავისებურებებს და დასახლების ტიპის მთავარ შემკვრელ „სიუჟეტს“ წარმოადგენს. სოფელ ხიზაბავრაში ჩემს მიერ ნანახ სამცხე-ჯავახეთის სხვა სოფლების მსგავსად დღევანდელი მდგომარეობით რამდენადმე რთულია ამ კუთხით მსჯელობა. ვინაიდან საბჭოთა წყობის დამყარების შემდგომ სოფლის ძველ დასახლებაში თანდათან იჭრება რეგიონისთვის სრულიად არადამახასიათებელი საცხოვრებელი ნაგებოობები და ამდენად მიწურ-ბანიანი კომპლექსების გამმიჯნავი შუკა-ბილიკების ძველი კონტურების გამოყოფა სრულად ვერ ხერხდება. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ სოფ. ხიზაბავრაში ჰორიზონტალურად გაშლილი მიწურ-ბანიანი საცხოვრისები ერთმანეთთან მიჯრით იყო განლაგებული. სოფლის დასახლებაში გვარების მიხედვით გამოყოფილი იყო უბნები, რომლებიც „მიკრო რაიონებს“ წარმოადგენდა. ასეთია ყრუანთ უბანი, დათათ უბანი, ლეკოთ უბანი, ველიჯაანთ უბანი, მურადაანთ უბანი... მოსახლეობას სახნავ-სათესი მიწები სოფელის გარშემო ჰქონდა. განაშენიანებაში საკარმიდამო ნაკვეთების ჩართვა არ ახასიათებდა ჯავახეთის

სოფლების ძველ დასახლებებს. საკარმიდამო ეზოს გაჩენა საბჭოთა პერიოდში აქტიურად ინერგება ახალ საცხოვრებლის „ტიპთან ერთად“.

სოფელ ხიზაბავრაში განაშენიანებაში დარნების სისტემის ჩართვა მოსახლეობის თავდაცვით მხარეს აძლიერებდა. დღეს შემორჩენილია გელა ლეკიშვილის სახლში ერთი ასეთი დარანი. ამათანავე, ლიტერატურაში დადასტურებულია მიწურ-ბანიანი ნაგებობების ერთმანეთთან დერეფნების ქსელით დაკავშირება, რომლის საშუალებითაც ომიანობის დროს მოსახლეობის შეუმჩნევლად, უსაფრთხოდ გაყვანა ხდებოდა. რთულმა ისტორიულმა ვითარებამ უბიძგა საცხოვრებლის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში თავდაცვითი მხარე გაეთვალისწინებინათ. ფერდზე შეფენილი დარბაზები გარემოს ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენდა. ხიზაბავრის მიწურ-ბანიანი ნაგებობები, რომლებიც განაშენიანებაში ფასადის მხრიდან, რელიეფთან მიმართებაში თითქმის პირვანდელი სახითაა წარმოდგენილი მკაფიოდ ამჟღავნებს საცხოვრებლის გარეგან სახეში გარკვეულ ფუნქციურ დანიშნულებას. განაშენიანების პრინციპი, მიწაში შეზრდილ საცხოვრისებში დერეფნების საშუალებით ურთიერთდაკავშირება და ე.წ დარნების სისტემა სათავდაცვო ქსელს ქმნიდა. ცალფასადიანობა, სამშენებლო მასალის გამოყენება, კედლის წყობა, გადახურვის ბანით მომთავრება, ლანდშაპტთან ჰარმონიულად შერწყმულ სურათს იძლეოდა. ამიტომ, სოფლად შემოსეული მტრის თვალისთვის ძნელად იყო გასარჩევი გარემოსგან დასახლება. ბუნებისა და არქიტექტურული ფორმების ორგანული შეთავსება, ზომიერება, და გარემოსთან მინიმალური კონტრასტი - სოფლის თავდაცვით მხარეს აძლიერებდა.

სოფ. ხიზაბავრაში ერთ ბილიკზე აკინძულია რამდენიმე მიწურ-ბანიანი ნაგებობა. ფანჩო ველიჯანაშვილის, ხაზალაშვილების საბძელი და კეღოშვილების ორი დარბაზული ტიპის კომპლექსი, რომლებიც მიმდებარე ტერიტორიაზე თითქმის სრულად დანგრეულ საცხოვრისებთან ერთად ძველი დასახლების შესახებ ზოგად წარმოდგენას გვიქმნის. ამ ნაგებობათა კონტურებისა და ლოკაციების შეკვრით შესაძლებელია შეიქმნას მიკრო კლიმატი დასახლების ხასიათისა და გარემოსთან

კომუნიკაბელურობის, რელიეფთან ურთიერთობის საჩვენებლად. დარბაზების მშენებლობისას ერთ-ერთი მთავარი ამოსავალი წერტილი სწორედ რომ გარემოსთან კომუნიკაბელურობის მაქსიმალურად ორგანული სურათის მიღების სურვილია. გარესა და შიდა სივრცის სადა, მკაფიო ფორმებით მეტყველება, წყობისეული სიმდიდრე და პროპორციული თანაფარდობა, როგორც გარემოსთან მიმართებით ისე ადამიანური მასშტაბების გათვალისწინებით. დარბაზულ მიწურ-ბანიან საცხოვრისებში ლანდშაფტთან რითმული წყობისეული ხასიათი მნახველზე განსაკუთრებულ ფსიქოემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს. უმთავრესად კი გარესა და შინას ხილვისას შექმნილი კონტრასტული სურათი. ამ კუთხით მნიშვნელოვანია იმ ძეგლების არსებობა, რომლებიც განაშენიანების სისტემაში თავისუფლადაა ჩართული. ასევე, იმ მიკრო არეალების შენარჩუნება, სადაც რამდენიმე საცხოვრისი იყრის თავს და მეტყველ სურათს ქმნის გარემოსა და დასახლების ხასიათთან, გეგმარებით წყობასთან მიმართებით.

სოფელ ხიზაბავრაში ზემოთ აღწერილ ერდო-გვირგვინიანი საცხოვრისების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა ნაგებობათა მრავალ სეგმენტიანობა - კომპლექსურობა და არაერთგვაროვანი გეგმარებითი გადაწყვეტა, რაც დამახასიათებელია ზოგადად მესხური ტრადიციული საცხოვრბლისთვის. ამასთანავე, ხალხური ნაკადისთვის ესოდენ დამახასიათებელი თავისუფლება, სივრცის აგების, სამშენებლო მასალის ფლობა-გამოყენების, დაგეგმარებისა და სეგმენტთა ურთიერთგანლაგების-გადაბმის საკითხებთან მიმართებით. თუმცა ამ თავისუფლებაშიც, მრავალფეროვან წყობისეულ სისტემაში გარკვეული კანონზომიერება იჩენს თავს. მიწურ-ბანიან კომპლექსებში არაფერი არ არის შემთხვევითი. ყოველი შემადგენელი ელემენტი ხაზს უსვამს უტილიტარულ მხარეს და ამასთანავე სიმკაცრითა და დაწურული ფორმებით მხატვრულ-ესთეტიკურ წყობისეულ სურათს ქმნის.

სოფელ ხიზაბავრის დარბაზებში, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, რამდენიმე სათავსო ნაგებობის ერთ ჭერქვეშ გაერთიანების შემთხვევაში, მათი განლაგება და ერთმანეთთან

დაკავშირება სხვადასხვაგვარია. გამონაკლისს წარმოადგენს გია ხუციშვილის საცხოვრისის უჯრედები, ვინაიდან აქ ცაკლეული სეგმენტები ჩართულია თანამედროვე საცხოვრებლის სტრუქტურაში. არცერთ ზემოთ აღწერილ ნაგებობაში და არც ჩემს მიერ ნანახ სხვა სოფლებში დაფიქსირებულ დარბაზებში არ მეორდება თუნდაც საფასადე მხარეს კარაპანისა და დერეფნის მოწყობის მსგავსი პრინციპი. ფასადის მხარეს კედლის უსწორმასწორო წყობას არღვევს ნაგებობებში შესასვლელები. ზოგიერთ შემთხვევაში მიწურს წინ არ უძღვის გახსნილი სათავსო - კარაპანი და პირდაპირ ცალყურა კარით დერეფანში შევდივართ. ასეთია ნაგებობა პირველი, ლუბა კეღოშვილის, ზურა კეღოშვილის მიწურ-ბანიანი საცხოვრისები. ხალხური ხურთმოძღვრება თავის თავში მოიაზრებს მაქსიმალურ თავისუფლებას. განაშენიანების, ცალკეულ ნაგებობათა გადაწყვეტაში იკვეთება თითოეული უჯრედის არაერთგვაროვანი გეგმარებითი ხასიათი. მშენებელი უმთავრესად ოჯახის ყოველდღიური ყოფის გათვალისწინებით, სათავსოთა ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე სტრუქტურულად გამართულ სეგმენტების ერთობლიობას ქმნის და არ მიყვება ერთ დაკანონებულ გეგმარებით სქემას.

სოფ. ხიზაბავრაში ზემოთ აღწერილი კომპლექსების მაგალითზე ნაგებობებში ცაკლეული უჯრედების დაგეგმარება, ერთმანეთზე გადაბმა და დაკავშირება განსხვავებულად ვითარდება. ერთ შემთხვევაში ფუნქციური დანიშნულებით განსხვავებული სათავსოები დერეფნიდან სხივისებურად იშლება (პავლე კეღოშვილის, გოდერძი მაზმიშვილის მიწურ-ბანიანი ნაგებობები). მეორე მხრივ ანფილადური გადაწყვეტით - ერთ გრძივ ღერძზეა ასხმული საცხოვრებელში შემავალი უჯრედები. ასეთია ზურაბ კეღოშვილის მიწურ-ბანიან საცხოვრებელი. მსგავსი გეგმარებითი სქემია დასტურდება სოფ. საროში - „ბევრიენთ“ და სოფ. ბარალეთში გვარამაძეების დარბაზებში.

საცხოვრებელში შემავალი უტილიტარული დანიშნულებით განსხვავებული სეგმენტების ურთიერთგანლაგების პრინციპი არაერთგვაროვანია ხიზაბავრის ტრადიციულ საცხოვრებლებში. მხოლოდ, ზემო განხილულ ყველა ნიმუშში უმეტესად თაკარებიანი ოდა და ახორია ერთმანეთის გვერდით მოწყობილი და გამიჯნულია

ფიცარტიხრულით. თუმცა არც ეს წარმოადგენს დაგეგმარების უცვლელ პრინციპს. სოფ. ხიზაბავრაში მურადაშვილების დარბაზში უშუალოდ დარბაზი და ახორია ერთმანეთის გვერდით მოწყობილი, ხოლო პავლე კეღოშვილის საცხოვრისში პირუტყვის სადგომი და ოდა არა ფიცარტიხრულით არამედ ქვის კედელითაა გამიჯნული ერთმანეთისგან.

ჯავახეთში გავრცელებულ მიწურ-ბანიან ნაგებობებში დარბაზს ერდო-გვირგვინიანი გადახურვით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ზემოთ აღწერილ ნაგებობებში დარბაზი კომპლექსშია ჩართული და მასში დერეფნის გავლით ვხვდებით. გამონაკლისს წარმოადგენს ლუბა კეღოშვილის დარბაზი. მიწურ-ბანიან კომპლექსში შემავალ უჯრედს ირეგულარული გეგმარება გამოარჩევს და ამასთანავე გამიჯნულია სხვა სივრცეებისგან. მასში უშუალოდ საფასადე მხრიდან გაჭრილი კარით შევდივართ. ყველა დანარჩენ შემთხვევაში დარბაზი დაკავშირებულია სხვადასხვა უტილიტარული დანიშნულების სათავსოებთან.

ზემოთ აღწერილ ხიზაბავრის ტრადიციულ საცხოვრებლებში დარბაზის გეგმარება ერთ შემთხვევაში კვადრატს უახლოვდება და გვირგვინი ძირითადად კედლის პერიმეტრზე აღმართულ სვეტებზეა გამართული. მეორეს მხრივ, ინტერიერში ერთ მხარეს კედლიდან დაშორებული, თავისუფლად მდგომი საყრდენებია გამოყენებული. გადახურვის სისტემის მოსაწყობად შექმნილი გვირგვინქვეშა საყრდენთა განსხვავებული განლაგება ზოგიერთ შემთხვევაში განპირობებულია სივრცის კონფიგურაციით, გეგმარების მრუდხაზოვნებით (ლუბა და პავლე კეღოშვილების დარბაზში). ასევე, დარბაზში ფურნის ან დამხმარე სათავსოს კომბინირებით. სოფ. ხიზაბავრის ზემოთ აღწერილ დარბაზებში არ ფიქსირდება ფურნის სათავსოს ინტეგრირება დარბაზში თუმცა, ზურა კეღოშვილის საცხოვრისში საკუჭნაოა სვეტებით გამოყოფილი გვირგვინქვეშა სივრცისგან. სოფ. ბარალეთში გვარამაძეებისა და საროში მაღრაძეების დარბაზის ინტერიერში სვეტებს განსხვავებული განლაგება აქვს იმ მხარეს, სადაც ფურნეა მოწყობილი. გვირგვინქვეშა საყრდენები კედლიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით დგას.

მიუხედავად იმისა, რომ სამცხე-ჯავახეთის დარბაზებში ქართლისგან განსხვავებით სივრცის მაორგანიზებელს ცენტრში აღმართული დედაბოძი აღარ წარმოადგენს და აქ, გვირგვინი უმეტესად კედლებთან მიდგმულ საყრდენებზეა ამოყვანილი. სოფ. ხიზაბავრაში პავლე კეღოშვილის დარბაზი ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს. ინტერიერში კედლების პერიმეტრზე დალაგებულ გუმბათქვეშა სვეტებთან ერთად დედაბოძის ელემენტი იჩენს თავს. დარბაზში შესული ადამიანი კარგად აღიქვამს სივრცეში ჩართულ დედაბოძის მოტივს. ვინაიდან გვირგვინი მთელს სივრცეზეა გაბატონებული დედაბოძი გვირგვინის მეორე რიგის ნიყურების დამჭერადაა წარმოდგენილი. ყოველგვარი მორთულობის გარეშე, ხის მთლიანი გაქერქილი ტანის მქონე სვეტი ქვის ბაზისზეა აღმართული. დანარჩენი საყრდენებისგან გამოარჩევს შედარებით სიმსხო და მეტი სიგრძე. დედაბოძის როლი ქართლის დარბაზების ინტერიერებში, როგორც ტექტონიკური ღერძი კონსტრუქციული და მხატვრული წყობით გამართული სივრცის მაორგანიზებელი ელემენტის მნიშვნელობა ჩვენს შემთხვევაში დაქვეითებული სახის მატარებელია. აქ აღარ აქვს ქართლის დარბაზების დედაბოძთა მსგავსი კონსტრუქციული დატვირთვა და უმთავრესად ერთგვარ გამოძახილს წარმოადგენს.

გვირგვინის წყობის მხრივ გამოვლინდა უმეტესად ოთხკუთხა კუთხური წყობა. მხოლოდ ორ ნიმუშში (პავლე კეღოშვილის, გია ხუციშვილის) გვირგვინის პირველი საფეხურის ნიყურები ექვს წახნაგს ქმნის. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჯერ კიდევ ფიქსირდება შერეული სისტემის გვირგვინები, სადაც რვაკუთხა კუთხურ წყობას ოთხკუთხა კუთხური აგრძელებს (სოფ. სარო ასპანიძეების დარბაზში ხუთ მუხლამდე რვა წახნაგა პარალელურ წყობას შემდეგი სამი - ოთხკუთხა კუთხური წყობა ამთავრებს). შერეული წყობის შემთხვევაში, რაც უფრო მაღლა მიიწევს საფეხურები განსხვავებულია ნიყურების სიგრძე. ყოველი მომდევნო წახნაგის სიგრძე წინასთან შედარებით მოკლეა (თუ საწყისად მათ შორის უფრო გრძელ ნიყურს მივიღებთ მხედველობაში). სოფ. უდეში ობოლაშვილების დარბაზში, რომელიც მაისურეძე ბექამ შეიძინა, გვირგვინი რვაწახნაგა პარალელური წყობისაა. განსხვავებულია გვირგვინის მუხლების რაოდენობაც. ყველაზე მაღალი ხიზაბავრაში რვა საფეხურიანია დადასტურებული. ჯავახეთის სხვა სოფლებში

მაგ. ბარალეთში ინასარიძეების დარბაზის გვირგვინი ათ საფეხურიანია, ასევე სოფ. უდეში ობოლაშვილების დარბაზის გვირგვინი არანაკლებ ათი მუხლით უნდა იყოს შედგენილი (გვირგვინის ნიყურების ნაწილი ჩამოშლილია).

სოფელ ხიზაბავრაში მაზმიშვილების მიწურ-ბანიან ნაგებობაში გადახურვის მოწყობის საინტერესო, განსხვავებულ გადაწყვეტას ვხვდებით. საცხოვრებლის ერთი სეგმენტი მომთავრებულია გადახურვის ორი სხვადასხვა სისტემის შერწყმით. ორ მუხლამდე ამოყვანილ ცენტრულ-გვირგვინულ წყობას გრძივ-გვიგვინული ამთავრებს. ზემოთ აღნიშნული ორი განსხვავებული წყობით მომთავრებული სივრცის გადახურვა დაფიქსირებული აქვს არქ. ლ. სუმბაძეს სოფ. კოთელიაში. თუმცა იმ განსხვავებით, რომ ოდისა და დარბაზისთვის დამახასიათებელი ნიშნების კომბინაციასთან ერთად გადახურვის ძირი „თრიალეთურ დარბაზს წააგავს (კვანტებით)“ მასზე კი გრძელდება ცენტრულ-გვირგვინული წყობა - რომელსაც ლ. სუმბაძე „მოდარბაზულს“ უწოდებს (ლ. სუმბაძე 1976). (სოფ. კოთელიაში მსგავსი გადახურვით მომთავრებული უჯრედი კვლავ ფიქსირდება მაისურაძეების მიწურ-ბანიანში). ჩვენს შემთხვევაში კი პირიქითაა.

დარბაზული ტიპის საცხოვრისებმა შემოგვინახა მასში მცხოვრებთა მეხსიერებაში საუკუნეების განმავლობაში დალექილი რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენები, რომლებიც მხატვრულ სახეებში იყო გამოკვეთილი. დროთა განმავლობაში შესაძლოა დაიკარგა მათი შინაარსობრივ-საკრალური მნიშვნელობა, მაგრამ იმდენად მდგრადი და ძლიერია ხალხური ნაკადი, რომ მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობებს ფორმათშეგრძნების ის ტრადიცია და ერთგვარი ინერციით განაგრძობდა არსებობას.

ხიზაბავრის დარბაზებში გვირგვინქვეშა საყრდენები და ბუხრის მოჩარჩოება მწირი მხატვრულ-სახოვანი გამოსახულებებითაა შემკული. საყრდენი სვეტების კაპიტელები უფრო სადაა, იშვიათია მათი ჩუქურთმით დაფარვა. ლუბა კეღოშვილისა და გია ხუციშვილის დარბაზებში გადახურვის დამჭერი ბოძების ბალიშები მცირედ პროფილირებულია. საინტერესოა ჯავახეთის ერთ-ერთ სოფელში - ბარალეთში ინასარიძეების დარბაზში გვირგვინქვეშა საყრდენების გაფორმების მიდგომა. კედლისპირა სვეტების კაპიტელები ვოლუტის მოყვანილობას მოგვაგონებს და

მოიაზრება, როგორც ვერძის თავები - „ყოჩბაშები“. ხიზაბავრის ზოგიერთ დარბაზში ვერტიკალურად აღმართული გვირგვინის საყრდენები კაპიტელების გარეშეა დატოვებული და პირდაპირ თავხეა მოწყობილი. რამდენიმე დარბაზში კი ბალიშები ტრაპეციის ფორმისაა. ზემოთ მოყვანილ ნიმუშებში დასტურდება კაპიტელზე (ბალიშზე) ამოკვეთილი ვარდული, ბორჯღალი, წრე. შედარებით მეტადაა დამუშავებული ბუხრის აქეთ-იქით განთავსებული საყრდენები.

ქართლის დარბაზებში უხვად შემკულ დედაბოძებზე გარდა მოჩუქურთმებული ორნამენტისა დადასტურებულია დედაბოძზე ჩამოკიდებული ირმის რქები (ქსნის ხეობაში). სოფ. ხიზაბავრასა (ზურაბ კეღოშვილის დარბაზში) და კოთელიაში (ზარიძეების დარბაზში) მსგავს მიდგომას ვხვდებით იმ განსხვავებით, რომ ორივეგან მეპატრონეს ერთ-ერთ ბოძზე ყოჩის რქები აქვს მიმაგრებული. ჯავახეთში დაფიქსირებულ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ გარკვეულ სიმბოლურ-სემანტიკურ სახეებში ვერძს, ცხვარს გამორჩეული ადგილი უკავია.

ჯავახურ დარბაზებში სვეტების გაფორმება მინიმალურად ხდება, თუმცა ამ მწირ მორთულობაშიც ჩადებული უნდა ყოფილიყო გარკვეული სემანტიკური აზრი. როგორც თ. ჩიქოვანი აღნიშნავს მომრგვალებულ ბოლოებიანი კაპიტელები ცხვრის რქებს განასახიერებდა. ცხვრის სიმბოლური მნიშვნელობა მრავლადაა დადასტურებული ხალხურ ზღაპრებსა და მითოლოგიურ წარმოდგენებში. ასევე აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის სამარხებში, (მაგ: სოფელ წიწამურის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად №13 ყორღანში (ნინო შანშაშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი 1989) და სხვა.), სადაც ჩანს დაკრძალვის დროს შესრულებული საგანგებო რიტუალი. ფოლკლორში ასახული სიუჟეტების მაგალითზე, თუნდაც *„ქართული ხალხური ზღაპრის „ფაშგუნდის“ მიხედვით, გმირი ქვესკნელში დევის სახლში მოხვდება, სადაც ერთ ოთახში ორი ცხვარი იყო დაბმული - შავი და თეთრი. თუ თეთრს შეაჯდებოდა ქვეცას წავიდოდა, თუ შავს - იქვე დარჩებოდა*“ [ნინო შანშაშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი 1989: 57]. ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებულ ლეგენდებსა თუ ზღაპრებში ასახულ სიუჟეტების მიხედვით და მატერიალურ მასალაზე დაყრდნობით

ნათელი ხდება, რომ სხვა ცხოველებთან ერთად კოსმოგენურ სამყაროში ცხვარსაც მედიატორის, დამაკავშირებელის როლი ეკისრა. ამ კუთხით საინტერესოა სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე საფლავის ქვებად გამოქანდაკებული ვერძების არსებობა.

ჯერ კიდევ ათასწლეულების წინ ადამიანი აკვირდებოდა მის გარშემო მომხდარ ბუნებრივ მოვლენებს, ცდილობდა შეეცნო სამყარო. მის ცნობიერებაში იბადებოდა სამყაროს აღქმის მითოსური სახეები. ვერტიკალურ ღერძზე წარმოდგენილი იყო სამი განზომილება - ქვესკნელი, შუასკნელი და ზესკნელი - რომელსაც განეკუთვნებიან გარკვეული არსებები. შუასკნელს ძირითადად ცხოველები - ვერძი, ირემი, ცხენი... ზესკნელს - ფრინველები, ხოლო ქვესკნელს - ქვეწარმავლები შეესატყვისება. ამგვარად ცხვარს, ირემს... მედიატორის როლი აკისრია, რომლებიც ქვესნელისა და ზესკნელის მიჯნაზე არსებობენ და დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენენ.

თუ ქართლის დარბაზებში ვერტიკალურ განზომილებაში კერა-ერდო წარმოადგენს სივრცის მაორგანიზებელ ღერძს და ამასთანავე კერა *„ოჯახის, როგორც მიკროსოციუმის, შემაკავშირებელ-თავმომყრელი ალაგია, რაც განსაკუთრებულად დიდ ძალას სძენს ამ „შუაგულისეულ“ საკულტო ბირთვს“* [ს. ლეჟავა 2015: 17] მესხურ დარბაზებში სივრცის მაორგანიზებელს კერია-სარკმელი აღარ წარმოადგენს. აქ კერამ კედელში ბუხრის სახით გადაინაცვლა და იტვირთა ოჯახის შემკრებ-შემაკავშირებელის მოვალეობა. ვინაიდან ქართლის დარბაზებისგან განსხვავებით იშვიათობას წარმოადგენს მესხურ დარბაზებში დედაბოძის ჩართვა, სამყაროს მითო-რელიგიური აღქმის სურათი კედელში განთავსებულ ბუხრის ქვაზეა გადატანილი. ზოგან ბუხრის შემომსაზღვრ გვირგვინქვეშა საყრდენებზე მინიმალურ სამკაული ვხვდებით: ვარდული, ბორჯღალი...

სოფ. ხიზაბავრაში დაფიქსირებულ დარბაზებში ბუხრის ირგვლივ მორთულობის ელემენტებს არ ვხვდები თუმცა სამცხე-ჯავახეთის სხვა სოფლებში ჯერ კიდევ შემონახულია შედარებით მდიდრულად შემკული ბუხრის - ოჯახის ქვის ზედაპირს. ასეთია სოფ. უდეში ობოლაშვილების, საროში მაღრაძეებისა და სოფლის წყაროს კედლის წყობაში ჩაყოლებული ერთ-ერთი ბუხრის მოჩარჩოება. მესხური დარბაზის ინტერიერში კომპოზიციურად შეკრული იყო ბუხრის გაფორმებისას გამოყენებული

ორნამენტული სახეები, სვეტების მორთულობა და გვირგვინი, როგორც საკრალური სფერო, მარადიულობაში გადასასვლელი გზა. ქართლის დარბაზებში თუ დედაბოძი „ხე ცხოვრებისას“ სიმბოლოს წარმოადგენდა. სამცხე-ჯავახეთში ბუხრის კამარის ზედა სიბრტყეზე ამოკვეთილი იყო „სიცოცხლის ხე“. შემორჩენილ ნიმუშებზე მკაფიოდ იკითხება ურთიერთმიმართება სიმბოლური ელემენტების, რომელშიც ჩადებული უნდა ყოფილიყო ერთიანი კონცეფცია, სამყაროს აღქმის თემა. ვფიქრობ, ამჟამად რთულია იმის თქმა, თუ რამდენად აქვთ გათავისებული ამ მხატვრულ სახეების იდეური, სემანტიკური მნიშვნელობა, რომელიც საუკუნეების სიღრმიდან იღებს სათავეებს. თუმცა, უდავოა ხალხური ტრადიციის უწყვეტი ჯაჭვის არსებობა.

მესხურ დარბაზული ტიპის საცხოვრებლებში ნაგებობების აღნაგობითა და გადახურვის სისტემის გადაწყვეტით გამოიჩევა თაკარებიანი ოდა და ახორი. უმეტესად გვერდი-გვერდ განთავსებული ეს ორი უჯრედი სითბოს შენარჩუნების მიზნით იყო ერთმანეთთან დაკავშირებული.

ხიზაბავრის მიწურ-ბანიან ნაგებობებში თაკარებიანი ოდას გადაწყვეტა ერთ გეგმას მიუყვება. იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი მათგანი გადაკეთებულია, დაგეგმარების ერთიანი პრინციპი ჩანს. წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის ნაგებობაში გრძივ კედლებთან ჩამწკრივებული ყოფილა ერთ ან ორ რიგად საქვეები. დღეს ყველა მათგანში მოშლილია ხის ტახტები. ხის ტახტების განლაგების მიხედვით ლ. სუმბაძე გამოყოფს სამ სახესხვაობას: ორტახტიანს, სამტახტიანს და ოთხ ტახტიანს (ლ. სუმბაძე 1976). ზემოთ აღწერილ ნიმუშებში სივრცის მაშტაბიდან გამომდინარე სიმეტრიულად, ერთმანეთის მოპირდაპირედ ერთ რიგად განლაგებული საქვეები უნდა ყოფილიყო. განსხვავებულია ფანჩო ველიჯანაშვილის მიწურ-ბანიან ნაგებობაში შემავალი თაარებიანი ოდა. სივრცის აღნაგობისა და გადახურვის გრძივ-ვირგვინული სისტემის გამართვის გათვალისწინებით აქ სავარაუდოდ სამ ტახტიან გადაწყვეტას უნდა ჰქონოდა ადგილი. შესასვლელიდან მარჯვენა მხარეს ორ იარუსად დალაგებული ხის ტახტები უნდა ყოფილიყო, ხოლო მის მოპირდაპირედ საქვეების ერთი რიგი. ასევე, ზურა კეღოშვილის თაკარებიან ოდაში, 2011 წელს შედგენილ ძეგლის სააღრიცხვო

ბარათებზე დართულ ვიზუალურ მასალაში ჩანს ხის ტახტების ორ იარუსიანი განლაგება. მოსახლეობის მეხსიერებაში ჯერ კიდევ შემორჩა საცხოვრებლის ცალკეული ნაწილების შესატყვისი ტერმინები. საქვეების გარდა მათ მოსანდრებსაც უწოდებენ (სოფ. კოთელია, დურმიშხან მეტრეველი). შესასვლელის მოპირდაპირე კედელში, ყველა ნაგებობაში, ბუხარია განთავსებული.

ოდაში გადახურვის სისტემა დამოკიდებული იყო ოთახის ფართობსა და ხის ტახტების რაოდენობაზე. ხიზაბავრაში დაფიქსირებულ ნიმუშებში სივრცის მაშტაბიდან გამომდინარე ერთ იარუსად განლაგებული საქვეები უნდა ყოფილიყო. ფანჩო ველიჯანაშვილის ოდაში, საფიქრალია შესასვლელიდან მარჯვენა მხარეს ორ იარუსად დალაგებული ხის ტახტები ყოფილიყო. გადახურვის გრძივ-გვირგვინული გადაწყვეტა იმ ნაგებობებში, სადაც საქვეების ერთი რიგია გამოყენებული კედელთან მიდგმულ სვეტებსა და ზოგან კედელში ჩატანებულ საყრდენებზეა გამართული. ხოლო, სადაც მოსანდრების ორი რიგია (მსგავსი ნიმუშები დასტურდება სოფ. კოთელიაში ელდარ მელიქიძის, ავთანდილ ზედგინიძის, ზურა საბაშვილის, გიორგი ყავრელიშვილის ოდებში) კედლისპირა საყრდენებთან ერთად გამოიყენება ტახტებს შორის აღმართული სვეტები. თაკარებიან ოდაშიც სვეტები ქვის ბაზისებზეა შედგმული და ხშირ შემთხვევაში, პროფილირებული კაპიტელებით ბოლოვდება. აქ მოყვანილ ძეგლებში განსხვავებულია დაკიდულად დადებული ძელების რაოდენობა, რაც გადახურვის სიმაღლეს განაპირობებს. ამასთანავე, თაკარა ძელები ზოგან კარგად დამუშავებულ-დახერხილია, ზოგან კი ხის მთლიანი გაქერქილი ტანი გამოიყენება. განათების წყარო კი ყველა ნაგებობაში შესასვლელისა და გადახურვის ზღურბლზეა დატანებული.

ხიზაბავრის მიწურ-ბანიან კომპლექსებში შემავალ სათავსო-ნაგებობებს შორის თაკარებიან ოდაში გამოკვეთილია გეგმარების სიმეტრიულობა (თუმცა არც ეს არის აპრიორი). გრძივი ღერძის ორსავე მხარეს თანაბრად ვითარდება სივრცის სტრუქტურულად შემკრები ელემენტები. თუმცა აქაც, სიმეტრიულ საწყისს გადახურვის გრძივ-გვირგვინული სისტემა არღვევს. ჭერი ბუხრის მხარეს შედარებით დამრეცია. აქვე უნდა ითქვას, რომ კედელში ჩადგმული ბუხარი ორგანულად შეთვისებული აღმოჩნდა

თაკარებიანი ოდას სივრცისთვის. გადახურვის გრძივ-გვირგვინული წყობა და გვერდულად განათების მოწყობა კარგად გამოკვეთს ბუხრის როლს ინტერიერში. ფუნქციურ მხარესთან ერთად რიგ შემთხვევებში „ოჯახის ქვაზე“ წარმოდგენილ მორთულობის სემანტიკურ სახეებს და მასში მცხოვრები ადამიანის მეხსიერებაში დროთა განმავლობაში დალექილ სამყაროს მითო-ღელიგიურ სურათს.

ჯავახეთის მიწურ-ბანიან საცხოვრებლებში ხშირად ახორი დანარჩენ ნაგებობებს ფართობით სჭარბობდა. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ამ კუთხეში მეურნეობა სიმბიოზური ხასიათისაა და დღესაც მოსახლეობა მემინდვრეობასთან ერთად მესაქონლეობას მიჰყვება, საცხოვრებლის ეს უჯრედი ზოგიერთ შემთხვევაში აღარ გამოიყენება თავდაპირველი დანიშნულებით.

ხიზაბავრის დარბაზებში შემავალი პირუტყვის სადგომი გეგმაში სწორკუთხა ნაგებობას წარმოადგენს. სივრცის აღნაგობისა და ფართობის თვალსაზრისით აქ განხილულ ნიმუშებში არაერთგვაროვანი სურათი ჩანს, რაც განპირობებული ყოფილა მეპატრონის სამეურნეო ყოფით. განსხვავებულ მიდგომა ჩანს გადახურვის მოწყობის მხრივაც. ერთ შემთხვევაში, „კიბურ-კამაროვანი“ (ლ. სუმბაძე) გადახურვა კედლების გასწვრივ გამართულ ბოძებსა და სადგომის შუაში აღმართულ საყრდენებს ეყრდნობა. მეორე შემთხვევაში, აღარ გამოიყენება კედლისპირა სვეტები. ყველა ნიმუშში ბოძები ქვის იმპოსტებზეა აღმართული.

ჯავახურ დარბაზოვანში შემავალი თითოეული სათავსო ნაგებობისთვის, უმთავრესად კი თავდა დარბაზის, ოდასა და ახორისთვის ერთგვარი კარკასული სისტემაა შემუშავებული. რაც გულისხმობს სივრცის შემომფარგლი კედლისა და ნაგებობის დამასრულებელი - გადახურვის სისტემის კონსტრუქციულად ნაწილობრივ ურთიერთდამოუკიდებლად წარმოდგენას. სოფ. ხიზაბავრის დარბაზებში გამონაკლისს წარმოადგენს პავლე კეღოშვილის ახორი. გადახურვის კოჭები ერთ მხარეს უშუალოდ კედელზეა დალაგებული. ხოლო მეორე მხარეს, მოპირდაპირე გრძივი კედლის გასწვრივ კედლისპირა საყრდენებთან ერთად თავისუფლად მდგომი სვეტებია მოწყობილი.

როგორც თაკარებიან ოდაში პირუთყვის სადგომის შემთხვევაში ახორის გეგმარება დიდწილად განაპირობებს გადახურვის სისტემას. რაც უფრო დიდი ფართობისაა პირუტყვის სადგომი საფეხურებად შეკიდული კვანტებიანი წყობა გამოიყენება. ამგვარი გადახურვა, მასში დატანებული ერდოთი უკეთ უზრუველყოფს ჰაერის ცირკულაციას. ზემო აღწერილ ყველა ნიმუშში ერთკვანტიანი სისტემა დასტურდება. (გამორჩეულ მაგალითს წარმოადგენს სოფ. ბარალეთში მელიქიძეების ბოსელი. ფართობის მაშტაბურობითა და გადახურვის ორ კვანტიანი სისტემით მართლაც ხალვათი სივრცეა შექმნილი). ჯავახურ ბოსლებში ვხვდებით „ზღვეს“ - მასიური ქვის ფილეებით მოგებულ იატაკს, რომელშიც ერთი ან ორი სანერწყულე ღარია დატანებული. ამის კარგი მაგალითია ხიზაბავრაში - ხუციშვილების ახორი, ასევე საროში - ასპანიძეების.

საცხოვრებელ კოპლექსში შემავალი დამატებით სხვადასხვა ნაგებობებიდან აღსანიშნავია ნოდარ ხაზალაშვილის საბძელი, სივრცის წყობითა და მასშტაბურობით მსგავს ფუნქციური დანიშნულების ნაგებობებს შორის ღირებულ ნიმუშს წარმადგენს. ასევე, საინტერესოა ლუბა კეღოშვილის დარბაზოვან კომპლექსში შემავალი მარანი-საციო. სივრცის მასშტაბითა და გადახურვის კვანტებიანი და გრძივ-გვირგვინული სისტემის შერწყმული გადაწყვეტით მომთავრებული საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს.

მიწურ-ბანიანი ნაგებობების დამატებით დამხმარე სათავსოები და კარაპან-დერეფნები უმეტესად ბრტყელი, ჰორიზონტალურ-ძელური გადახურვითაა მომთავრებული. საცხოვრისის ამ სეგმენტთა გეგმარებაც განსხვავებულ სივრცეს ქმნის ოჯახის მოთხოვნილებებიდან, ყოფიდან გამომდინარე.

მოსახლეობის მეხსიერებაში ჯერ კიდევ შემონახული ტრადიციული საცხოვრებლისა თუ ცალკეულ ელემენტთა შესატყვისი ტერმინები მნიშვნელოვან პირველწყაროს წარმოადგენს ტრადიციული ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლის საკითხში. თუმცა უმეტესწილად ეს უკვე ფრაგმენტული სახისაა. შეიძლება ითქვას მესხური დარბაზის სივრცის მთელი არქიტექტონიკა, კონსტრუქციული გამართულობა ერთ წინადადებაში გამოკვეთა სოფ. ბარალეთში მცხოვრებმა ნინელი ანანიაშვილმა - მიწის ძვრისა თუ სხვა ბუნებრივი კატასტროფების დროს „დარბაზი აკვანივით

დაირწეოდა და არ ინგრეოდაო“. მნიშვნელოვანია მსგავსი ინფორმაციის კიდევ უფრო ფართოდ მოძიება, დაფიქსირება და გაზიარება, გადაცემა შემდგომი თაობებისთვის. სწორედ ჩვენს მეხსიერებაში არსებული ცოდნის საფუძველზე რამდენადმე ცოცხლობს და განაგრძობს არსებობას ჩვენში ტრადიციული დარბაზოვანი კომპლექსები.

აქ წარმოდგენილ მიწურ-ბანიან დარბაზების დათარიღებასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე მხლოდ ვარაუდის გამოთქმა და ზოგადი ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრაა შესაძლებელი. სპეციალისტების მიერ შესწავლილ და დათარიღებულ მასალასთან შედარების საფუძველზე - მშენებლობის პერიოდი დაახლოებით XIX – XX საუკუნის პირველი ნახევარით უნდა განისაზღვროს. (ძეგლთა დაცვის სააგენტოდან გამოთხოვილი სააღრიცხვო ბარათების მიხედვით დათარიღებულია: ელდან მურადაშვილის დარბაზი - XIX საუკუნის დასაწყისით, გია ხუციშვილის, ლუბა კეღოშვილის - XIX საუკუნის პირველი ნახევრით, ზურაბ კეღოშვილის - XVIII საუკუნის ბოლო - XIX საუკუნის დასაწყისით, ნოდარ ხაზალაშვილის საბძელი XIX საუკუნის შუა ხანებით.) სავარაუდოდ პავლე კეღოშვილის საცხოვრისიც უნდა დათარიღდეს XVIII საუკუნის ბოლოთი, არაუგვიანეს XIX საუკუნის დასაწყისისა. პავლე კეღოშვილის მიწურ-ბანიანი ნაგებობის გადახურვის სისტემის წყობა, საშენი მასალის დამუშავება-გამოყენება თანაგვარია ზურაბ კეღოშვილის საცხოვრისში გამოყენებული მიდგომის. ამასთანავე, ამ ძეგლების ადგილზე გაცნობის დროს სოფ. ხიზაბავრაში ნინა მურადაშვილმა მიმითითა გვირგვინის წყობისთვის გამოყენებულ ხის მასალაზე. სადაც ნიყურები შედგენილია მცირედ დამუშავებული ხის მორებით და აღნიშნა, რომ ხის მასალის ამგვარი გამოყენება შედარებით ადრეული პერიოდის დარბაზების გადახურვას ახასიათებდა.

სოფელ ხიზაბავრაში მიწურ-ბანიანი ნაგებობების განვითარების შემდგომ საფეხურზე ჩამოყალიბებული საცხოვრებელი უჯრედების მიშენების მაგალითებს ვხვდებით პავლე და ლუვა კეღოშვილების დარბაზოვან ნაგებობებში. XX საუკუნის 50-60-იან წლებში დაიწყო ე.წ. ფანჯრიანი ოდების - „იაზლუღების“ მიურ-ბანიან კომპლექსებზე მიდგმა. ჰორიზონტალური გადახურვით მომთავრებულ სათავსოს

განათების წყარო არა ჭერში არამედ კედელში სარკმლის სახით აქვს დატანებული. იატაკი ხისაა და ჭერი ძელურია - კარგად დახერხილი ფიცრებით შედგენილი. საცხოვრებლის ეს სეგმენტი გამოირჩევა კეთილმოწყობით და შედარებით უკეთ განათებით.

„იაზლუღი“ ძველ ნაგებობას ფასადის მხრიდან ედგმება და კვლავ ერთი ბანის ქვეშაა მოქცეული. ამგვარი გადაწყვეტით ჰორიზონტალურ განზომილებაში გაშლილი დარბაზოვნების გეგმარებითი ხასიათი არ იცვლება, მხოლოდ ფასადის ნაწილი განიცდის გადაკეთებას. თ. ოჩიაური მსგავსი უჯრედების ჩამოყალიბებას მიწურ-ბანიანი ნაგებობების განვითარების შემდგომ საფეხურად მიიჩნევს (თ. ოჩიაური 1963). ამ კუთხით საინტერესოა სოფ. ხიზაბავრაში არსებული ნაგებობების ფიქსაცია, რომლებშიც „იაზლუღები“ თანაარსებობენ ძველი მიწურ-ბანიანი ნაგებობების მიჯრით და ერთი ბანის ქვეშ მომთავრებულ საცხოვრისის განვითარების სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდს გამოყოფენ. მსგავსი ტიპის უჯრედები თვალისთვის ერთი შეხედვითაც დარბაზული ტიპის ნაგებობების ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენს.

მიწურ-ბანიანი ნაგებობების აქტიური მოშლა და ახალი ტიპის ბინათმშენებლობის წამოწყება საბჭოთა წყობის დამყარების შემდგომ რამდენიმე ეტაპად წარიმართა (თ. ჩიქოვანი 1987). XX საუკუნის 30-იანი წლებიდან თანდათანობით შეიცვალა სოფლის დასახლების ხასიათი. ეს იყო პერიოდი, როცა კულტურის ყველა სფერო დიდ დარტყმას განიცდიდა და ფაქტობრივად მმართველი ძალისა და იდეოლოგიის გავრცელება, შემოქმედებითი აზროვნების სრული ჩაკეტვა და საკუთარ ენაზე გადაწყობა იმდენად სწრაფად მოხდა, რომ მისი გააზრება, შეფასება მყისიერად ვერ მოხერხდა. ამიტომ, ხშირად შეხვდებით იმ დროის გაზეთებში აღტაცებით თხრობას „კოლმეურნეთა სახლებზე“. *„დიდი ოქტომბრის მზემ ხიზაბავრაში ძალუმად შემოანათა, ახლა სოფელში ვერ ნახავთ მიწურებს, კოლმეურნეთა კარ-მიდამო ოდა-სახლებმა დაამშვენა“* [მ. ველიჯანაშვილი 1974: 42] - წერს მიხეილ ველიჯანაშვილი. ადგილობრივ მოსახლეობამ მექანიკურად აიტაცა ახალი ბინათმშენებლობის ხერხები და უგულებელყო ძველი მიწურ-ბანიანი საცხოვრისები. სწრაფი ტემპით სოფლის ძველი

გეგმარებითი ხასიათი თანდათანობით დაიკარგა ფერდზე წამომართულ საბჭოთა პერიოდში აშენებულ საცხოვრებელ ბინებში. მოსახლეობამ უგულებელყო ის სამშენებლო გამოცდილება, რაც საუკუნეების განმავლობაში დაგროვდა და მექანიკური გადმოღება მოხდა ყოველივე ახლის. ბუნებრივი მოცემულობისა და ხელოვნურად შექმილის მაქსიმალურად ორგანული შეთავსება, განაშენიანების ხასიათი - დასახლების სიმჭიდროვე და უბნების ვიწრო შუკა-ბილიკებით გამოყოფა, საკარმიდამო ნაკვეთების დასახლების ირგვლივ არსებობა, საცხოვრისში ყოველივე უჯრედის ფუნქციური გამართულობა და მაქსიმალური მორგება ოჯახის ყოფით ცხოვრებაზე. ამასთანავე, სამშენებლო მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე კონსტრუქციულისა და მხატვრული მოტივების გამომსახველობა - ყოველივე ამის გათვალისწინება ნაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ახალი ბინათმშენებლობის დროს. სოფ. ხიზაბავრის მაგალითზე, განსაკუთრებით იმ ლოკალურ წერტილებში, სადაც ერთმანეთის გვერდით მიწურ-ბანიანი ნაგებობები და ახალი ტიპის „ოდა-სახლებია“ წამომართული მკვეთრი კონტრასტული სურათი იქმნება. *„სახლის გარეგნული სახის უგემოვნო პომპეზურობა“* [თ. ჩიქოვანი 1987: 89], სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის არადამახასიათებელი არქიტექტურული ფორმები და საცხოვრისში შემავალი უჯრედების ფუნქციურ გაუმართაობა-გამოუყენებლობა თანდათანობით აშკარა გახდა. ახალი დროით მოტანილ ბინათმშენებლობაში გაწყდა ადგილობრივ უწყვეტი სამშენებლო ხელოვნების ტრადიცია. საცხოვრებელმა თანდათანობით დაკარგა გვარის თაობათა შემაკავშირებელის, გამაერთიანებელის ფუნქცია.

ამგვარად, სოფელ ხიზაბავრაში სადღეისოდ შექმნილი სურათით საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი სამშენებლო გამოცდილებისა და არქიტექტურული ენის განვითარების ჩვენება სავსებით შესაძლებელია. თუმცა აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ჩვენამდე მოღწეულ დარბაზოვანი კომპლექსების არქიტექტურული პირველსახის შენარჩუნება გარკვეულ სიძნელეებთან და პრობლემებთანაა დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ რიგ ნიმუშებს ძეგლის სტატუსი მიენიჭა. (სოფელ ხიზაბავრაში ლუბა კეღოშვილის, ზურა კეღოშვილის, ელდარ მურადაშვილის, გია ხუციშვილის დარბაზოვან ნაგებობებს და ნოდარ ხაზალაშვილის საბძელს აქვს ძეგლის სტატუსი

მინიჭებული.) სტატუსის მინიჭებას არსებული პრობლემები აღნიშნული ნაგებობების დაცვისა და შენარჩუნების კუთხით არ გადაუჭრია. გარემო ფაქტორების ზემოქმედებასთან ერთად ამ ნიმუშებში უმეტესად თავად მეპატრონეების ნება-სურვილითა და უხეში ჩარევის შედეგად გადაკეთებულია ან სრულიად დანგრეულია მიწურ-ბანიანი სათავსოები. ასეთია, სოფ. ხიზაბავრაში, ზურაბ კეღოშვილის დარბაზოვანში ოდა ოთახი. 2016 წელს განხორციელებული საველე სამუშაოების დროს ინტერიერში განთავსებული ხის ტახტები და გადახურვის გრძივ-გვირგვინული გადაწყვეტა მოშლილი დამხვდა.

როგორც ამ თემის დიდი მკვლევარები აღნიშნავენ *„დარბაზი არის საყოველთაო ფენომენი და არა მხოლოდ გლეხური საცხოვრებელი.“*[6] ამგვარად, ხალხური საცხოვრებლის ეს უნიკალური ტიპი მსოფლიო კულტურული მნიშვნელობის ძეგლს წარმოადგენს, რომლის შენარჩუნება და თანამედროვე საცხოვრებლების სტრუქტურაში ლოგიკური ჩართვა უნდა მოხდეს.

[6] http://www.georgianart.ge/index.php?option=com_content&view=article&id=164%3A2014-06-05-09-57-08&catid=38%3A2010-11-29-22-35-41&Itemid=83&lang=ka

დასკვნა

არქიტექტურული ნაგებობა, მათ შორის დარბაზული ტიპის საცხოვრებელი, გეოგრაფიული გარემო პირობების, კონკრეტული ეპოქისა და ისტორიულ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შედეგებს ასახავს. მასში გარკვეულწილად ვლინდება საზოგადოების განვითარების, მსოფლმხედველობის, ეკონომიკური აქტივობისა და სოციალური ურთიერთობების ხასიათი. ნაშრომში განხილული ნიმუშები ასევე მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს სამშნებლო გამოცდილების, ეროვნული ღირებულებების გამოვლენისა და შესწავლის თვალსაზრისით.

სოფელ ხიზაბავრაში ჩვენს მიერ შესწავლილი დარბაზოვანი კომპლექსების არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზის შედეგად რამდენიმე ასპექტი გამოიკვეთა. საერთო რეგიონალურ მახასიათებლებთან ერთად არსებითია კონკრეტული ნიმუშების სივრცულ-კომპოზიციური და გეგმარებითი წყობისას ინდივიდუალური მიდგომების გამოყენება.

მესხური დარბაზოვანი კომპლექსების გადაწყვეტის ზოგად სახასიათო პრინციპებიდან გამომდინარე:

- სოფლის განაშენიანების დამრეც ფერდზე განაწილება; ნაგებობის გარეგანი სახე - ცალფასადიანობა;
- რელიეფთან კომუნიკაბელურობის მაღალი დონე. განსაკუთრებით იმ დარბაზების მაგალითზე, რომლებიც განაშენიანებაში თავისუფლადაა ჩაწერილი. მისწრაფება გარემოსთან, ლანდშაპტთან ორგანული თანწყობის, რაც დარბაზოვან საცხოვრებლებში გარეგან არქიტექტურულ წყობის ხასიათშია გამოვლენილი;
- ნაგებობათა მრავალსეგმენტიანობა - კომპლექსურობა და არაერთგვაროვანი გეგმარებითი გადაწყვეტა;
- შიდა და გარე მასების კონტრასტულობა;

- დარბაზების სივრცულ-კომპოზიციური გადაწყვეტა, განსხვავებული მასშტაბის სივრცე უმეტესწილად კვადრატული გეგმარებისაა;
- ცენტრულ-გვირგვინული სისტემის მთელს ფართობზე გაბატონება და გადახურვის დასაჭერად კედლის პერიმეტრზე დალაგებული საყრდენების გამოყენება;
- გვირგვინის წყობის შემთხვევაში წამყვანია ოთხკუთხა კუთხური სისტემის გამოყენება. ვხვდებით შერეულ მიდგომას, სადაც გვირგვინის პირველი საფეხური ექვსწახნაგას წარმოადგენს, რომელზეც ოთხკუთხა კუთხური წყობა გრძელდება;
- გვირგვინის ნიყურების დამუშავების მიხედვით ვხვდებით ხელით კარგად დათლილ დაწახნაგებულ ძელებს და მინიმალური ჩარევით, მხოლოდ გაქერქილი ხის მასიური ბოძებით შეკრულ „გუმბათებს“;
- დარბაზოვან კომპლექსებში ჩართული თაკარებიანი ოდები მიყვება ამ უჯრედისთვის დამახასიათებელ სივრცით-გეგმარებით აგების პრინციპს;
- მიწურ-ბანიან კომპლექსებში ახორის სივრცული აღნაგობა, ფართობი და გადახურვის სისტემა - ოჯახის სამეურნეო ყოფიდან გამომდინარე განსხვავებულია. ყველა შემთხვევაში ნაგებობაში გამოკვეთილია სიგრძივი ღერძი და გადახურვისთვის გამოყენებული კვანტებიანი წყობა;

სოფელ ხიზაბავრის ტრადიციულ საცხოვრებლებში საერთო მახასიათებლებთან ერთად გამოკვეთილია უჯრედების დაგეგმარებისა და ცალკეული სეგმენტების განსხვავებული გადაწყვეტა:

- ერდო-გვირგვინიან დარბაზში გადახურვის დამჭერი საყრდენების ერთ მხარეს თავისუფალი განთავსება, რაც განპირობებულია სივრცის კონფიგურაციითა და ფუნქციურად განსხვავებული უჯრედის კომბინირების შედეგად (ასეთია ზურაბ კეღოშვილის დარბაზი);
- დარბაზის სივრცით-აღნაგობით წყობაში დედაბოძის მოტივის ჩართვა. (პავლე კეღოშვილის დარბაზი) თუმცა ამ შემთხვევაში დაკარგულია ქართლის დარბაზების დედაბოძთა ტექტონიკური მნიშვნელობა.

- ორი განსხვავებული გადახურვის სისტემის, ცენტრულ-გვირგვინულისა და გრძივ-გვირგვინულის, ერთი სეგმენტისთვის გამოყენება. ამგვარი მიდგომა შეგვიძლია ვთქვათ იშვიათობას წარმოადგენს.

სოფელ ხიზაბავრაში დაფიქსირებული დარბაზოვანი კომპლექსები ეროვნული ღირებულების მასალას წარმოადგენს. ზოგად ქართულ და რეგიონალურ დონეზე მათი მნიშვნელობა თითოეულ ტრადიციული საცხოვრებელი კომპლექსის შესწავლისას გაცხადებულია, რაც აუცილებელს ხდის არსებული ნაგებობების ადგილზე შენარჩუნების მნიშვნელოვანებას.

დარბაზული ტრადიციული საცხოვრებლის შენარჩუნებასთან დაკავშირებით გამოიკვეთა გარკვეული პრობლემური საკითხების არსებობა. უმთავრესია კომუნიკაციის ფაქტობრივად არარსებობა ძეგლის მეპატრონესა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით მომუშავე სააგენტოებს შორის. კვლევის პროცესში დარბაზოვანი ნაგებობების მეპატრონეებთან გასაუბრებისას ხშირ შემთხვევაში არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ მფლობელობაში არსებულ დარბაზოვან კომპლექსებს ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. უნდა მოხდეს მეპატრონეთა ინფორმირება, იმ ღირებულებების გაცნობა, ერთობლივი გააზრება და გარკვეული საურთიერთობო ფორმის, მოვალეობებისა გამოკვეთა, რის საფუძველზეც ფაქტობრივად უწყვეტად მოხდება არსებული ნაგებობების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით მომუშავე სტრუქტურებთან.

დარბაზული ტიპის საცხოვრებლების შენარჩუნების კუთხით XX საუკუნეში ეთნოგრაფიული მუზეუმის შექმნის იდეა და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ხალხური ხუროთმოძღვრების ნიმუშების გადატანა წინ გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალა. მართალია, რომ არა ამგვარი გადაწყვეტილება შესაძლობა ამ ნიმუშებს ჩვენამდე არ მოეღწია. თუმცა დღეს დღეობით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნებისადმი მიძღვნილი არაერთი მსოფლიო ქარტია თუ კონვენცია საცხოვრისის იზოლაციას, გადაადგილებასა და კონკრეტული გარემოს კუთვნილებიდან ამოგლეჯას ეწინააღმდეგება. ვინაიდან ძეგლის გააზრება ხდება ერთობლიობაში კონკრეთული

ადგილობრივი გარემოს, განაშენიანების, დასახლების ტიპის, რელიეფის, საკომუნიკაციო საშუალებებისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით. კონტექსტიდან ამოგლეჯვა კი ტრადიციულ საცხოვრისის მნიშვნელობის გააზრებას აკნინებს და ძეგლის სტატუს აკარგვინებს.

ჩვენს დრომდე მოღწეული დარბაზული მიწურ-ბანიანი ნაგებობების მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ქართული ხალხური საცხოვრებლის ეს ნიმუში კომპლექსურ მიდგომას საჭოროებს სამშენებლო მასალიდან და არქიტექტურული წყობიდან გამომდინარე. ხალხური ბინათშენებლობის - დარბაზული ტიპის საცხოვრისის გაქრობასთან ერთად თანდათანობით იკარგება ის სამშენებლო გამოცდილება, რაც საუკუნეების განმავლობაში დაგროვდა. ამდენად, მნიშვნელოვანია უახლოეს მომავალში არსებული ნაგებობების შესანარჩუნებლად სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. მათი დაცვა ადგილზე უნდა მოხდეს, რომლის ისტორიულ კუთვნილებასაც წარმოადგენენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბეწვაშვილი ნ., ქართული დარბაზის სიმბოლიკა, თბილისი, ქართული აკადემიური წიგნი, 2015, 50 გვ.
2. ანდღულაძე რ., სამცხეში გავრცელებული დარბაზული საცხოვრებელი სახლები, საქართველოს სიძველენი, 2015, №18, გვ: 98-105
3. ბაგრატიონ-დავითაშვილი გ., ქართული ტრადიციული საცხოვრებლის ტიპოლოგიისათვის, საქართველოს სიძველენი, 2003, №4-5, გვ:273-288
4. ბაგრატიონ-დავითაშვილი გ., დარბაზი და ეთნოდიზაინი, საქართველოს სიძველენი, 2015, №18, გვ:21-24
5. ბერიძე ვ., XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I, თბილისი, ხელოვნება, 1983, 350 გვ.
6. ბერიძე მ., ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992, 122 გვ.
7. ბერიძე მ., სილოგავა ვ., ჯავახეთი ისტორია და თანამედროვეობა, ტ. I, ახალციხე, მეცნიერება, 2002, 410 გვ.
8. ბერძენიშვილი დ., ჯავახეთი (ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი),
9. თბილისი, ნეკრესი, 2000, 171გვ.
10. ბუხრაშვილი პ. საცხოვრისი ცენტრალური ამიერკავკასიის ადრელითონების ხანის კულტურათა სისტემაში, საქართველოს სიძველენი, 2015, №18, გვ:35-51
11. ველიჯანაშვილი მ., ხიზაბავრის მეგზური, თბილისი, მეცნიერეა, 1974, 90გვ.
12. ველიჯანაშვილი მ., ხიზაბავრის განთიადი, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1982, 45 გვ.
13. თვალჭრელიძე ზ., ბახტაძე ნ., ჩხვიმიანი ჯ., ქართული დარბაზული საცხოვრებლის არქეოლოგიურად გამოვლენილი უცნობი სახეობა, საქართველოს სიძველენი, 2015, №18, გვ:52-78
14. თოფჩიშვილი რ., სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან, თბილისი, უნივერსალი, 2013, 152 გვ.

15. თოფჩიშვილი რ., საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თბილისი, უნივერსალი, 2010, 737 გვ.
16. თუმანიშვილი დ., ქართული „დარბაზისა“ და სატაძრო ხუროთმოძღვრების მიმართებისათვის, საქართველოს სიძველენი, 2015, №18, გვ:25-34
17. ლეჟავა ს., დარბაზული საცხოვრებლები მესხეთ-ჯავახეთში, ძველი ხელოვნება დღეს - Ancient Art Today, 2011, №2, გვ:129-133
18. ლეჟავა ს., თრიალეთის ტრადიციული საცხოვრისი-საგულისხმო კულტურული მემკვიდრეობა, ძველი ხელოვნება დღეს - Ancient Art Today, 2013, №4, გვ:106-111
19. ლეჟავა ს., დარბაზული ხუროთმოღვრების რაობისათვის, საქართველოს სიძველენი, 2013, №16, გვ:134-148
20. ლეჟავა ს., დარბაზის სტრუქტურულ სემანტიკური ანალიზის ცდა, საქართველოს სიძველენი, 2015, №18, გვ:16-20
21. ლეჟავა ს., საუბარი თემაზე: „დარბაზი“, http://www.georgianart.ge/index.php?option=com_content&view=article&id=164%3A2014-06-05-09-57-08&catid=38%3A2010-11-29-22-35-41&Itemid=83&lang=ka
22. მაკალათია ს., მესხეთ-ჯავახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი, ფედერაცია, 1938, 158 გვ.
23. მანია მ., მოხელეთა დარბაზი დუშეთში, საქართველოს სიძველენი, 2015, №18, გვ:79-97
24. ნადირაძე ე., ქართული დარბაზულ - ერდოგვირგვინიანი სახლი, საქართველოს სიძველენი, 2015, №18, გვ:9-15
25. ოჩიაური თ., ახალი საცხოვრებელი სახლი ადიგენის რაიონში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, 1963, XII-XIII, გვ:127-140
26. რჩეულიშვილი ლ., ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები, თბილისი, მეცნიერება, 1994, 335 გვ.
27. სილაგაძე ნ., პირველყოფილი არქიტექტურის, დარბაზულ მეგარონული ტიპის საცხოვრისის და ცენტრალური მონუმენტური ხუროთმოძღვრების

ურთიერთობათა ზოგიერთი საკითხი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998, 27 გვ.

28. სონღულაშვილი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორორიისთვის (დიღმის ხეობა), წიგნი I, თბილისი, მეცნიერება, 1969, 229 გვ.
29. სურამელაშვილი მ., XVIII საუკუნის ერთი თბილისური ბანიანი სახლის შესახებ, საქართველოს სიძველენი, 2005, №7-8, გვ: 326-336.
30. სურგულაძე, ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი, მეცნიერება, 1986, 208 გვ.
31. სურგულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტის ზოგიერთი საკითხისთვის, საბჭოთა ხელოვნება, 1966, №12, გვ:49-54
32. სუმბაძე ლ., ქართული ხუროთმოძღვრება - ხითხუროთმოძღვრება, თბილისი, ხელონება, 1985, 70 გვ.
33. სუმბაძე ლ., ქართული დარბაზის ინტერიერი, საბჭოთა ხელოვნება, 1965, №6, გვ:17-25
34. სუმბაძე ლ., კოლხური საცხოვრებელი სახლი ვიტრუვის მიხედვით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მომაბე, 1945, ტ.6, №6, გვ:491-502
35. სუმბაძე ლ., კოლხური სახლი ვიტრუვიუსის მიხედვით და ქართული ხალხური საცხოვრებლის კვლევის პრობლემები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, 1968, №4, გვ:201-216
36. სუმბაძე ლ., ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმი, ძეგლის მეგობარი, 1971, №25, გვ:52-69
37. სუმბაძე ლ., საქართველოს მთიანეთი: ხუროთმოძღვრული ტრადიციები და თანამედროვე პრობლემები, საბჭოთა ხელოვნება, 1974, №1, გვ:89-95
38. სუმბაძე ლ., სამცხე-თრიალეთის თაკარებიანი ოდა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 1976, №4, გვ:67-80
39. ქალდანი ა., ქართული ტრადიციული საცხოვრებელი კომპლექსები და თანამედროვეობა, თბილისი, მეცნიერება, 1989, 56 გვ.

40. ყიფიანი გ., „კოლხური“ და „ფრიგიული“ სახლები, თბილისი, ცისარტყელა, 1995, 24 გვ.
41. ყიფიანი გ., მესხური საცხოვრისი, თბილისი, კავკასიის მემვიდრეობის სახლი, 2002, 44 გვ.
42. ყრუაშვილი ნ., სოფელი ხიზაბავრა, ახალციხე, ცოდნა, 2009, 206 გვ.
43. შანშაშვილი, ნ., ნარიმანიშვილი გ., მიცვალებულთან დაკავშირებული ერთი რიტუალის სემანტიკა, ძეგლის მეგობარი, 1989, №1, გვ:56-62
44. შოშიტაშვილი ნ., გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ერდო-გვირგვინიანი ნაგებობანი, საქართველოს სიძველენი, 2015, №18, გვ:106-121
45. ჩიტაია გ., ქართული ხალხური სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, შრომები I ტომი, თბილისი, მეცნიერება, 1997, 433 გვ.
46. ჩიტაია გ., პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობებში მიკვლეული ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმკის მოამბე, 1941, ტ. XI, გვ:49-56
47. ჩიქოვანი თ., ქართული ხალხური საცხოვრებელი (წალკური სახლი), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960, 138 გვ.
48. ჩიქოვანი თ., ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბილისი, მეცნიერება, 1967, 275 გვ.
49. ჩიქოვანი თ., თრიალეთი, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1976, 78 გვ.
50. ჩიქოვანი თ., მესხეთი, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1979, 150 გვ.
51. ჩიქოვანი თ., ჯავახეთი, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1982, 90 გვ.
52. ჩიქოვანი თ., ზემო ქართლი (სამხარეთმცოდნეო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი, საბჭოთა საქართველო 1987, 135 გვ.
53. ჩიქოვანი თ., ეთნოგრაფიული ეტიუდები, თბილისი, მეცნიერება, 1989, 85 გვ.
54. ჩიქოვანი თ., მესხურ-ჯავახური დარბაზული სახლი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია მაცნე საზოგადოებრივი მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, №4, გვ:206-231
55. ჩუბინაშვილი გ., ქართლის დარბაზი (1.დარბაზი დიღომში), თბილისი, საქართველოს სამხატვრო აკადემიის გამომცემლობა, 1927, 16 გვ.

56. ჩუბინაშვილი გ., ქართლის დარბაზი (3. დარბაზი ყარაღაჯსა და ნადარბაზევში), თბილისი, საქართველოს სამხატვრო აკადემიის გამომცემლობა, 1927, 18 გვ.
57. ჩუბინაშვილი გ., ქართლის დარბაზი (4. დარბაზი წილკანსა და მცხეთაში), თბილისი, საქართველოს სამხატვრო აკადემიის გამომცემლობა, 1927, 21 გვ.
58. ჩუბინაშვილი ტ., ამირანის გორა - მასალები მესხეთ-ჯავახეთის უძველესი ისტორიისთვის, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1963, 120 გვ.
59. ჯალაბაძე გ., მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი, მეცნიერება, 1972, 193 გვ.
60. ხიდაშელი მ., სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბილისი, ნეკერი, 2001, 175 გვ.
61. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბილისი, პალიტრა L, 2012, 288 გვ.
62. Сумбадзе Л., Грузинские Дарбаз, тбилиси, Заря Востока, 1960, 41 გვ.
63. Сумбадзе Л., Музей Грузинской Народной Архитектуры и Быта Подоткрытым Небом, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1976, 68 გვ.
64. Сумбадзе Л., Архитектура Грузинского Народного Жилища Дарбази, тбилиси, мецниереба, 1984, 360 გვ.



დანართი 2.1 სოფელ ხიზაბავრაში აღწერილი დარბაზების სქემატური განლაგება

ილუსტრაციები

სურ. 2.1 გია ხუციშვილის საცხოვრებელი. ჩანგრეული საბძელი. 2016 წ.

სურ. 2.2 გია ხუციშვილის ერდო-გვირგვინიანი დარბაზი. 2016 წ.

სურ. 2.3 გია ხუციშვილის დარბაზში კედლისპირა საყრდენის გაფორმება. 2016 წ.

სურ. 2.4 გია ხუციშვილის დარბაზის ინტერიერი. 2016 წ.

სურ. 2.5 გია ხუციშვილის თაკარებიანი ოდა. 2016 წ.

სურ. 2.6 გია ხუციშვილის თაკარებიანი ოდა. მორთულობის დეტალი. 2016 წ.

სურ. 2.7 ფანჩო ველიჯანაშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. 2019 წ.

სურ. 2.8 ფანჩო ველიჯანაშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. თაკარებიანი ოდა. 2019 წ.

სურ. 2.9 ფანჩო ველიჯანაშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. თაკარებიანი ოდა. 2019 წ.

სურ. 2.10 ფანჩო ველიჯანაშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. თაკარებიანი ოდა. 2019 წ.

სურ. 2.11 ფანჩო ველიჯანაშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. თაკარებიანი ოდა. 2019 წ.

სურ. 2.12 ნოდარ ხაზალაშვილის საბძელი. 2019 წ.

სურ. 2.13 ნოდარ ხაზალაშვილის საბძელი. 2019 წ.

სურ. 2.14 ნოდარ ხაზალაშვილის საბძელი. 2019 წ.

სურ. 2.15 ზურაბ კეღოშვილისა და ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი კომპლექსები. 2019 წ.

სურ. 2.16 ზურაბ კეღოშვილის დარბაზოვანი. კარაპანი. 2016 წ.

სურ. 2.17 ზურაბ კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. დერეფანი. 2016 წ.

სურ. 2.18 ზურაბ კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. ერდო-გვირგვინიანი დარბაზი. 2016 წ.

სურ. 2.19 ზ. კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. ფოტო მასალა აღებულია ძეგლის სააღრიცხვვო ბარათიდან. შედგენილია 07.05.2011.

სურ. 2.20 ზურაბ კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. თაკარებიანი ოდა. 2016 წ.

სურ. 2.21 ზურაბ კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. დერეფანში განთავსებული ფურნე. 2016 წ.

სურ. 2.22 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. 2016 წ.

სურ. 2.23 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. კალო. 2016 წ.



სურ. 2.24 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. დარბაზში შესასვლელი. 2019 წ.

სურ. 2.25 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. დარბაზის გვირგვინი. 2019 წ.

სურ. 2.26 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. დარბაზის ინტერიერი. 2016 წ.

სურ. 2.27 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. დარბაზის ინტერიერი. 2016 წ.

სურ. 2.28 ლუბა კეღოშვილის დარბაზი. კედლისპირა საყრდენის ბალიში. 2019 წ.

სურ. 2. 29 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. ფასადის მხრიდან მესამე შესასვლელი. 2016 წ.

სურ. 2.30 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. დერეფანი - ფურნის სათავსო. 2019 წ.

სურ. 2.31 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. მცირე დერეფანი. 2019 წ.

სურ. 2.32 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. თაკარებიანი ოდა. 2016 წ.

სურ. 2.33 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. თაკარებიანი ოდა. 2016 წ.

სურ. 2.34 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. მარანი. 2019 წ.

სურ. 2.35 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. მარანი. 2019 წ.

სურ. 2.36 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. ახორი. 2019 წ.

სურ. 2.37 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. ახორი. 2019 წ.

სურ. 2.38 ლუბა კეღოშვილის თანამედროვე საცხოვრებლის მარჯვენა მხარეს არსებული დარბაზოვანი ნაგებობა. 2019 წ.

სურ. 2.39 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. დერეფანი. 2019 წ.

სურ. 2.40 ლუბა კეღოშვილისდარბაზოვანი ნაგებობა. ახორი. 2019 წ.

სურ. 2.41 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. ოდის თაკარებიანი გადახურვა. 2019 წ.

სურ. 2.42 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. ე.წ. „იაზლუღი„. 2019 წ.

სურ. 2.43 ლუბა კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. ე.წ. „იაზლუღი“. 2019 წ.

სურ. 2.44 ელდარ მურადაშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. 2016 წ.

სურ. 2.45 ელდარ მურადაშვილის ერდო-გვირგვინიანი დარბაზი. 2016 წ.

სურ. 2.46 ელდარ მურადაშვილის ერდო-გვირგვინიანი დარბაზი. ინტერიერი. 2016 წ.

სურ. 2.47 ელდარ მურადაშვილის დარბაზოვანი კომპლექსი. ახორი. 2016 წ.

სურ. 2.48 პავლე კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. 2019 წ.

სურ. 2.49 პავლე კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებოობა. 2019 წ.

სურ. 2.50 ხარო. 2019 წ.

სურ. 2.51 პავლე კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებოობა. ფურნე. 2019 წ.

სურ. 2.52 პავლე კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. ძველ ნაგებობაში შესასვლელი დერეფანი. 2019 წ.

სურ. 2.53 პავლე კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. ერდო-გვირგვინიანი დარბაზი. 2019 წ.

სურ. 2.54 პავლე კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. ერდო-გვირგვინიანი დარბაზი. 2019 წ.

სურ. 2.55 პავლე კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. გვიგვინი. 2019 წ.

სურ. 2.56 პავლე კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. თაკარებიანი ოდა. 2019 წ.

სურ. 2.57 პავლე კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. თაკარებიანი ოდა. 2019 წ.

სურ. 2.58 პავლე კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. ახორი. 2019 წ.

სურ. 2.59 პავლე კეღოშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. ახორი. 2019 წ.

სურ. 2.60 გოდერძი მაზმიშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. 2019 წ.

სურ. 2.61 გოდერძი მაზმიშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. სეგმენტის ცენტრულ-გვირგვინული და გრძივ-გვირგვინული გადახურვა. 2019 წ.

სურ. 2.62 გოდერძი მაზმიშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. სეგმენტის ცენტრულ-გვირგვინული და გრძივ-გვირგვინული გადახურვა. 2019 წ.

სურ. 2.63 გოდერძი მაზმიშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. თაკარებიანი ოდა. 2019 წ.

სურ. 2.64 გოდერძი მაზმიშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. თაკარებიანი ოდა. 2019 წ.

სურ. 2.65 გოდერძი მაზმიშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. მარანი. 2019 წ.

სურ. 2.66 გოდერძი მაზმიშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. მეორე თვალი კარაპანი. 2019 წ.

სურ. 2.67 გოდერძი მაზმიშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. ახორი. 2019 წ.

სურ. 2.68 გოდერძი მაზმიშვილის დარბაზოვანი ნაგებობა. ფურნე. 2019 წ.